საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 217-218 (238) ოთხშაბათი, 6 ნოემბერი, 1991 წელი ფასი 15 კაპიკი

შეხვედრა პრეზიდენტთან

გუშინ, უზენაესი საბჭოს კინოდარბაზში მოეწყო შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ბატონ ზვიად გამსახურდიასა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის.

თავის გამოსვლაში ბატონმა პრეზიდენტმა აღნიშნა: ცენტრისტული ძალები ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ ხელისუფლების დისკრედიტაციისათვის. ამის ერთ-ერთი გზა გახლავთ მათ მიერ გავრცელებული მითი, თითქოს ხელისუფლება სდევნის, ავიწროვებს და რეპრესიებს მიმართავს ინტელიგენციის წინააღმდეგ. ამან გამოიწვია, მე ვიტყოდი, მთელი საქართველოს შეგნებული ინტელიგენციის აღშფოთება. ყველას მოგეხსენებათ, რომ საქართველოში შექმნილი მდგომარეობა მეტისმეტად სერიოზულია. ქართველმა ერმა ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაარქვას — თუ ერს თავისი მოაზროვნე ნაწილი ვეღარ მართავს, ის უკვე ერი აღარ არის, ის არის დაშლის პირას მისული საზოგადოება, რომელსაც ვეღარაფერი ვეღარ გადაარჩენს. სწორედ ეს გახლავთ მოსკოვისა და მათი ქართველი თანამოაზრეების ოცნება.

დღევანდელი შეხვედრა თქვენი ინიციატივით მოეწყო, მე მივესალმები ამას და მიმაჩნია, რომ ასეთი შეხვედრა-დიალოგები ხშირად უნდა გაიმართოს, რათა ერთიანი ძალებით ნათელი მოვფინოთ სიტუაციას, აღვკვეთოთ უწესრიგობა, ვიბრძოლოთ დეზინფორმაციისა და ცილისწამების წინააღმდეგ.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მასწავლებელი ქეთევან ერისთავი, ფიზიკოსი გია მრევლიშვილი, ექიმი გურამ ხუციშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი გიზო კერესელიძე და სხვები. გამომსვლელებმა გამოხატეს თავიანთი პოზიცია — თანადგომა საქართველოს ხელისუფლებისადმი და აღნიშნეს, რომ პიროვნებას, რომლის მიზანსაც საქართველოში სიტუაციის დესტაბილიზაცია წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია დადგეს უკანონო შეიარაღებული ძალების მხარეს, რომელიც არ აღიარებს კანონის უზენაესობას, ხშირ შემთხვევაში არღვევს და სხვასაც მოუწოდებს მისი დარღვევისაკენ და ძალადობის მომხრეა, არ შეიძლება ინტელიგენტი ეწოდოს. ისიც ითქვა, რომ მათი მხრიდან საჭიროა ინიციატივა და მეტი აქტიურობა, რათა გაიფანტოს ის დეზინფორმაცია, რაც გადის საქართველოს გარეთ და რაც, არც თუ იშვიათად, ინტელიგენციის სახელით კეთდება. აქვე გამოითქვა წინადადება, რომ უნდა შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო ან საინფორმაციო ჯგუფი, რომელიც საქართველოს გარეთ გასულ დეზინფორმაციას დაუპირისპირებს მართალსა და ობიექტურ ინფორმაციებს.

შეხვედრის დასასრულს ბატონმა ზვიად გამსახურდიამ უპასუხა მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

თედო ნიკოლაიშვილის
ფოტოები.

განვიხილავთ კანონპროექტს

მიზანი: მაქსიმალური უკუგება

ყველასათვის გასაგებია ის დიდი ინტერესი, რასაც ჩვენი საზოგადოება იჩენს მიწის რეფორმის პროექტის მიმართ. მიწა ხომ ერთ-ერთი ძირითადი სიმდიდრეა, რომელიც ქვეყანას აჭმევს და ასმევს, მრეწველობას აუცილებელი ნედლეულით ამარაგებს. ამიტომ სწორი პოლიტიკის განხორციელება მიწაზე დასაქმებულებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის აღნიშნული კანონის ვალია.

კანონპროექტის მიმართულება ძირითადად სწორია: მიწა არ უნდა გაცდეს, მისმა მფლობელმა ძალ-ღონე არ უნდა დაიშუროს, რომ მიწისგან მაქსიმალური უკუგება იქნეს მიღებული. აღნიშნულის გამო ნათელი ხდება, რომ მიუხედავად კანონისა მიწაზე საკუთრების დაწესების შესახებ, საზოგადოება გულგრილი ვერ დარჩება იმის მიმართ, თუ რამდენად ეფექტიანად იყენებს მიწას მისი მფლობელი. ამ თვალსაზრისით მთლად გამართლებულად არ უნდა ჩაითვალოს პროფ. მ. კაკელიას გამონათქვამი: „თავისუფალ საზოგადოებაში საკუთრებად არსებული მიწა პიროვნების ციხესიმაგრედ უნდა იქცეს". ჩვენი ნათქვამის დასადასტურებლად უნდა მოვიტანოთ მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობის შედეგები: მიწა აქ ძირითადად გამოყენებულ იქნა სააგარაკო სახლების მშენებლობისათვის, ფულის დასაბანდებლად, ძირითადი დანიშნულებით მის გამოყენებას მეორეხარისხოვანი როლი მიენიჭა, ფართობის დიდი ნაწილი, როგორც წესი, სრულიად აუთვისებელია. საბოლოო ჯამში საზოგადოებამ არსებითად ვერ იგრძნო ის სიკეთე, რაც მებაღეობის ამხანაგობათა განვითარებას უნდა მოჰყოლოდა.

აქ, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ზოგიერთი სხვა ფაქტორიც, რაც ამხანაგობათა წევრებზე ნაკლებად იყო დამოკიდებული, საქმის ცუდი ორგანიზაცია და სხვა, მაგრამ საბოლოო ანგარიშით ეს მდგომარეობას არ ცვლის. ამრიგად, ვიმეორებთ ქვეყნისათვის სულ ერთი არ არის, როგორი ეფექტით იქნება მიწა გამოყენებული. შეიძლება კამათი იმის თაობაზე, თუ რამდენად გამართლებულია 12-15 წლის ვადა მიწაზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად, მაგრამ ამ უფლების შეძენას რომ რაღაც გამოსაცდელი ვადა წინ უნდა უძღოდეს, უდავოა: მიწაზე მუშაობა უაღრესად რთულია, მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებებს და პრეტენდენტებს მარტო წამხედურობით მიწის ნაკვეთის მიღება არ დააყრის ხეირს, არც საზოგადოებას მოუტანს სასურველ შედეგს. ამ მოსაზრებით მიწაზე განსაზღვრული, ხელმისაწვდომი ფასის დადგენაც ხელს აღებინებდა მის შეძენაზე ისეთ ხალხს, ვისაც საკუთრების უფლება იმისათვის უნდა, რომ ეს ობიექტი არაპირდაპირი დანიშნულებით გამოიყენოს.

უაღრესად მართებულია პროფ. მ. კაკელიას ზემოთ დასახელებულ სტატიაში ის მოსაზრება, რომ კანონში გათვალისწინებული უნდა იქნეს მემკვიდრეობის უფლების დადგენა იმათ მიმართ, რომელთაც თვითონ ან რომელთა წინაპრებმაც შექმნეს დღეს არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოები კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების სახით. საკითხი ხომ მარტო მიწას არ ეხება! თანაც ყველამ იცის, როგორი ნებაყოფლობაც სუფევდა აღნიშნულ საწარმოებში გაწევრიანებისას. მემკვიდრეობის უფლების გაუთვალისწინებლობა მორიგი უსამართლობა იქნებოდა საზოგადოების ყველაზე მწარმოებლური ფენის მიმართ. ასე უბოდიშოდ უარის თქმა იმის მომასწავებელია, რომ საზოგადოება შემდეგშიც დაუშვებს დაგროვილი სიმდიდრის ექსპროპრიაციას ვითომდა მშრომელთა საკეთილდღეოდ. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შექმნამდე მათმა მომავალმა წევრებმა საწარმოო საშუალებანი ბევრად უფრო ზნეკეთილი საშუალებით მოიპოვეს, ვიდრე ზოგიერთმა ჩვენმა თანამედროვემ, ახლა პრივატიზაციის წყალობით რომ იძენს საწარმოებსა და მაღაზიებს საეჭვო გზით დაგროვილი ფულადი სახსრებით.

ვიზიარებთ იმ შეხედულებებსაც, რომ დღეს სახელმწიფო სამსახურში მყოფთათვის მიწის მიცემაზე უარის თქმა ნამდვილად არ იქნებოდა სწორი. თავად განსაჯეთ, განა ჩვენი მუშა-მოსამსახურეების ის ნაწილი, რომელიც საკუთარი კომფორტის შეზღუდვით ახერხებს დასვენების დღეებში მიწის მცირე ნაკვეთების დამუშავებას სოფლად, თავის დროზე შექმნილმა მდგომარეობამ არ გამოდევნა სოფლიდან და შესაბამისად, მიწათსარგებლობიდან? სავსებით მოსალოდნელია, რომ მიწის მიცემის დაკანონება მოსახლეობის ამ ნაწილის უმეტესობას სოფელს დაუბრუნებს და საზოგადოებისათვის უფრო სასარგებლო შრომაში ჩააბამს.

გიორგი მაძლარაშვილი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

საზღვარგარეთ

საქდესის ცნობით საბჭოთა ტურისტები, რომლებიც საზღვარგარეთ აპირებენ გამგზავრებას, ახლა ერთ დოლარში 32 მანეთის ნაცვლად 47 მანეთს გადაიხდიან.

ლიტვაში ვიზიტით იმყოფება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბოტა, რიგის შემდეგ იგი სანქტ-პეტერბურგს, კიევსა და მოსკოვს ეწვევა.

ფრანს პრესი იუწყება, რომ ავღანეთის ყოფილი მეფე 77 წლის ზაჰირ შახი, რომელიც ამჟამად რომში ცხოვრობს, ორშაბათს თავის ვილაში დანით დაჭრეს.

ექიმთა დასკვნით ზაჰირ შახის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. დამნაშავე დაკავებულია.

გაეროს მონაცემებით, 1991 წელს ლტოლვილთა რიცხვმა მთელ მსოფლიოში 17 მილიონს მიაღწია. ამ ციფრში არ შედის იუგოსლაველი და საბჭოთა ლტოლვილები, რომელთა რაოდენობა ზოგიერთი მონაცემებით 400 და 600 ათას ადამიანს აჭარბებს.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის თანამშრომელმა, რომელიც იორდანია-პალესტინის დელეგაციასთან მოლაპარაკებაში მონაწილეობს, საფრანგეთის ტელევიზიის მეხუთე პროგრამაში ეს მოლაპარაკება დადებითად შეაფასა. პალესტინელთა დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა კი აღნიშნა, რომ „ისინი გახარებულები არიან იმით, რომ შესაძლებლობა აქვთ ისრაელთან ერთად განიხილონ ახლოაღმოსავლეთში მშვიდობის პრობლემები" მან თქვა, რომ „ჩვენ წარმატებას მივაღწევთ კონფერენციაზე, რადგან საეჭვოა ვინმემ გაბედოს მოწესრიგების პროცესის ჩაშლა".

ევროპის თანამეგობრობის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც ბრუსელში შეიკრიბნენ, იუგოსლავიის წინააღმდეგ შემდეგი ხასიათის ეკონომიკურ სანქციების მიღებას აპირებენ. ევროპის გაერთიანებასა და იუგოსლავიის შორის ვაჭრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დენონსირება, ამ ქვეყანასთან ვაჭრობაზე სრული ან ნაწილობრივი ემბარგოს შემოღება, იუგოსლავიის ავუარების გაყინვა ევროპის ბანკებში. ამავე დროს გაერთიანება აპირებს განაგრძოს თანამშრომლობა იუგოსლავიის შემადგენლობაში შემავალ იმ რესპუბლიკებთან, რომლებიც ევროპის თანამეგობრობის მიერ შემუშავებულ კონფლიქტის მოწესრიგების გეგმას დაეთანხმნენ.

კვირას ლიტვაში ჩამოვიდა ევროპარლამენტის დიდი დელეგაცია. მისი ვიზიტის პროგრამით დასახულია შეხვედრები ლიტვის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან ვიტაუტას ლანდსბერგისთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ალგირდას სალდარგასთან, მხარის დაცვის მინისტრთან აუდრიუს ბუტკიავიჩიუსთან, საპარლამენტო კომისიებისა და მთავრობის წევრებთან.

ევროპარლამენტის დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია, — სხვათა შორის, ეს უკვე პირველი ჩამოსვლა როდია, — შეაგროვოს ინფორმაცია ლიტვაში მიმდინარე პროცესების შესახებ, გააფართოოს კავშირურთიერთობანი და თანამშრომლობა დამოუკიდებელ ლიტვის სახელმწიფოსთან.

იმავე დღეს ვილნიუსში ჩამოვიდა აგრეთვე ავსტრიის წარგზავნილი ბრაზილიის ელჩი ტერეზა კინტელა. მოელიან, რომ ლიტვის პარლამენტის მეთაურთან ვიტაუტას ლანდსბერგისთან შეხვედრის დროს იგი მას გადასცემს ბრაზილიის პრეზიდენტის პირად წერილს.

იაპონიის მთავრობამ მოამზადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციის პროექტი, რომელიც ავალდებულებს ამ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის წევრ ყველა ქვეყანას აცნობონ გაერთიანებული ერების შტაბ-ბინას მათ მიერ შეიარაღების ექსპორტისა და იმპორტის შესახებ. ამ ღონისძიებამ უმთავრესად ხელი უნდა შეუშალოს რეგიონული კონფლიქტების გაჩენას, რომლებიც თანამედროვე პირობებში, როგორც მკაფიოდ გვიჩვენა კრიზისმა სპარსეთის ყურეში, საფრთხეს უქმნიან მთელი მსოფლიოს უშიშროებასა და სტაბილურობას.

ნავარაუდევია რეზოლუციის პროექტი განსახილველად წარუდგინონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიას.

თვალსაზრისი

გვჭირდება საკუთარი ვალუტა

ფულის მიმოქცევის თანამედროვე მდგომარეობამ როგორც მთლიანად იმპერიაში, ისე საქართველოში კატასტროფული ხასიათი მიიღო. მანეთის მკვეთრმა გაუფასურებამ, მიმოქცევაში ფულადი მასის ინტენსიურმა ზრდამ, რომელიც სახელმწიფოს უზომო ხარჯებისა და შემოსავლების დიდი ოდენობით შემცირების შედეგია, გამოიწვია წარმოების განუწყვეტელი დაცემა, მოხმარების საგნებისა და მოსახლეობის მომსახურების მოცულობის შემცირება.

იმპერიის დაცემის დაწყება და მის ნანგრევებზე პოლიტიკურად და ეკონომიკურად აღიარებული სუვერენული სახელმწიფოების წარმოქმნა თავის მხრივ ამ ახლად შექმნილ სუვერენულ სახელმწიფოთა წინაშე, სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ფორმით აყენებს ეკონომიკური კავშირების ორგანიზაციულად ჩამოყალიბების პრობლემას, როგორც ცალკეული სახელმწიფოს ფორმირების შიგნით, ისე მათ შორის ურთიერთობაშიც.

რამდენადაც ნორმალურად ფუნქციონირებად საბაზრო ეკონომიკას ესაჭიროება მტკიცე ვალუტა, ამდენად საბაზრო ურთიერთობაზე სწრაფად გადასვლისათვის მიმართულ ღონისძიებებთან ერთად გადასაწყვეტია მეტად რთული ამოცანა — ვალუტის სტაბილიზაცია. საქართველოს რესპუბლიკის პირობებისათვის ეს ნიშნავს იმას, რომ პირველ რიგში გადაწყდეს საკითხი, წავიდეთ მანეთის გაჯანსაღების გზით, რომლის ფუნქციონირება შენარჩუნებულია ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფარგლებში, თუ შევუდგეთ ახალი საკუთარი ვალუტის შექმნას, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას მოემსახურება.

პირველი ვარიანტი ითვალისწინებს ფუნქციონირებადი მანეთის შენარჩუნებას მთელს ეკონომიკურ სივრცეში, ე. ი. იმ სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიაზე, რომელთაც სურვილი გამოთქვეს ერთიანი ეკონომიკური გაერთიანების შექმნა ამჟამად მიმოქცევადი მანეთის გამოყენებით.

ამ ვარიანტის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ურთიერთშეთანხმებით ყველა სუვერენული სახელმწიფოს ან მათი ნაწილის ტერიტორიებზე გამოიყენება ერთიანი ვალუტა — მანეთი, რითაც არსებითად მარტივდება ყველა რეგიონთაშორისი ანგარიშსწორება, აგრეთვე არაა საჭირო დამატებითი ხარჯები ერთი ვალუტის მეორეზე გადაცვლასთან და გადაანგარიშებასთან დაკავშირებით. მაგრამ ერთიან ეკონომიკურ სივრცეში საერთო ვალუტის, მანეთის, წარმატებით გამოყენებას შეიძლება მხოლოდ მისი ემისიის მკაცრად დაცვის პირობებში მივაღწიოთ, სხვანაირად ვალუტის გაუფასურების საშიშროება ყოველთვის მოსალოდნელია.

საქმე ისაა, რომ საერთო ვალუტის, მანეთის, გამოშვების უფლება არ შეიძლება მიეცეს ეკონომიკურ გაერთიანებაში შემავალ ერთ რომელიმე სუვერენულ ცენტრალურ ბანკს, ვინაიდან არაა გამორიცხული, რომ ეს ცენტრალური ბანკი თავის საემისიო პოლიტიკის განხორციელებისას უპირატესობას მიანიჭებს იმ სუვერენულ სახელმწიფოს, რომელსაც იგი მიეკუთვნება. კიდევ უფრო სახიფათოა ვარიანტი, როდესაც საერთო ვალუტის ემისიის უფლება ეკონომიკური გაერთიანების მონაწილე სახელმწიფოების ყველა ცენტრალურ ბანკს მიენიჭება. ეკონომიკური გაერთიანების ცალკეულ ბანკებს შორის ურთიერთშეთანხმებისას შეიძლება წავაწყდეთ ცდუნებას, განსაკუთრებით ბიუჯეტური დეფიციტის არსებობის დროს, ბიუჯეტური დეფიციტი დაკრედიტდეს მთლიანად თუ ნაწილობრივ, რასაც შეიძლება ვალუტის საერთო გაუფასურება მოჰყვეს მთელი ეკონომიკური გაერთიანების ტერიტორიაზე. ვალუტის უზრუნველყოფა ურთიერთეჭვების გაძლიერების საბაბი გახდება და საბოლოო ჯამში წარმოიშობა ცენტრიდანული ძალები, რომლებიც ადრე თუ გვიან ეკონომიკურ გაერთიანებას დაშლიან ცალკეულ ნაწილებად.

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ზემოთ აღნიშნული შემთხვევის მცდელობის შესაძლებლობა ეკონომიკური გაერთიანების ცალკეულ მონაწილეთა მხრივ, ამჟამად გვთავაზობენ ერთიანი ბანკის შექმნას, რომელიც თანაბარზომიერად დაექვემდებარება ეკონომიკური გაერთიანების ყველა მონაწილეს. ამ მიზნით მხედველობაში მისაღებია ის, რომ ცენტრალურ გაერთიანებასთან უნდა დაწესდეს მართვის ცენტრალური ორგანო, რომელიც დაიცავს ყოველი ცალკეული სუვერენული სახელმწიფოს ინტერესებს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი გარდაუვალია სიძნელეები, შეიძლება კონფლიქტებიც კი.

თუ კი დავაყენებთ მოთხოვნებს ერთხმად გადაწყვეტილებათა შესახებ, მაშინ მიღებულ გადაწყვეტილებათა შეფასებაში აზრთა სხვადასხვაობის წარმოქმნისას ამ წინააღმდეგობათა თავიდან აცილება დაიკავებს დიდ დროს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს შემოთავაზებული ოპერაციების ეფექტიანობას, ხოლო რიგ შემთხვევაში საერთოდ ბანკის საქმიანობის პარალიზებასაც გამოიწვევს.

ამრიგად, ეკონომიკური სივრცის ფორმირებისას ერთიან სუვერენულ სახელმწიფოთა ორიენტაცია საერთო ვალუტის შექმნაზე არსებულ ვითარებაში ნაადრევია. რიგი უპირატესობის მიუხედავად, საერთო ვალუტა თავისთავში ატარებს როგორც ეკონომიკურ, ისე ფსიქოლოგიური ხასიათის მთელ რიგ ნეგატიურ მოვლენებს.

ასევე არ შეიძლება დავივიწყოთ იმის შესახებაც, რომ საერთო ვალუტის გამოყენება ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფარგლებში გაძნელებულია იმის გამო, რომ საერთო ვალუტის სახით წამოყენებული მანეთი დაავადებულია მძიმედ. უკანასკნელ წლებში ის მნიშვნელოვნად გაუფასურდა, თანაც გაუფასურების პროცესს ბოლო არ უჩანს, უზარმაზარი ბიუჯეტური დეფიციტი ახლად გამოცხადებულ სუვერენულ სახელმწიფოებს არ აძლევს საფუძველს, ენდონ მანეთის სწრაფად გაჯანსაღებას. მანეთის პრესტიჟის დაცემაზე მეტყველებს ბარტერული გარიგებისა და საკლირინგო საფუძვლებზე აგებული გარიგების განვითარება. ასეთ პირობებში განავითარო ურთიერთხელსაყრელი კავშირები და განამტკიცო ერთიანი ეკონომიკური სივრცე რეგიონებს შორის და ამავე დროს უმკურნალო მანეთს (ე. ი. აღადგინო მისი სრულფასოვნება), მეტად არაპროდუქტიული საქმიანობაა.

ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მანეთი, მიუხედავად დაჯინებული მოწოდებებისა და მრავალგვარი რეცეპტებისა, მაინც ვერ გახდა კონვერტირებული, ხოლო საბაზრო ეკონომიკა ვალუტის კონვერტირების გარეშე ვერაფერს შეძლებს.

ყველა ზემოთ აღნიშნული, ჩვენი აზრით, ნათლად გვარწმუნებს იმაში, რომ თანამედროვე ერთიანი ეკონომიკური სივრცის ვალუტად მანეთის მიღება სერიოზული შეცდომა იქნებოდა საქართველოს რესპუბლიკისათვის. მკვეთრად გაუფასურებული მანეთი და ცალკე სუვერენული სახელმწიფოების მხრივ არაიმედიანი კონტროლი ფულის ემისიის მოცულობაზე სრულ საფუძველს იძლევა, საქართველოს რესპუბლიკაში შეიქმნას საკუთარი ვალუტა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის დასმა არ არის ახალი, რამდენადაც რიგი სხვა სუვერენული სახელმწიფოები კარგახანია თანახმანი არიან გაუფასურებული და დისკრედიტებული მანეთის ნაცვლად საკუთარი ვალუტა შემოიღონ.

საკუთარი ეროვნული ვალუტით მანეთის შეცვლის საკითხის პრინციპულად გადაწყვეტა — ეს მხოლოდ პირველი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია. მეორე ნაბიჯია საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე გადასვლის პირობების შემუშავება.

როგორც ფულის რეფორმის პრაქტიკა გვიჩვენებს, ერთი ვალუტიდან მეორეზე გადასვლა შეიძლება განხორციელდეს ან ერთჯერადი წესით, ანდა ეტაპობრივად. პირველ შემთხვევაში მიმოქცევაში გამოდის ახალი ფულის ნიშნები, დგინდება გაცვლის წესები და ძველ და ახალ ვალუტებს შორის შეფარდება, ხოლო თვით გაცვლა შედარებით მოკლე დროში ხორციელდება, დარჩენილი გადაუცვლელი ფულადი ნიშნები ძალადაკარგულად ცხადდება.

მეორე შემთხვევაში, ახალი ვალუტა თანდათანობით გამოდის მიმოქცევაში, ძველი ვალუტა აგრძელებს ფუნქციონირებას ახალთან, ერთად, ე. ი. წარმოიშობა ძველი და ახალი ვალუტის პარალელური მიმოქცევა. ვალუტებს შორის დგინდება გადაცვლის კონკრეტული შეფარდება იმ მომენტისათვის არსებული სიტუაციებიდან გამომდინარე, ძველი ვალუტა თანდათანობით ამოიღება და მთლიანად უთმობს ადგილს ახალს.

რა თქმა უნდა, ფულის რეფორმის განხორციელების ყოველ სქემას მეტნაკლები ზომით აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგრამ ჩვენ კითხვა უნდა დავაყენოთ ასე: აქედან დღეს რომელია უმჯობესი საქართველოში შექმნილი პირობებისათვის? ჩვენ გვესახება, რომ ამჟამად უპირატესობა უნდა მივანიჭოთ მეორე ვარიანტს: მიმოქცევაში გამოდის ახალი ვალუტა ძველის შენარჩუნებით და ძველი ვალუტის მთლიანად ამოღების მომენტამდე თანდათანობით ვიწროვდება პარალელური მიმოქცევა, ამით ფულის რეფორმა მთავრდება.

პირველი ვარიანტის უპირატესობა ძირითადად ფულის რეფორმის სწრაფმდინარებაში გამოიხატება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველ ფულად რეფორმას მოსახლეობა მეტად მტკივნეულად აღიქვამს და ამდენად, ცხადია, რაც უფრო სწრაფად დამთავრდება იგი, მით უფრო ჩქარა შეიქმნება პირობები ნორმალური საქმიანობისათვის. მაგრამ ფულის რეფორმის მოკლე ვადებში წარმატებით განხორციელებისათვის, აუცილებელია ერთი მეტად მნიშვნელოვანი პირობის დაცვა — სახელმწიფოში შეიქმნას ისეთი ეკონომიკური წანამძღვრები, რომლებიც გარანტიას მოგვცემს, ბიუჯეტური დეფიციტი არ იფარგლებოდეს ფულის ნიშნების ემისიით. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, შეიძლება შევარჩიოთ ფულის რეფორმის განხორციელების მომენტი. თუკი ფულის რეფორმის განხორციელება დასახულია ბიუჯეტური დეფიციტის შენარჩუნების პერიოდში და მისი დაფარვა გრძელდება „საბეჭდი დაზგის" გამოყენებით, ე. ი. არაუზრუნველყოფილი ფულის ნიშნების ემისიით, მაშინ შეიძლება აქედანვე ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ასეთი ფულის რეფორმა დაყვანილი იქნება ერთი ფულის ნიშნის მეორეთი შეცვლის ტექნიკურ ოპერაციამდე. თანაც ახალი ფულის ნიშნები ძველებურად ბიუჯეტური დეფიციტის დაფარვის მთავარი წყარო გახდება. ისტორია მრავალი ფულის რეფორმას იცნობს, რომელნიც მხოლოდ რეფორმის სახელს ატარებენ, სინამდვილეში კი ისინი ერთი გაუფასურებული ფულის ნიშნის მეორეზე გადაცვლით ხასიათდებიან. სავსებით ცხადია, რომ ასეთი „ფულის რეფორმები" სახელმწიფოებს არავითარ ავტორიტეტს არ შეუქმნის, პირიქით, მოსახლეობა სულ უფრო მეტ უნდობლობას გამოუცხადებს მათ.

ასე ვრცელ აბსტრაქტულ მსჯელობას თუ ჩვენს კონკრეტულ სინამდვილეში გადმოვიტანთ, მაშინ არ გაგვიძნელდება ვიწინასწარმეტყველოთ, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ახალი ფულის გამოშვებისთანავე საქმე გვექნება ბიუჯეტურ დეფიციტთან და სასაქონლო-ფულად დისბალანსის თანდათანობით ზრდასთან, მაშასადამე, ფულის რეფორმის განხორციელებისადმი მიმართული მთელი ძალისხმევა წყალში გადაიყრება.

მიუხედავად ამისა, დღეს საქართველოს რესპუბლიკაში ფულის რეფორმის განხორციელებისათვის ეკონომიკური წანამძღვრების აშკარა არარსებობა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ უარი ვთქვათ მიმოქცევაში ახალი ფულის ნიშნების გამოშვებაზე, რომლის ემიტენტად საქართველოს ეროვნული ბანკი უნდა გახდეს. პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ, ერთი მხრივ, ფულის რეფორმა ეკონომიკური თვალსაზრისით, ამჟამად არაა მიმზიდველი და ამიტომ არ შეიძლება მისი განხორციელება ფულის ნიშნების ერთდროული გადაცვლის გზით. მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც ზემოთ აღინიშნა, აუცილებელია საკუთარი ვალუტა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სუვერენიტეტის რეალური განმტკიცებისათვის და რომლისაგანაც გამომდინარეობს დასკვნა: აუცილებელია ფულის რეფორმის განხორციელება, თანაც ეხლავე, სხვა დროისათვის (შორს) გადადების გარეშე.

ამ გართულებული მდგომარეობიდან გამოსავალი, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეიძლება იყოს მეორე ტიპის ფულის რეფორმა, როდესაც ახალი ფულის ნიშნების გამოშვების შემდეგ მიმოქცევაში შენარჩუნებულია ძველი — მისი ახლით თანდათანობითი გამოდევნის გზით.

იმის გამო, რომ ასეთი ვარიანტის დროს რეფორმა ჭიანურდება რამდენიმე თვით, ზოგჯერ წლითაც, იქმნება მიმოქცევის სფეროს ახალი ფულით გავსების პირობები.

მიმოქცევაში ახალ სრულფასოვან ფულთან ერთად შენარჩუნებულია ძველიც, რომლის მსყიდველობითი უნარი შემცირებას აგრძელებს, ვინაიდან მისი განსაზღვრული მასა ბიუჯეტური დეფიციტის დასაფარავად გამოდის. მაშასადამე, ფასების შეფარდებით უცვლელი დონის პირობებში ძველი ფულის ფასები ახალ ფულში განუწყვეტლივ გაიზრდება მანამ, სანამ შენარჩუნებულია ბიუჯეტური დეფიციტი და ძველი ფულის ემისიით ამ დეფიციტის დაფარვის პრაქტიკა, მაგრამ, როგორც კი ბიუჯეტის დეფიციტი გაქრება წარმოების სტრუქტურული გარდაქმნებითა და მისი საერთო ზრდით, ძალა დაეკარგება მიმოქცევაში ძველი ფულის არსებობას. სწორედ მაშინ შეიქმნება პირობები, მიმოქცევიდან ამოვიღოთ ძველი მისი ახალზე გადაცვლის გზით იმ მომენტისათვის ჩამოყალიბებული შეფარდების მიხედვით. ამით ფუნქციონირებას შეწყვეტს ორი ვალუტის პარალელური მიმოქცევა, რაც ფულის რეფორმის დამთავრების მანიშნებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ როცა სიტყვა ჩამოვარდება მტკიცე ვალუტის გამოშვებაზე, ძველი ვალუტის გარკვეულ საზღვრებში შენარჩუნებისას, ჩვეულებრივ, ემყარებიან 1922-1924 წწ. ფულის რეფორმის გამოცდილებას. ვფიქრობ, რომ ისტორიაში გაკეთებულ ექსკურსს თავისი უტყუარი საფუძველი აქვს, ვინაიდან ამ რეფორმამ წარმატებით შემოიღო ბრუნვაში მტკიცე ვალუტა — ჩერვონეცი, რაც პასუხობდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებს, ხოლო რაც შეეხება ბიუჯეტური დეფიციტის არსებობას, მან რეფორმის დასაწყისშივე განაპირობა მისი თანდათანობითი განხორციელება, რაც ორი ვალუტის პარალელურ მიმოქცევაში გამოვლინდა: მტკიცე-ჩერვონეცი და ძველი გაუფასურებული ვალუტები — საბჭოთა ფულის ნიშნები.

ცხადია, ყოველი ისტორიული ანალოგია მეტად შეფარდებითია, მაგრამ, ამის მიუხედავად, საჭიროა მაინც გავიხსენოთ, რომ ჩერვონეცი გამოუშვეს მაშინ, როცა საბჭოთა ფულის ნიშნების გაუფასურების დონემ (1922 წ. ბოლოს) კოლოსალურ ოდენობას მიაღწია, მაგრამ, საბოლოო ჯამში ამ გარემოებას არ შეუშლია ხელი რეფორმის წარმატებით ჩატარებისათვის. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ახლანდელი მანეთის გაუფასურების დონის შედარება საბჭოთა ფულის ნიშნების გაუფასურების დონესთან (1922 წ. ბოლოს) გათანაბრების თვალსაზრისით, არ შეიძლება. უნდა ვაღიაროთ, რომ მანეთის გაუფასურების დონე ამჟამად არ შეიძლება იყოს ფულის რეფორმის დაწყებისა და პირველ ეტაპზე ახალი მტკიცე ვალუტის გამოშვების შემფერხებელი. ფულის რეფორმის განხორციელებით აღდგენის ტემპები გაიზარდა, სახალხო მეურნეობის აღდგენისამებრ შემცირდა ბიუჯეტური დეფიციტი და 1924 წ. დასაწყისში მივედით იმ დასკვნამდე, რომ დადგა ფულის რეფორმის დამთავრების მომენტი. საბოლოო ჯამში, ჩერვონეცისა და საბჭოთა ფულის ნიშნების პარალელური მიმოქცევა გაგრძელდა წელიწადნახევარს. ქვეყანამ მიიღო მტკიცე და კონვერტირებული ვალუტა-ჩერვონეცი, რომელსაც ოქროს უზრუნველყოფა ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩერვონეცი თავისთავად ქაღალდის ფულის ნიშანს წარმოადგენდა. სულ მალე, 1925 წელს, ბაზარზე ჩერვონეცი ომამდელი ოქროს ათმანეთიანის თანაბარი გახდა. შეიძლება რამდენიმე სხვანაირი მდგომარეობა წარმოიშვას საქართველოში, თუ სწორედ ეხლავე ან რაც შეიძლება უახლოეს დროში, შევუდგებით რეფორმის პირველ ეტაპზე მტკიცე ეროვნული ვალუტის გამოშვებას. საქმე ისაა, რომ წარმოების დაცემა ჯერ კიდევ არ შეჩერებულა, ამიტომ ბიუჯეტური დეფიციტის სიდიდეს სამწუხაროდ, გადადების ტენდენცია ექნება, პარალელური მიმოქცევის პერიოდი უფრო ხანგრძლივი დროით გაჭიანურდება.

ისმის კითხვა: პარალელური მიმოქცევის ამგვარ გახანგრძლივებას რა ემუქრება? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე მანეთის გაუფასურების დონე არაფრით არ შეედრება საბჭოთა ფულის ნიშნების 1922 წლის ბოლოს გაუფასურების დონეს. გაუფასურების მიუხედავად, მანეთი აგრძელებს ფულის ძირითადი ფუნქციების — ღირებულების საზომის, მიმოქცევის საშუალების, გადახდისა და დაგროვების საშუალების შესრულებას, მაშინ როცა საბჭოთა ფულის ნიშნები 1922 წლის ბოლოს პრაქტიკულად მხოლოდ ერთ ფუნქციას — მიმოქცევის საშუალებას ასრულებდა. ამიტომ 1922-1924 წლების პირობებისაგან განსხვავებით, ახალი ვალუტა მიმოქცევაში მცირე თანხებით უნდა გამოვუშვათ, მანეთი დროებით შენარჩუნებული იქნება, რომელიც ყველა ფუნქციას შეასრულებს, მაგრამ ვინაიდან იგი დაიწყებს სწრაფვას, გადაიცვალოს ახალ ვალუტაზე, საჭიროა გადასაცვლელი კურსი ეკონომიკურად დასაბუთებული იყოს, თანაც მისი კურსი, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, პერიოდულად ზუსტდებოდეს. საჭიროა სრულიად ერთმნიშვნელოვნად მივიღოთ, რომ გადაცვლის პროცესში გარდაუვალად წარმოიშობა მოსახლეობის სწრაფვა მანეთებში თავიანთი დანაზოგის ახალ ვალუტაზე გადასვლისა, რათა აიცილონ დანაკარგები მანეთის გაუფასურებისაგან, თანაც პირველ რიგში ეს შეეხება ანაბრებს შემნახველ ბანკებში. თუ ფული შემნახველი ბანკის ანგარიშებიდან გაიცემა შეუფერხებლად, მაშინ ბაზარზე მოთხოვნა — მოწოდების ზეგავლენით სტიქიურად აღმოცენდება გადასაცვლელი კურსი, რომელსაც შეუძლია, დაამახინჯოს რეალური შეფარდება ახალ ვალუტასა და მანეთს შორის. საბაზრო კურსის მერყეობიდან დანაკარგები სახელმწიფოზე გადავა. ჩვენ გვესახება, რომ რეფორმის დასაწყისიდანვე, ე. ი. მიმოქცევაში ახალი მტკიცე ვალუტის გამოშვების შემდეგ, ახალ და ძველ ვალუტებს შორის დადგინდეს ოფიციალური გადასაცვლელი კურსი, რომლის გადასინჯვა მიზანშეწონილია ახალი ვალუტის ფუნქციონირების სფეროს გაფართოებისამებრ, გამომდინარე წარმოების განვითარებისა და ბიუჯეტური დეფიციტის შემცირებიდან.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს ფულის რეფორმის დამთავრებასთან დაკავშირებით ერთი ასეთი ორგანიზაციული საკითხიც. მაგალითად, რეფორმის დაწყებისათვის დაველოდოთ ბიუჯეტური დეფიციტის სრულ ლიკვიდაციას, თუ რეფორმის დამთავრება მოვახდინოთ ბიუჯეტური დეფიციტის სრულ ლიკვიდაციამდე?

თუ ისევ 1922-1924 წწ. ფულის რეფორმის გამოცდილებას მივმართავთ, მაშინ არაა ძნელი, შევნიშნოთ, რომ რეფორმა დამთავრდა მცირე, მაგრამ მაინც ბიუჯეტური დეფიციტის არსებობის დროს. მიუხედავად ამისა, რეფორმა მაინც წარმატებით დამთავრდა, ვარაუდი იმაზე, რომ ბიუჯეტური დეფიციტი ზუსტად რამდენიმე თვეში დამთავრდებოდა, პრაქტიკით დადასტურდა. შორეული ისტორიიდან ეს პრეცედენტი არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს.

დაბოლოს მთავარია კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ ვითარებაში შემოღებული საქართველოს ვალუტა თავიდანვე უნდა გახდეს კონვერტირებული საგარეო ბაზარზე. ეს მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეკონომიკური გაერთიანების სხვა მონაწილეებთან ანგარიშსწორებაში მანეთის გამოყენებაზე უარის თქმა უკვე თავისთავად აყენებს საკითხს ისეთი ვალუტის შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოთაშორისო გაცვლას. სწორედ ამიტომ სახელმწიფოს ზრუნვა ახალი ვალუტის განმტკიცებაზე არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ შინაგანი ბაზრის სფეროთი. თუ კი ახალი ვალუტის ავტორიტეტი საგარეო ბაზარზე შეიბღალა, მაშინ წამოიჭრება იმის აუცილებლობა, რომ დახმარებისათვის მივმართოთ პრესტიჟულ კონვერტირებულ ვალუტებს, რაც ერთბაშად გვაიძულებს, ვუპასუხოთ მეტად მტკივნეულ კითხვას — კი მაგრამ საიდან მივიღოთ ეს კონვერტირებული ვალუტა? ძნელი არაა გავიგოთ, რომ უმჯობესია საქმე არ მივიყვანოთ საკითხის ამგვარ დასმამდე და შინაგან ბაზარზე ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით მთელი ძალისხმევა მოვახმაროთ ქართული ვალუტის სიმტკიცის შენარჩუნებას და საგარეო ბაზარზე მისი კონვერტირების მიღწევას.

ბედევან ხელაია,
ქ. გორის ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ინტერვიუ

პატენტები ეროვნული აღორძინების სამსახურში

ბოლო პერიოდში პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მრავალი პუბლიკაცია გვიჩვენებს, რომ ჩვენი საზოგადოება ცხოველ ინტერესს იჩენს რესპუბლიკაში საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობის განვითარების, ეროვნული საპატენტო სამსახურის ჩამოყალიბების, მისი ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტის გამო. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ამ მიმართულებით.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრის მოადგილეს, ბატონ დავით ბაბუნიას.

— საქართველოს დამოუკიდებლობის, რეალური სუვერენიტეტის მოპოვების უმნიშვნელოვანესი პირობაა მისი ეკონომიკური აღორძინება, შრომის საერთაშორისო განაწილებაში ჩართვა და ეფექტიანი მონაწილეობა...

— ამ პროცესის რეალიზაცია განუყრელად არის დაკავშირებული სამამულო მეცნიერულ გამოკვლევათა და ტექნიკურ დამუშავებათა დონის მკვეთრი ამაღლების, გამოგონებათა შექმნის და ფართოდ დანერგვის, უცხოეთის ტექნოლოგიურ მიღწევათა მოზიდვისა და გამოყენების, მათ საფუძველზე მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის (მანქანა-დანადგარების, ტექნოლოგიების, მასალების, სამომხმარებლო და სხვა საქონლის) შექმნის აუცილებლობასთან.

როგორც მოწინავე ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, ამ ამოცანის გადაწყვეტის აუცილებელ საფუძველს რესპუბლიკაში სამეცნიერო-ტექნოლოგიურ მიღწევათა ბაზრის ჩამოყალიბება, მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო სამართლებრივი და ეკონომიკური მექანიზმების ამოქმედება შეადგენს. ეს კი უპირველესად გულისხმობს ახალი მაღალინტელექტუალური პროდუქციის — გამოგონების შემქმნელის ან მისი უფლებამონაცვლის, როგორც მესაკუთრის აღიარებას და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მის უფლებათა ხელშეუხებლობის სახელმწიფო გარანტიას საპატენტო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

ასევე დაცვას საჭიროებს სამრეწველო საკუთრების დანარჩენი ობიექტებიც — სასაქონლო ნიშანი და სამრეწველო ნიმუში.

სწორედ ამიტომ ჩვენს სამინისტროში, რომელსაც ეკისრება საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობის წარმართვა რესპუბლიკაში, მისი ფუნქციონირების დაწყებისთანავე შეიქმნა სპეციალური კომისია წამყვანი იურისტებისა და პატენტმცოდნეების მონაწილეობით (ხელმძღვანელი პროფესორი ს. ჯორბენაძე), რომელსაც დაევალა სამრეწველო საკუთრების შესახებ რესპუბლიკური კანონპროექტების დამუშავება.

კომისიამ დიდი მუშაობა გასწია. დეტალურად შეისწავლა და გააანალიზა უცხოეთის ქვეყნების საპატენტო კანონები და ამ სფეროში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებები და ნორმები. გამოცდილების მიღების მიზნით დამყარდა პირდაპირი ურთიერთობა მოწინავე ქვეყნების (ჰოლანდია, შვეიცარია, ფინეთი) საპატენტო უწყებებთან და სპეციალისტებთან.

სამინისტროს მოწვევით თბილისში იმყოფებოდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საპატენტო უწყების პრეზიდენტი დოქტორი ჰოიზერი, რომელიც ამ დარგის აღიარებული სპეციალისტია მსოფლიოში და ამავე უწყების საპატენტო სამართლის საკითხების განყოფილების ხელმძღვანელი დოქტორი ჰიბელი. გერმანელ სტუმრებს საქმიანი შეხვედრები ჰქონდათ ჩვენს სპეციალისტებთან, გაეცნენ მომზადებულ კანონპროექტებს, მოგვაწოდეს მათზე თავიანთი შენიშვნები და წინადადებანი. მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ დოქტორმა ჰოიზერმა მზადყოფნა გამოთქვა აღმოგვიჩინოს დახმარება ეროვნული საპატენტო სამსახურის ჩამოყალიბებასა და ამოქმედებაში, მის საერთაშორისო ორგანიზაციებში მიღებასა და აღიარებაში.

ახლახან დოქტორმა ჰოიზერმა გვაცნობა თავისი გადაწყვეტილება გერმანიის საპატენტო უწყების ავტომატიზებული საინფორმაციო ბაზებით ჩვენი სპეციალისტების მიერ უფასოდ სარგებლობის შესახებ.

ამჟამად კომისიის მიერ მომზადებულია კანონპროექტები „საპატენტო კანონი გამოგონებაზე", „კანონი სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნების შესახებ", „კანონი სამრეწველო ნიმუშებზე", რომლებმაც უკვე გაიარეს ექსპერტიზა სამინისტროებსა, უწყებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და რომლებიც წარდგენილი იქნებიან განსახილველად მინისტრთა კაბინეტსა და უზენაეს საბჭოში. რა თქმა უნდა, კანონპროექტები გამოქვეყნდება პრესაში, რათა ფართო საზოგადოებას ჰქონდეს საშუალება გაეცნოს მათ და გამოხატოს თავისი აზრი.

— მაგრამ 22 ოქტომბრის „საქართველოს რესპუბლიკაში" უკვე გამოქვეყნდა პროექტი „საქართველოს რესპუბლიკის კანონი პატენტების შესახებ".

— აღნიშნული კანონპროექტი მომზადებულია ჩვენი კომისიისაგან დამოუკიდებლად. სამინისტროსთან არსებულმა კომისიამ განიხილა იგი, გამოთქვა სერიოზული შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ, რომლებიც თავის დროზე გაეგზავნა უზენაესი საბჭოს ეკონომიკის, კულტურის, განათლების და მეცნიერების მუდმივ კომისიებს.

— რა ფუნქციები უნდა დაეკისროს საპატენტო სამსახურს?

— როგორც ეს მიღებულია სხვა ქვეყნებშიც, მის ძირითად უფლება-მოვალეობას უნდა შეადგენდეს გამოგონებაზე, სამრეწველო ნიმუშზე, სასაქონლო ნიშანზე პატენტის გაცემის შესახებ განაცხადის მიღება, სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარება, პატენტის გაცემა ან მის გაცემაზე უარის თქმა, იძულებითი ლიცენზიების გაცემა, სახელმწიფო საპატენტო რეესტრის შედგენა-შევსება, სამრეწველო საკუთრების ბიულეტენის გამოცემა.

განმცხადებელს ან პატენტმფლობელს და საპატენტო სამსახურს შორის წამოჭრილი დავის განსახილველად განზრახულია აგრეთვე სამინისტროსთან შეიქმნას სააპელაციო პალატა.

ამჟამად სამინისტროში მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა საპატენტო სამსახურის სტრუქტურების ჩამოყალიბების, მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიმართულებით.

მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით ჩვენს სამინისტროსთან შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანება „ტექინფორმპატენტი", რომელშიც შევიდნენ არსებული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტი (ტექინფორმი), გ. მიქელაძის სახელობის ტექნიკური ბიბლიოთეკა და ახალი ქვედანაყოფი — საპატენტო ექსპერტიზის ცენტრი. ეს საშუალებას მოგვცემს ექსპერტიზის ცენტრი ტექნოლოგიურად დავუკავშიროთ ტექნიკურ ბიბლიოთეკაში განლაგებულ საპატენტო ფონდს, ტექინფორმი კი აქტიურად ჩავაბათ საპატენტო ინფორმაციის ავტომატიზებული ბაზების შექმნასა და ექსპლოატაციაში, მათი მეშვეობით საერთაშორისო ძიების ჩატარებაში ტექნიკის დონის დასადგენად, შემოსული განაცხადების ავტომატიზებული დამუშავების სისტემის ორგანიზებასა და მის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის გამოცემაში. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გამოვთქვა ჩემი აზრი ამა წლის 25 სექტემბერს „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივმოქმედი კომისიის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო სიძველეთა დაცვის კომისიის თავმჯდომარის ბატონ ზ. წიქარიძის წერილში „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მთავრობის ინფორმაციული უზრუნველყოფის კონცეფცია" დაყენებულ წინადადებაზე ეროვნული ბიბლიოთეკისა და ტექინფორმის გაერთიანების და მათ ბაზაზე ეროვნული (პარლამენტის) ბიბლიოთეკის ჩამოყალიბების თაობაზე. რა თქმა უნდა, სახელმწიფო მართვის ორგანოებს უნდა გააჩნდეს ძლიერი საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური, მაგრამ ასეთი სამსახურის შექმნა არ უნდა განხორციელდეს არსებული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სისტემის რღვევის ხარჯზე.

როგორც ცნობილია, „ტექინფორმი" ათეული წლების მანძილზე წარმოადგენს ამ სისტემის მოთავე ორგანიზაციას რესპუბლიკაში, ხელმძღვანელობს და წარმართავს მისი ცალკეული რგოლების საქმიანობას, უშუალოდ ასრულებს რესპუბლიკის სამეცნიერო და საწარმოო ორგანიზაციებისათვის ტექნიკურ-ეკონომიკურ, საპატენტო-სალიცენზიო, კონიუნქტურულ და პროგნოზული ხასიათის გამოკვლევებს, ახორციელებს ქვეყანაში და საზღვარგარეთ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ტენდენციების შესწავლას და სხვა. ჩვენი აზრით, ტექინფორმის ამ სისტემიდან გამოყვანა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებს, მათი სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ამოცანებს. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სისტემის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იმასთან დაკავშირებით, რომ ყოფილი საკავშირო ორგანიზაციები, რომელთა საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფდნენ საკავშირო დარგობრივი საინფორმაციო სამსახურები, რესპუბლიკის დაქვემდებარებაში გადმოდიან.

— საპატენტო სამსახურის ფუნქციებში თქვენ ახსენეთ იძულებითი ლიცენზიის გაცემა. ხომ არ ეწინააღმდეგება ეს თავისუფალი მეწარმეობის პრინციპებს, პატენტმფლობელის უფლებებს განკარგავდეს გამოგონებას.

— საპატენტო კანონის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა გამომგონებელთა და საზოგადოების ინტერესების ჰარმონიზაცია გამოგონების გამოყენებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ დაპატენტებული გამოგონება არასაკმარისად ან სრულიად არ გამოიყენება პატენტის მოქმედების ტერიტორიაზე პრიორიტეტის მიღებიდან გარკვეული დროის განმავლობაში, სახელმწიფოს ეძლევა უფლება ნებისმიერი პირის მოთხოვნით აიძულოს პატენტმფლობელი გადასცეს ლიცენზია ამ პირს სათანადო ანაზღაურების საფუძველზე. იძულებითი ლიცენზიის ინსტიტუტი აღიარებულია საერთაშორისო ნორმებით და მოქმედებს ყველა სახელმწიფოში.

— რაკი შევეხეთ ლიცენზიების საკითხს, ხომ ვერ გვეტყოდით როგორ გესახებათ რესპუბლიკის პერსპექტივები საზღვარგარეთ ლიცენზიების გაყიდვის საქმეში?

— მსოფლიოში ლიცენზიებით ვაჭრობა XVIII საუკუნის დამლევს დაიწყო. თუ თავდაპირველად ოპერაციებს ჰქონდათ ლოკალური, შიდა საბაზრო ხასიათი, XX საუკუნიდან მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის და საერთაშორისო ბაზრის ჩამოყალიბებასთან ერთად, იგი ხდება საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტი.

თანამედროვე ეკონომიკას ახასიათებს ლიცენზიებით საერთაშორისო ვაჭრობის მკვეთრი გააქტიურება. მსოფლიოში მოქმედებს 200 ათასი სალიცენზიო ხელშეკრულება, რომელთა საფუძველზე მზადდება 500 მილიარდი დოლარის პროდუქცია. ეს დაკავშირებულია მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ფართომასშტაბიან ინოვაციურ პროცესებთან, საკონკურენტო ბრძოლის ცენტრის მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში გადანაცვლებასთან. იმ დროს, როცა რესპუბლიკაში სამეცნიერო და საინჟინრო-საკონსტრუქტორო საქმიანობაში ჩაბმულია 100 ათასამდე კაცი, საქართველოს წილი მსოფლიო ბაზარზე ლიცენზიებით ვაჭრობაში, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ მოკრძალებულად გამოიყურება. 1986--1990 წ. წ. რესპუბლიკამ გაყიდა სულ 8 გამოგონების 12 ლიცენზია.

ამის მიზეზები უპირველესად სოციალისტური სისტემის, საწარმოო ურთიერთობათა წიაღში უნდა ვეძებოთ, რამაც გამოხატულება პოვა წარმოების დაბალ დაინტერესებაში ტექნიკური სიახლეებით, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ორგანიზებისა და ფინანსირებისადმი მოუქნელ მიდგომებში, სახელმწიფოს მიერ გამოგონების განკარგვის მონოპოლიზაციაში. საპატენტო კანონების ამოქმედება, უდავოდ, დადებით გავლენას იქონიებს საგამომგონებლო და სალიცენზიო საქმიანობის გააქტიურებაზე. საპატენტო სისტემის პირობებში, გამოგონებას მფლობელად გვევლინება კონკრეტული ფიზიკური ან იურიდიული პირი და იქმნება საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი მოტივაციური გარემო ღირებულ გამოგონებათა შესაქმნელად, რომლებიც შეიძლება გახდნენ სალიცენზიო ინტერესის ობიექტები.

ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობა დავუქვემდებაროთ მხოლოდ საბაზრო მექანიზმებს. მას დასჭირდება სახელმწიფოს თანადგომა, რომელიც უპირველესად უნდა გამოიხატოს სამუშაოთა ფინანსურ მხარდაჭერასა და შეღავათიანი დაბეგვრის საშუალებით გამოგონების შექმნის და გამოყენების სტიმულირებაში.

უნდა ვიფიქროთ საინოვაციო ფონდების შექმნაზეც, რომლებიც გრძელვადიანი და შეღავათიანი კრედიტების საფუძველზე დააფინანსებენ პერსპექტიულ სამუშაოებს.

დავსძენ, რომ რესპუბლიკაში პირველი საინოვაციო ფონდი უკვე ჩამოყალიბდა ჩვენს სამინისტროსთან.

მინდა ხაზი გავუსვა კიდევ ერთ გარემოებას. ლიცენზიის გაყიდვა არ უნდა იქცეს თვითმიზნად. კომპეტენტური ორგანიზაციები საერთაშორისო კონიუნქტურის შეფასების საფუძველზე უნდა დაეხმარონ გამომგონებელს მისი დამუშავების გამოყენების ოპტიმალური, ეკონომიკურად გამართლებული გზების დადგენაში: ლიცენზიის, ნოუ-ჰაუს გაყიდვა, თუ გამოგონების საფუძველზე პროდუქციის წარმოების ათვისება და შემდეგ მზა პროდუქციის რეალიზება.

— როგორ გესახებათ ყოფილი საბჭოთა კავშირის სუბიექტებთან ურთიერთობა სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში?

— უპირველეს ყოვლისა, უნდა მოგახსენოთ, რომ ერთიანი ცენტრალიზებული საპატენტო სისტემა, რომელიც ფუნქციონირებდა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, პრაქტიკულად აღარ არსებობს. ეს დადასტურდა კიდეც ამ ოროოდე კვირის წინ მოსკოვში საპატენტო საქმეში მომავალი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე გამართულ შეხვედრაზე. მის მუშაობაში რესპუბლიკა, რომელიც წარმოდგენილი იყო ჩვენი სამინისტროს სპეციალისტებით, ისევე როგორც ბალტიისპირეთის რესპუბლიკები და მოლდოვა, მონაწილეობდა მეთვალყურის სტატუსით.

შეხვედრაზე აღიარებულ იქნა რესპუბლიკებში, როგორც სუვერენულ სახელმწიფოებში, საკუთარი საპატენტო კანონმდებლობისა და საპატენტო სამსახურის შექმნის აუცილებლობა. ამასთან მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ისინი არიან საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრენი ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებებში. ამით პრაქტიკულად სუვერენული რესპუბლიკების, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტების ურთიერთაღიარებაა მიღწეული და დგება საკითხი შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში ამ ფაქტის ოფიციალურ აღიარებაზე.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სახელმწიფოთაშორისო საპატენტო კონვენციის პროექტზე, რომელსაც წინასწარი მოსაზრებებით საფუძვლად დაედება საპატენტო საქმიანობის საერთაშორისო პრაქტიკით („ევროპის საპატენტო კონვენცია", „საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება") აღიარებული პრინციპები.

გადაწყვეტილება აღნიშნულ კონვენციაში ჩვენი მონაწილეობის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მისი საბოლოოდ ჩამოყალიბების შემდეგ, ყოველმხრივი შესწავლის და შეფასების საფუძველზე.

— კიდევ ერთი კითხვა: როდის დაიწყებს საპატენტო სამსახური ფუნქციონირებას?

— ვფიქრობთ, თუ საპატენტო კანონები დროულად იქნება მიღებული, გაისად საპატენტო სამსახური უნდა ავამოქმედოთ, თუმცა მისი გამართული მუშაობისათვის ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი.

ხიდი

დახმარება ტექსელიდან

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების აქტიური ჩარევისა და ჰოლანდიის კუნძულ ტექსელის მოსახლეობის თაოსნობით 1986 წელს კუნძულ ტექსელზე შეიქმნა საზოგადოება „ტექსელი-ჯორჯია-კონტაქტი", რომელსაც ხელმძღვანელობენ ქალბატონი მარია დე გრაფი და ქალბატონი პეტი ვანდიკი. მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოში შეიქმნა ანალოგიური საზოგადოება „საქართველო-ტექსელი-კონტაქტი", რომელსაც ხელმძღვანელობს ბატონი გრიგოლ გიორგანაშვილი.

საზოგადოება ტექსელი-ჯორჯია-კონტაქტმა 1990 წელს ტექსელის საზოგადოების ფართო მხარდაჭერით საქართველოში ჩამოიტანა სმენის აპარატურა 35 ცალი, თითოეული 500 დოლარის ღირებულებისა, სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის, მათ შორის უფრო მძიმედ დაავადებულები წაიყვანა ჰოლანდიაში სამკურნალოდ. ექიმი-გინეკოლოგი ბატონი ა. მესხი მიწვეული იქნა სტაჟირებაზე. ქ. ჩაჩავას სახელობის დედათა და ბავშვთა ინსტიტუტს გადაეცა ინკუბატორი დღენაკლული ბავშვებისათვის, ხოლო მედიკამენტები, — ქალაქის საავადმყოფოებს. ასევე გატარდა მრავალი სხვა საქველმოქმედო ღონისძიება.

საქართველოში 1991 წელს მომხდარი მიწისძვრის გამო კუნძულ ტექსელზე პრესის, რადიო-ტელევიზიის საშუალებით ფართოდ გაიშალა საქველმოქმედო საქმიანობა, რის შედეგადაც შეგროვდა დიდძალი სამრეწველო ნაწარმი, მედიკამენტები, რომელიც ქალაქ ბრესტამდე ავტომანქანებით წამოიღო ქალბატონმა მარია დე გრაფმა. მათ მიერ გადახდილმა ტრანსპორტის ხარჯმა 2,5 ათას დოლარს გადააჭარბა. ტვირთი ძირითადად შეიცავდა მოზრდილებისა და ბავშვების ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, საბნებს, სათამაშოებს, მედიკამენტებსა და სხვ., რომლის საორიენტაციო ღირებულება აღემატება 100 ათას გულდენს (ჰოლანდიური ფულის ერთეული, 55 ათასი დოლარი). გარდა ამისა, საჩუქრების სახით იყო აგრეთვე 15 ათასი გულდენის ღირებულების საქონელი, ნიდერლანდების საქველმოქმედო ორგანიზაციებისაგან.

სპეციალური ვერტმფრენით და ავტოტრანსპორტით ჰუმანიტარული ტვირთი ქალბატონმა მარია დე გრაფმა თავის თანმხლებ პირებთან ერთად ჩაიტანა ამბროლაურის და ონის რაიონებში, ქალაქ ჭიათურის ზონის სოფლებში, გორისა და ქარელის რაიონებში. მან თვითონ გადასცა დაზარალებულ ოჯახებს ჩატანილი საჩუქრები, მათ შორის ტრაგიკულად მოკლული ელგუჯა ხადურის ოჯახს, რომელსაც მიწისძვრის შედეგად სამი ბავშვი დაეღუპა.

ქალბატონმა მარია დე გრაფმა ჩამოტანილი მედიკამენტები გადასცა აგრეთვე თბილისის ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოს და ონკოლოგიურ ცენტრს.

საგულისხმოა, რომ იგი პირველად 1983 წელს ჩამოვიდა საქართველოში კუნძულ ტექსელის დელეგაციის შემადგენლობაში. ეს ღონისძიება მიეძღვნა ტექსელზე ქართველების აჯანყების 38-ე წლისთავს.

1986 წლიდან სისტემატურად ეწყობა ამ საზოგადოების ეგიდით ორმხრივი შეხვედრები. 1989 წელს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები (მათ შორის ტექსელის აჯანყების მონაწილეთა ჯგუფი) და მათი ოჯახის წევრები ეწვივნენ კუნძულს.

საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კუნძულ ტექსელზე სასტიკ და უთანასწორო ბრძოლაში ქართველების აჯანყების მასალების შესწავლას, მათ გაშუქებას, დაღუპულთა 522 საფლავის მოვლა-პატრონობას, გამარჯვების დღეს სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობას.

ქალბატონ მარია დე გრაფს გათვალისწინებული აქვს მომავალშიც მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს საქართველოში სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას.

ჯემალ ბურული,
„საქართველოს რესპუბლიკის"
საქ. კორესპონდენტი.

მისმინეთ

„მე ჯავახეთს რა მიჭირდა..."

მე ჯავახეთს რა მიჭირდა,
მთვარე მედგა მზესავითა,
კალმახი და ქერის პური
წინ მეყარა ბზესავითა.
ხალხური

ეჭვი არ მეპარება, ეს ლამაზი, სევდიანი სტრიქონები მესხეთის მკვიდრ ჯავახ კაცს არც ახლა შეუქმნია, არც მეოცე საუკუნეში, არც მეცხრამეტეში. ამას ფოლკლორისტები გაარკვევენ, თუ უკვე გარკვეული არა აქვთ, მე კი ერთ ვარაუდს გამოვთქვამდი — ამ შინაარსის და ასერიგად აზრტევად სტრიქონებს ხალხი ვერც მაშინ შექმნიდა, როცა არ უჭირდა და ვერც მაშინ, როცა დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა გაუჭირვებლად ცხოვრების ხსოვნა. ალბათ იმ საბედისწერო გზაგასაყარზე, ბედის დოლაბმა უკუღმა რომ დაიწყო ტრიალი, მაშინ თუ აღმოხდა ეს სიტყვები ქართველ კაცს.

დიდი ილია ამბობდა — ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ის თავის ისტორიას ივიწყებსო. მეც მინდა მკითხველს შევახსენო და მცირე ისტორიული ექსკურსით დავიწყო, იმით, თუ რანი ვიყავით და რანი დავრჩით ჯავახეთში, თითქმის მთლიანად საქართველოსთვის შეწირულ ამ ძირძველ ქართულ მიწაზე. ჩემი მიზანი ამ კუთხის დემოგრაფიული ვითარების ანალიზია, იმისა, თუ საიდან მოვედით და სადამდე მოვედით, რამდენი ვიყავით და რამდენი დავრჩით კალმახის დამჭერი და ქერის პურის მომყვანი ხალხიდან.

უფრო ადრინდელი და სანდო ჯერჯერობით არაფერი ჩანს. მე-16 საუკუნის დამლევის ფისკალური შინაარსისა და დანიშნულების ისტორიული ძეგლის — „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით ახალქალაქის ლივაში, რომელიც სამ რაიონს აერთიანებდა, 139 დასახლებული პუნქტი იყო, რომლებშიც 1043 კომლი ცხოვრობდა. ისტორიკოსთა ვარაუდით ეს სულ ცოტა 5215 მცხოვრებს უდრიდა, რომელთაგან 95 პროცენტი, ე. ი. 5000 კაცამდე ქართველი უნდა ყოფილიყო. 1886 წლის ამიერკავკასიის მხარის ოჯახების სტატისტიკური აღწერის მიხედვით ახალქალაქის მაზრაში, რომელშიც დღევანდელი ნინოწმინდის რაიონიც შედიოდა, 6081 ქართველი ცხოვრობდა. უკანასკნელი ერთი საუკუნის მანძილზე მთლიანად საქართველოში ქართველთა რაოდენობა დაახლოებით 2,5-ჯერ გაიზარდა და 4 მილიონს მიაღწია; შეიძლება საკმაოდ მაღალი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ ამავე პერიოდში ჯავახეთიდან ქართველთა ინტენსიურ მიგრაციას რომ არ ჰქონოდა ადგილი, დღეს იქ 15 ათას ქართველზე მეტი უნდა ცხოვრობდეს, ე. ი. სულ ცოტა 5-ჯერ მეტი, ვიდრე დღესაა. ეს მით უმეტეს სარწმუნოა, რომ შობადობის დონით მაშინ ჯავახი ქართველობა არათუ საქართველოს ბევრ კუთხეს, არამედ სომხურ მოსახლეობასაც უსწრებდა.

უნდა შევნიშნო, რომ აქ მხედველობაში არაა მიღებული მუსლიმანი ქართველები, რომელთაც მეფის რუსეთის სტატისტიკა ცალკე გამოყოფდა და თურქულენოვან ან სუნიტ ქართველებს უწოდებდა. სხვადასხვა ცნობით ერთი საუკუნის წინ მათი ნახევარზე მეტი ჯერ კიდევ ქართულად ლაპარაკობდა, ხოლო ჯავახეთში მათი რაოდენობა ქრისტიანი ქართველი მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი იყო; ახალციხის მაზრაში მუსლიმანი ქართველობა რიცხვით საგრძნობლად სჭარბობდა ქრისტიან ქართველობას.

„აწმყო შობილი წარსულისაგან"... და პლუს ჩვენივე უთავობა

მაშ ასე, ერთი საუკუნის წინ ჯავახეთის ქართველობა 6 ათას კაცს აჭარბებდა, შეიძლებოდა დღეს სულ ცოტა 15 ათასი ვყოფილიყავით, მაგრამ...

თვალი გადავავლოთ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ჯავახეთში შექმნილ დემოგრაფიულ ვითარებას. ახალქალაქის რაიონში, სადაც სულ 70 ათასი კაცი ცხოვრობს და მიგრაციის გამო ბოლო 20 წლის მანძილზე მოსახლეობის რაოდენობა არსებითად სტაბილურია; მოსახლეობის აღწერის მონაცემებით ქართველთა რაოდენობა შეადგენდა: 1970 წელს 3926 კაცს, 1977 წელს — 3067 კაცს, ხოლო 1989 წელს —3005 კაცს. ამავე წლებში ქართველი მოსახლეობის წილი რაიონის მთელ მოსახლეობაში შესაბამისად უდრიდა 5,6, 4,4 და 4,3 პროცენტს.

უფრო მძიმე ვითარებაა ნინოწმინდის რაიონში, სადაც ქართველები თითებზეა ჩამოსათვლელი და რაიონის მოსახლეობის ერთი პროცენტია. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ უკანასკნელ 20 წელიწადში აშკარადაა გამოკვეთილი ჯავახეთში ქართველი მოსახლეობის წილის მკვეთრად შემცირების ტენდენცია. ნურავინ იფიქრებს თითქოს 1970-1989 წლებში ქართველთა წილის ერთი პროცენტით შემცირება დიდი არაფერია, რადგან მოსახლეობის რაოდენობა ერთი მეოთხედითაა შემცირებული.

გვინდა თუ არა, სიმართლე ერთია — რაც წარსულმა რისხვა დაგვაკლო, მერმე უკვე აგერ, ჩვენს თვალწინ მოხდა. მართალია, ადამიანურ ცთუნებებს უნდა გავუგო, მაგრამ რაოდენ გაჭირვებაშიც უნდა იყოს კაცი ჩავარდნილი, მე ვერ ვაპატიებ თავისი ადგილის დედის, წინაპართა სალოცავებისა და საძვალეების მიტოვებას; არც ისაა დასამალი და საპატიებელი, რომ ბოლო ათწლეულებში ჯავახეთში ქართული მოსახლეობის ისედაც მცირე რიცხვის მკვეთრი შემცირება საქართველოსა და მისი ხელმძღვანელების უყურადღებობის,, ეროვნული პრობლემების მიჩუმათებისა და „ინტერნაციონალიზმის" ბრალია. ეს სამარცხვინო ლაქად დარჩება იმათ, ვისაც მცირედი შველა მაინც შეეძლო, მაგრამ „ხალხთა მეგობრობას" ვერ უღალატა. რასაკვირველია, თითო-ოროლა გულმხურვალე, ჩუმი თუ ხმაურიანი, სიტყვიანი თუ საქმიანი პატრიოტი და შემძლე კაცი ამ რეგიონს ყოველთვის ჰყავდა, მაგრამ თავგანწირულთა ცდა ამინდს ვერ ცვლიდა, ერთი მერცხლის ჭიკჭიკს გაზაფხული ვერ მოჰყავდა.

ასეთი სურათის შემდეგ ძალზე მიჭირს მკითხველს კიდევ უფრო გავუფუჭო ხასიათი, კიდევ უფრო დავამწუხრო, მაგრამ, რა ვქნა, ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია. საქმე და უბედურება კი ის არის, რომ ზემოთ რომ მოსახლეობის ოფიციალური აღწერის მასალები მოვიტანეთ, რეალურად იმდენიც არა ვართ ქართველობა ჯავახეთში. ასეთია სიმართლე და რაც უნდა მწარე იყოს ის, თვალი მაინც უნდა გავუსწოროთ. ეს შეულამაზებელი და სამწუხარო სიმართლე დღის შუქს (პირველად სწორედ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლების სახით) ალბათ ვერასოდეს ნახავდა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი ჯავახეთში დემოგრაფიული ვითარების მეცნიერულ შესწავლას რომ არ შედგომოდა და სხვა სამუშაოებთან ერთად მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მასალებს სოფელ-სოფელ და ოჯახ-ოჯახ არ ჩაღრმავებოდა.

ახლა კი კონკრეტულად — როგორც ითქვა, მოსახლეობის უკანასკნელი, 1989 წლის აღწერის მიხედვით ახალქალაქის რაიონში 3005 ქართველი ცხოვრობდა, ნინოწმინდის რაიონში კი 454. აღწერის დროს არც ერთ ამ რაიონში აჭარიდან ან საქართველოს სხვა რეგიონიდან ორგანიზებულად ჯერ არავინ იყო ჩასახლებული. აღწერის პირველადი მონაცემების სოფლებისა და ოჯახების მიხედვით შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ქართველთა რაოდენობა ხელოვნურადაა გაზრდილი. რა და როგორ მოხდა დაწვრილებით აქ არ შევჩერდები, მაგრამ ვიტყვი მთავარს — საკავშირო სტატისტიკური სამმართველოს ინსტრუქციის შესაბამისად რესპუბლიკის გარეთ განლაგებული სამხედრო ნაწილები საქართველოს ყოფილ სტატისტიკურ სამმართველოს უგზავნიდნენ საქართველოდან სამხედრო სამსახურში მყოფთა დემოგრაფიულ მონაცემებს დაბადების ადგილის ასერიგად მინიშნებით — საქართველო, ანდა ესა თუ ის ავტონომიური რესპუბლიკა, ე. ი. ქალაქებისა და რაიონების მიუთითებლად. იმავე ინსტრუქციით სამხედრო ნაწილებიდან მიღებული ასეთი კონტინგენტი ქალაქებისა და რაიონების მიხედვით ნაწილდებოდა რესპუბლიკის მთლიან მოსახლეობაში მათი წილის შესაბამისად და იქ აღწერილი მოსახლეობის რაოდენობას ემატებოდა; ე. ი. თუ მაგალითად, ჯავახეთის ორ რაიონში საქართველოს მთელი მოსახლეობის ორი პროცენტამდე ცხოვრობს, ჯარში გაწვეული კონტინგენტის ორი პროცენტი ამ რაიონებს მექანიკურად მიემატება. კაცი ერთი შეხედვით იფიქრებს, დიდი ცოდო არ ჩაუდენიათო, მაგრამ მოსკოვში ვიღაც ბიუროკრატის მიერ შემუშავებულმა ამ თავთხელმა ინსტრუქციამ ბევრ რამესთან ერთად ისიც ვერ გაითვალისწინა, რომ საქართველოდან ჯარში გაწვეულთა შორის დაახლოებით 70 პროცენტი ქართველი იქნებოდა, ხოლო ისეთ ქართველმცირე რეგიონებზე მექანიკური გადანაწილებისას, როგორიც ჯავახეთია, ამ უკანასკნელებში ქართველთა რაოდენობა ხელოვნურად გაიზრდებოდა, რადგან სავსებით რეალური ალბათობით გადანაწილებულთა შორის დაახლოებით 70 პროცენტი ქართველი იქნებოდა, იმის ნაცვლად რომ 4,3 პროცენტი ყოფილიყო.

ამ კურიოზული ფაქტის ანალიზმა საბოლოოდ იქამდე მიგვიყვანა, რომ ახალქალაქის რაიონში აგრერიგად, რასაკვირველია, შეუგნებლად, მიწერილ-მიმატებული აღმოჩნდა 741 ქართველი, ნინოწმინდის რაიონში კი — 249. ჰოდა სიმართლე თუ გვინდა, აი ესაა — ახალქალაქის რაიონში მოსახლეობის უკანასკნელი აღწერით 3005 ქართველი კი არ ცხოვრობდა, არამედ 2264, ე. ი. თითქმის მეოთხედით ნაკლები, ნინოწმინდის რაიონში კი 454-ის ნაცვლად მხოლოდ 205 ქართველი, ანუ იმის 45 პროცენტი, რამდენიც გვეგონა. აი თურმე რა დღეში ვყოფილვართ, ჯერ ვითომ რა ბევრი ჩვენ ჯავახეთში ვიყავით და თურმე ამის მეოთხედი ტყუილი ყოფილა. შეგახსენებთ, რომ ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებს საქართველოს ტერიტორიის 3,7 პროცენტი უკავია, აქ ცხოვრობს რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 2 პროცენტი, ხოლო ქართველთა 0,1 პროცენტზე ნაკლები.

ხედავ, ძვირფასო მკითხველო, როგორ თითო-თითოდ ვითვლი ქართველებს ჯავახეთში?! იქნებ სიმწრითაც გაგეცინოთ, მათი მთლიანი რაოდენობა ერთი მოზრდილი სოფლის ტოლი რომაა. დღეს საქართველოში ასამდე სოფელია, სადაც მოსახლეობა სამ ათას კაცს აჭარბებს, მათ შორის 21 სოფელში 5 ათას კაცზე მეტი ცხოვრობს, თუმცა მათ მესამედში ქართველები არ სახლობენ.

უკვე აღვნიშნე, რომ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ჯავახეთში ქართველთა ისედაც სიმბოლური რაოდენობა მეოთხედით შემცირდა, ხოლო თუ ამ ჩვენს თანამემამულეთა ასაკობრივ სტრუქტურას გავაანალიზებთ, ნათელი გახდება, რომ განგაშის ზარები დიდი ხნით ადრე უნდა შემოგვეკრა და საქართველოს ეს მრავალჭირნახული კუთხე გასაწირად არ გაგვემეტებინა. სიმართლე რომ ითქვას, განგაშის ზარები ადრეც რეკდნენ, მაგრამ არავინ იყო მათი გამგები და პრაქტიკული შემწე. როცა ხუთი-ექვსი წლის წინ ჩვენ ოფიციალური წერილით მივმართეთ რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელს, როგორც მითხრეს, მან ხელები გაასავსავა, რა ვქნა, რა გავაკეთოო.

თავად განსაჯეთ, მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მიხედვით ახალქალაქისა და ნინოწმინდის მთელი (ძირითადად სომხური) მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში 10 წლამდე ბავშვების წილი 20 პროცენტს აჭარბებს, 20 წლამდე ასაკის მოსახლეობისა კი 40 პროცენტის ფარგლებშია; ქართულ სოფლებში იგივე მაჩვენებელი 15 და 30 პროცენტს არ აღემატება. შესაბამისად; სამაგიეროდ, თუ 50 წელზე ხნიერი მოსახლეობის წილი მთლიანად ამ რაიონებში 20 პროცენტს არ აჭარბებს, ბევრ ქართულ სოფელში ის ორჯერ მეტია და 40 პროცენტს უახლოვდება, ე. ი. ქართული სოფლების მოსახლეობის დაბერების პროცესი საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს და პრაქტიკულად იმ ზღვარს მიუახლოვდა, საიდანაც დეპოპულაციის პროცესი იწყება. რა დემოგრაფიული პერსპექტივა უნდა ჰქონდეს, მაგალითად, ქართულ სოფლებს პტენასა და ჩუნჩხას, რომლებშიც ათ წლამდე ბავშვების წილი ამ სოფლების მთელი მოსახლეობის 7 და 10 პროცენტია შესაბამისად, ხოლო 50 წლის ასაკს გადაცილებული მოსახლეობისა — 58 და 60 პროცენტი.

არ გაგიკვირდეს, ძვირფასო მკითხველო, და ხსნა ისევ ღვთისგან მოვიდა, უფრო სწორად კი ღვთის რისხვამ გამოაცოცხლა იმედი ხსნისა. ბოლო წლებში ჩვენს მიწაზე მოხშირებულმა სტიქიურმა უბედურებებმა არც აჭარა დაინდო, ხოლო თვითონ გაჭირვებული და ბუნებისგან თითქოს განწირული, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ შეუმრავალი და უდრეკი აჭარლები მხსნელად მოევლინენ ქართველთაგან თითქმის დაცლილ ჩვენს არა ერთ და ორ კუთხეს. ასე აკიაფდა თითქმის სამი წლის წინ იმედის ნაპერწკალი ჯავახეთის მიწაზეც, სადაც ორგანიზებულად დაიწყეს ჩასახლება აჭარლებმა.

როგორი სურათი გვაქვს დღეს?

უკვე აღინიშნა, რომ 1989 წელს დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მიერ დაზუსტებული მონაცემებით ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში 2469 ქართველი ცხოვრობდა. მოსახლეობის აღწერის შემდგომ პერიოდში ახალქალაქის რაიონში ორგანიზებულად იქნა ჩასახლებული 937 კაცი აჭარის მაღალმთიანი რაიონებიდან, ხოლო ნინოწმინდის რაიონში 378 კაცი საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან. ამრიგად, ახალქალაქის რაიონში სადღეისოდ 3201 ქართველი ცხოვრობს, ნინოწმინდის რაიონში კი — 583, ე. ი. ორივე რაიონში — 3784 კაცი, რაც ამ რაიონების მთელი მოსახლეობის 3,6 პროცენტია.

ასე თუ ისე, შეიძლება რაოდენობრივად და რეგიონის მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურის თვალსაზრისით დიდი არაფერი მომხდარა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — 1989 წლიდან დღემდე ჯავახეთში ქართველთა რაოდენობა 1315 კაცით, ანუ 53,3 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ქართველთა წილი რეგიონის მთლიან მოსახლეობაში — 2,3-დან 3,6 პროცენტამდე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჯავახეთში მოსახლეობის ორგანიზებული ჩასახლების შედეგად შეჩერებულ იქნა ქართულ-ეროვნული თვალსაზრისით ამ კუთხის დემოგრაფიული და არა მხოლოდ დემოგრაფიული კვდომის პროცესი და გამოცოცხლების ერთგვარი იმედი დაისახა.

უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩამოსახლებულთა ასაკობრივი სტრუქტურა დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების საკმაოდ კარგ პერსპექტივას იძლევა, რასაკვირველია, თუკი ახალგაზრდობა ისევ არ გაგვექცა; კერძოდ, ჩამოსახლებულთა თითქმის მესამედი 10 წლამდე ასაკისაა, ნახევარი — 20 წლამდე ასაკის, ხოლო 50 წელს გადაცილებულია მხოლოდ 6,2 პროცენტი. მოსახლეობის გამრავლების თვალსაზრისით ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად უკეთესია სომეხი მოსახლეობის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით.

რადგან ჩამოსახლებულთა რაოდენობა ჯავახეთის ქართული მოსახლეობის მესამედია, ამით ასაკობრივი სტრუქტურის საერთო სურათიც საგრძნობლად უმჯობესდება. ეს დაეტყო ქართული სკოლების კონტინგენტსაც. 1976-1977 სასწავლო წელს ახალქალაქის რაიონის შვიდ ქართულ სკოლაში 542 ბავშვი სწავლობდა, 1988-1989 წლებში მათი რიცხვი 326-მდე შემცირდა, რამდენიმე ქართული სკოლა მოსწავლეთა კონტინგენტის არარსებობის გამო ფაქტობრივად დაიხურა კიდეც. წლევანდელ სასწავლო წელს კი უკვე ცხრა ქართულ სკოლაში 500 ბავშვი დადის. ქართული სკოლები გაიხსნა დაბა ნინოწმინდაში და რამდენიმე სოფელში. ადრე ამ რაიონში არც ერთი ქართული სკოლა არ იყო.

არ შეიძლება ჭეშმარიტებას ვუღალატოთ და ობიექტურად არ ვთქვათ — 1989 წლიდან ახალქალაქის ქართული სოფლები დიდ სამშენებლო პოლიგონად იქცა და საფუძველი ჩაეყარა მათ აღორძინებას. საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ და ფართო საზოგადოებრიობამაც, როგორც იქნა თითქოს გაითავისა ჯავახეთის ეროვნული ტკივილები, ბევრმა ორგანიზაციამ და კერძო პირმაც მოწყალების ხელი გაიღო, მატერიალურად მიეხმარნენ გაჭირვებულ და უცხო გარემოში მოხვედრილ ქართველებს, მოეფერენ მათ. ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა საზოგადოება ჯავახეთმა და ჯავახეთის ასოციაციამ. ნინოწმინდის რაიონში ბინების შესყიდვას დიდი ღვაწლი დასდო მერაბ კოსტავას ფონდმა.

სადღეისოდ ახალქალაქის რაიონის ქართულ სოფლებში ოკამში, აფნიაში, გოგაშენში, ჩუნჩხაში, პტენაში, კოთელიასა და აზმანაში უკვე აშენებულია 334 კაპიტალური, ორსართულიანი სახლი; მშენებლობის პროცესშია 170 სახლი, რომელთაგან სადღეისოდ თითქმის ყველა დაკონსერვებულია, 1991 წელს არსებითად არაფერი გაკეთებულა. შედარებისთვის ვიტყვი, რომ თავიდანვე ახალქალაქის რაიონში დაგეგმილი იყო 790 სახლის მშენებლობა, მათგან 237 სახლი 1989 წელს უნდა დამთავრებულიყო, 242—1990 წელს, ხოლო 263—1991 წელს. ასე რომ, ილევა წლევანდელი წელი და სადღეისოდ დაგეგმილის ნახევარიც არაა აშენებული. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ წელს მშენებლობა საერთოდ შეწყდა.

ასე რომ, ნეტა ვცდებოდე, მაგრამ ერთი უსიამოვნო დასკვნა უნდა გავაკეთო — ჯავახეთში თითქმის კლინიკურ სიკვდილამდე მისული ქართული გენი ის იყო გამოცოცხლდა და სიცოცხლის ნიშანწყალით უნდა აკიაფებულიყო, რომ კვლავ (მერამდენედ!) ჩვენივე გულგრილობის, უპასუხისმგებლობისა და უთაობის შედეგად აკიაფების ნაცვლად მბჟუტავ ნაკვერჩხლად იქცა და თუ სასწრაფოდ არ ვუშველეთ, მერე მას ვეღარაფერი გააღვივებს; არ მინდა წინასწარმეტყველის როლში გამოვიდე, მაგრამ ვფიქრობ, უკვე სამუდამოდ ვეღარ გაღვივდება.

აქ უკვე ვგრძნობ ოპონენტების მოსალოდნელ თავდასხმას — შე დალოცვილო, პურში ხომ არ ზიხარ, საქართველოში ასეთი დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა, ათეულ ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, მთელი საქართველო რაჭასა და ზემო იმერეთს აშენებს, რა დროს ჯავახეთიაო. თუ პრობლემას და ჩვენს მდგომარეობას ზერელედ, ემოციურად, დღევანდელი და არა ხანგრძლივი დიდქართული სატკივრიდან შევხედავთ, რასაკვირველია, ოპონენტები მართლები იქნებიან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს განა აღარ დადგა დრო ჩვენს ჭირს სწორად და მხოლოდ დიდქართველური სამრეკლოდან ვუყუროთ, დიდი ტკივილებიდან დამღუპველი ტკივილები გამოვარჩიოთ და მათი მკურნალობა ჩვენს შეძლება-არშეძლებისა თუ ღვთის რისხვასა და მოწყალებას არ დავუკავშიროთ?

ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი, რომ დიდბუნებოვანი და ჭირს შიგან ვაჟკაცურად გამაგრებული რაჭველები და ზემო იმერლები სწორად გაგვიგებენ. მართალია, რომ რაჭასა და ზემო იმერეთში დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა; მართალია, რომ მთელი საქართველო უნდა დაეხმაროს და მხარში ამოუდგეს მათ; მართალია ისიც, რომ მათ თვით ჯავახეთიც ეხმარება, რითაც შეუძლია; მართალია, რომ ოდეს კაცსა გაუჭირდეს, მაშინ უნდა ძმა და თვისი.

მაგრამ განა ისიც მართალი არ არის, რომ ჯავახეთს მუდმივად, პერმანენტულად უჭირს, რომ იქ ყოველდღე მიწისძვრაა, თანაც უფრო საშინელი და დრამატული, რადგან შენობები კი არ ინგრევა, არამედ მთავარზე უმთავრესი — ქართული მიწა და ქართული გენი, ამ ძირძველ ქართულ კუთხეში ხელიდან გვეცლება ენა, მამული და სარწმუნოება.

მე იმას კი არ ვამტკიცებ, მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში მშენებლობა შევწყვიტოთ-მეთქი, არამედ იმას, რომ რაც უნდა დიდი მიწისძვრა მოხდეს, ჯავახეთში მშენებარე 170 სახლიდან მესამედი მაინც წელსვე რომ დაგვემთავრებინა და ყოველწლიურად დაახლოებით 50-60 სახლი მაინც აგვეშენებინა, ეს რაიმე სერიოზულ ძალისხმევას სულაც არ მოაკლებდა ზემო იმერეთსა და რაჭას, სადაც ქართულ ჯიშსა და გენს არ შექმნია საფრთხე, სასოწარკვეთამდე მისულ ჯავახეთს კი მიმქრალ იმედს გაუღვიძებდა, ხალხს არ ათქმევინებდა — დაიწყეს და მიგვატოვეს, ჩვენი მშველელი მაინც არავინააო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მე ნებისმიერი ჩვენგანის სირცხვილად მიმაჩნია, უკვე რამდენიმე წელია საძირკველმოშლილი რომ დგას ახალქალაქის არსებითად ერთადერთი და უმთავრესი ეროვნული კერა — ქართული საშუალო სკოლა, სხვათა შორის, თავის დროზე ისიც მიწისძვრისაგან დაზარალებული.

ამას გარდა, და ეს ნაკლებმნიშვნელოვანი როდია, ყველა ჩვენგანმა, განსაკუთრებით კი ხელისუფლებამ კარგად უნდა გაითვალისწინოს ამ კუთხეში მცხოვრებ თანამემამულეთა ფსიქიკის ზოგიერთი თავისებურება — დანარჩენი საქართველოსაგან და მმართველთაგან გამუდმებულმა უყურადღებობამ, მუდმივმა გაჭირვებამ, ღვთისა და ბედის ანაბარად ყოფნამ, არცთუ უსაფუძვლოდ, ისინი გარკვეულად უნდონი და ეჭვიანი გახადა (ან ვის უნდა ენდობოდნენ?!). ამიტომ, გულზე ხელი დავიდოთ და მათ ნუ გავამტყუნებთ, ორი-სამი წლის წინ გაჩენილი იმედის ნაპერწკალი წლევანდელი უყურადღებობის გამო ასე რომ მინელდა. ეს მათი ბრალი არ არის, ეს რეალური ცხოვრების, ყოველი ჩვენგანის, დანარჩენი საქართველოს, მისი ძველი და ახალი ხელისუფლების ბრალია. არა მგონია, მაგრამ თუ აქ რამეში ვცდები, შენდობას ვთხოვ ერსაც და ბერსაც.

ხოლო თუ რატომ ვაყენებ ასე კატეგორიულად ჯავახეთის ქართული სოფლების აღორძინების სამუშაოთა თუნდაც შეზღუდული მოცულობით, მაგრამ პერმანენტულად გაგრძელების აუცილებლობის საკითხს, თუ ვინმეში კიდევ ეჭვს იწვევს, შევეცდები ქვემოთ დავასაბუთო.

ვაჟა ბურბენიძე,
დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

(დასასრული იქნება)

ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲗᲐᲜᲐᲡᲔ დიდი — პაპი ალექსანდრიისა (IV ს.), მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ „მართლმადიდებლობის მამად" და „მეცამეტე მოციქულად" წოდებული მსოფლიო მოძღვარი, საუკუნეთა სიღრმიდან გვიქადაგებს: „უნდა ვემსახუროთ ღმერთს და არა — დროს!..". სამწუხაროდ, ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილი, მისი ავანგარდი, თავდავიწყებით გადაეშვა დროის მსახურების მორევში და თავისი (ჩემი აზრით, დაუმსახურებელი) ავტორიტეტით ცდილობს მთელი ერიც თან გადაიყოლოს. საქმე ეხება ინტელიგენციის კადნიერ ინტელექტუალურ შეტევას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და, საზოგადოდ, მართლმადიდებელი აღმსარებლობის საზღვრებში მათი მორღვევის მიზნით. ამის თვალსაჩინო მაგალითია წერილი სათაურით — „დავიწყებული იდეა", რომელიც წინასიტყვაობად აქვს წამძღვარებული „ქართული მწერლობის" მე-5 ტომს და ცალკე განხილვას იმსახურებს... ამჟამად მინდა გამოვყო დილეტანტების მხრივ ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული დამანგრეველი მუშაობა, რაც გამოიხატება ეკუმენური მოძრაობის მხარდაჭერით. სახელდობრ: სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ თავის წინასაარჩევნო პროგრამაში პირდაპირ განაცხადა, რომ მიზნად ისახავს საქართველო აქციოს „ეკუმენიზმის კლასიკურ ქვეყნად". ერთგვარი „მოვლენა" იყო ქ-ნ დინარა ხუმბაძის ღია წერილი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისადმი რაღაც კურიოზული დაჯგუფების სახელით, რომელიც ასე გამოითქმის: „იბერთა ღვთისმშობლის სრულიად საქართველოს საზოგადოების ეროვნული საქომაგო საბჭო". ამ მიმართვაში პირდაპირ ნაქადაგებია ეკუმენიზმი: „უკვე აღარ შეიძლება თვალის დახუჭვა არც იმაზე, რომ დღეს, მსოფლიო რელიგიური შემწყნარებლობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის ესოდენ დაძაბულ ვითარებაში (?! — გ. გ.), საქართველოს ეკლესიაში ზოგიერთი მაღალჩინოსანი მოძღვრის გზით ფეხს იკიდებს მძვინვარე უარყოფა მსოფლიოს ტოლერანტული მოძრაობისა, რაც ერთიანობისა და მოყვასის სიყვარულის ღვთაებრივად მამოძრავებელი ძალაა სამყაროში. ეს ხომ ნიშნავს მსოფლიოს კეთილი ნების ერთიანობისაგან ქართველი ერის მოწყვეტას სარწმუნოებრივი ინსტიტუტის გზით..." უფრო ადრე ქ-ნი ნაირა გელაშვილი „ქართული ფილმის" ფურცლებიდან გვამცნობდა: „...მსოფლიოს ჰუმანური ძალების მიზანია რელიგიური შეკავშირება, საერთო ლოცვა, გამაერთიანებელი და არა გამთიშველი ღირებულებისკენ გეზის აღება". ერთგვარი „დაგვირგვინება" ამ ეკუმენური შაბაშისა გახლდათ ვინმე ვალერიან ქარჩუსაშვილის „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული წერილი: „ცოტა რამ ეკუმენიზმზე"...

ადგილობრივი ეკუმენისტების პასუხად ვთარგმნე რუსეთის ემიგრაციის ეკლესიის პირველიერარქის მიტროპოლიტ ვიტალის მოხსენება „ეკუმენიზმი", რომელიც მეუფემ წაიკითხა აღნიშნული ეკლესიის მღვდელმთავართა კრებაზე, ქ. მაჰოპეკში (აშშ) 1968 წელს, ხოლო ბროშურად გამოსცა კანადაში 1969 წელს, შევსებული და გადამუშავებული სახით. დაე, ყველა ჩამოთვლილი მასალის გათვალისწინებით მიუკერძოებელმა მკითხველმა განსაჯოს, სასარგებლოა თუ საზიანო მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობა; მაგრამ ვიდრე თარგმანს წარმოვადგენდე, მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა საკუთრივ ემიგრაციის ეკლესიაზე, რათა ზოგადად მაინც ვიცოდეთ, რა სულისკვეთების მატარებელია იგი; ჩემზე უკეთ კი ეს ეკლესია თავად წარმოაჩენს თავს, როდესაც მკითხველი გაეცნობა მის მოწოდებას (წარმოთქმულს ამ ეკლესიის პირველი მწყემსმთავრის პირით) ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისადმი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით: „მართლმადიდებელნო ქრისტიანენო, ყოველნი აღსდექით წითელი ანტიქრისტეს წინააღმდეგ! არ შეიწყნაროთ მოწოდებანი მასთან შერიგებისა, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს ეს, რამეთუ არა არს მშვიდობა ქრისტესა და სატანას შორის! ძალაუფლებით, რომელიც ღვთისაგან მომეცა, განვხსნი და ვათავისუფლებ ყველა მორწმუნეს თვითმარქვია საბჭოთა მთავრობისთვის მიცემული ერთგულების ფიცისაგან, რამეთუ ქრისტიანენი სატანის ქვეშევრდომნი არ არიან! ღვთისგან ბოძებული ძალაუფლებით ვლოცავ და ვაკურთხებ ყოველ იარაღს, წითელ სატანურ ხელისუფლებაზე აღმართულს, და მივუტევებ ცოდვებს, ვინც აჯანყებულ რაზმთა რიგებში ან მარტოხელა შურისმაძიებლად თავს გასწირავს ქრისტიანული საქმისთვის" (მწყემსმთავრული ეპისტოლე უნეტარესი მიტროპოლიტი ანტონისა ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის მიმართ, რომელნიც უღელქვეშ რუსეთსა და საზღვარგარეთ იმყოფებიან). ამ მოწოდების შემდეგ დღემდე ეს ეკლესია იგივე სულისკვეთების მატარებელია, რასაც ადასტურებს ემიგრაციის ეკლესიის მღვდელმთავართა კრების საიუბილეო ეპისტოლე რუსეთის ნათლისღების 1000 წლისთავთან დაკავშირებით...

ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘ ᲕᲘᲢᲐᲚᲘ

ᲔᲙᲣᲛᲔᲜᲘᲖᲛᲘ

ᲔᲙᲣᲛᲔᲜᲣᲠᲛᲐ მოძრაობამ, რომელსაც აწ ჩვენ ვჭვრეტთ მისი დასრულებული ფორმით; მისი ერთგვარი მთავარი შტაბით — „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოთი"; მისი ორგანიზაციების შემუშავებული ქსელით, — განვლო განვითარების თანდათანობითი საფეხურები.

გასული საუკუნის ორმოციან წლებში გამოჩნდა მისი პირველი წინამორბედი: 1844 წელს ვინმე ჯორჯ უილიამსმა ლონდონში საფუძველი ჩაუყარა ე. წ. ი.მ.ქ.ა-ს (Young men Christian Association), რომელმაც თავისი 50-წლიანი არსებობის იუბილესათვის (1894 წ.) უკვე მოასწრო გავრცელება მთელს მსოფლიოში; ხოლო 1952 წლისათვის ითვლიდა 1 000 განყოფილებას 4 მილიონი წევრით. თავად დამფუძნებელი ამ საზოგადოებისა ინგლისის დედოფალმა ვიქტორიამ დააჯილდოვა რაინდული ორდენით.

11 წლის შემდეგ, რაც ი.მ.ქ.ა. შეიქმნა, ინგლისში ჩამოყალიბდა კიდევ ორი ქალთა საზოგადოება: სამხრეთ ინგლისში ვინმე მის ემა რობერტსმა დააარსა წრე ლოცვითი ერთობისათვის, ხოლო ლონდონში ლედი ქინერდმა სათავე დაუდო ახალგაზრდა ქალთა პრაქტიკული ქველმოქმედების საზოგადოებას. 1897 წელს ეს ორი ორგანიზაცია გაერთიანდა და ეწოდა საყოველთაოდ ცნობილი სახელი — ი. ვ. ქ. ა. (Young Women Christian Association).

თუმცა ი.მ.ქ.ა.-სა და ი.ვ.ქ.ა-ს არ გააჩნდათ რაიმე დოგმატური სისტემა, ისინი თავიანთი ბუნდოვანი, არამკაფიო, უკვე ნახევრად ქრისტიანული იდეოლოგიით ქმნიდნენ ადამიანთა მთელ კადრებს, რომელთაც ჰქონდათ პირწმინდად ჰუმანიტარული მსოფლმხედველობა და სწამდათ კაცობრივი ბუნების ორგანული სიკეთე ჟან ჟაკ რუსოსა და ტოლსტოის სულისკვეთებით. მათ მსოფლაღქმაში, რა თქმა უნდა, ადგილი არ ეკავა არც აზრს პირველშობილ ცოდვაზე და არც ქრისტეს ეკლესიის, ვითარცა ერთადერთი მაცხოვნებელი ძალის, რწმენას. ამგვარი შედეგების მისაღწევად შეიმუშავეს და იყენებდნენ საგანგებო ტაქტიკას, რომელიც მოქმედებდა ორი მიმართულებით: ერთის მხრივ ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებდნენ ადამიანის სხეულზე, ჯანმრთელობასა და ჰიგიენაზე, რითაც შეუმჩნევლად დაამკვიდრეს ხორციელი კეთილდღეობისა და სხეულის კულტი, მეორეს მხრივ, სულიერ აღზრდაში დანერგეს მკაცრი ჩარჩოები, რომლის ფარგლებშიც წარმოებდა ემოციურობის, მშვენიერების, ცოდვისადმი ქარაფშუტული დამოკიდებულებისა და ქრისტიანულ დოგმატთა ჭეშმარიტების მიმართ ირონიული მიდგომის შეთვისება; ყოველმხრივ აქეზებდნენ ქველმოქმედების ახლებურ ფორმას, ვითარცა ამსოფლიურ სიკეთეთა ჩამორიგებას, და ეს ხდებოდა არა ღვთის გამო, არა ქრისტეს ნიშნით[1]. ღვთისმოშიში, ეკლესიური ქრისტიანებისადმი ამ ორ ორგანიზაციაში სუფევდა ქედმაღლურ-შემწყნარებლური განწყობილება, — როგორც უყურებენ და ეპყრობიან ხოლმე კარგ, მაგრამ სულელსა და უგუნურ ბავშვებს. ამრიგად, რამდენიმე თაობა აღიზარდა ფსევდოქრისტიანობაში.

მსოფლიო მისიონერულ კონფერენციაზე ედინბურგში (შოტლანდია), რომელიც შედგა 1910 წელს, პირველად იქნა გამოყენებული ტერმინი — „ეკუმენიზმი", მისი თანამედროვე მნიშვნელობით; იქვე ჩაეყარა საფუძველი ახალ საზოგადოებას სახელწოდებით — „შრომისა და ცხოვრების მსოფლიო ქრისტიანული საბჭო", რომელმაც სხდომები გამართა სტოკჰოლმში 1925 წელს და ოქსფორდში — 1937 წელს. ამ შეხვედრების მიზანი გახლდათ სხვადასხვა ქრისტიანულ ეკლესიებს შორის ურთიერთობათა შესწავლა.

ზემოხსენებული მოძრაობის პარალელურად ჩამოყალიბდა კიდევ ერთი ახალი საზოგადოება, სახელწოდებით — „მსოფლიო კონფერენცია რწმენისა და წესრიგის შესახებ", რომელმაც გამართა ორი სხდომა: 1921 წელს ლოზანაში და 1937 წელს ედინბურგში; ამ ორგანიზაციამ მიზნად დაისახა გამოევლინა ყველა დაბრკოლება, რომელიც დაკავშირებული იყო სარწმუნოებრივ საკითხებთან და ხელს უშლიდა ეკლესიათა გაერთიანებას.

საბოლოოდ, 1937 წელს შემდგარ ედინბურგისა და ოქსფორდის კონფერენციებზე გადაწყდა ამ მოძრაობათა გაერთიანება ერთ ორგანიზაციად, სახელწოდებით — „ეკლესიათა მსოფლიო საბჭო". მართალია, მეორე მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა მას, რომ შესდგომოდა თავისი მიზნების განხორციელებას, მაგრამ ომის შემდეგ, 1948 წელს, მოწვეულ იქნა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პირველი ყრილობა ამსტერდამში, რასაც მოჰყვა კიდევ სამი ყრილობა: ევანსტონში — 1954 წელს, ნიუ-დელიში — 1961 წელს და შვედეთის ქალაქ უპსალაში, არცთუ დიდი ხნის წინ, 1968 წელს.

ეკუმენური მოძრაობის ისტორიული აღმოცენების ეს მოკლე აღწერა იქნებოდა არასრული, თუ არ ვახსენებდით ბოი-სკაუტების მსოფლიო ორგანიზაციას, რომელიც დააარსა, ასევე ინგლისში, ლორდმა ბადენ პაუელმა. ამ პირწმინდად საყმაწვილო ორგანიზაციამ მიზნად დაისახა აღეზარდა ახალგაზრდობა ინტერკონფესიული სულისკვეთებით; კოსმოპოლიტური სულით, რომელსაც იდეალად აქვს ადამიანური, კაცობრივი სიკეთე[2]. სწორედ ეს ორგანიზაციები წარმოადგენს იმ სამ ვეშაპს, რომელზეც დგას მთელი ეკუმენური მოძრაობა, და საიდანაც ავსებს იგი თანამოაზრეთა, მოღვაწეთა, თუ უბრალოდ თანამგრძნობი ადამიანების კადრებს.

ახლა განვიხილოთ თუ რა ფსიქოლოგიურმა, პოლიტიკურმა და სულიერმა მიზეზებმა შეუწყო ხელი ეკუმენიზმის წარმოშობასა და განვითარებას.

ამ მშვენიერი ბაბილონის გოდოლის ქვაკუთხედად გვევლინება პროტესტანტული ერესის[3] სრული სულიერი გახრწნა. და თუკი ჩვენ ვამბობთ ტერტულიანესთან[4] ერთად, რომ — „ადამიანის სული თავისი ბუნებით ქრისტიანია", რაც მაშინ ამ დასავლეთის ეკლესიის მასწავლებლის ბაგეთაგან უცილობლად ნიშნავდა — „თავისი ბუნებით მართლმადიდებელი ქრისტიანია", — ჩვენ ამასთანავე ვამტკიცებთ, რომ ყოველგვარი ერესი, მწვალებლობა თავისი ბუნებით ადამიანის სულისათვის საზიზღარია, და ადრე თუ გვიან სულმა ეს ერესი უნდა აღმოანთხიოს, განაგდოს თვისაგან. ასე რომ, ჩვენ მოწმენი ვართ პროტესტანტული ერესის აღმორწყევის პროცესისა, მაგრამ, რაკი ბუნებაში, ისევე როგორც სულიერ სამყაროში, არ არსებობს სიცარიელე, ამისათვის ამ ერესის ადგილს იკავებს ეკუმენიზმი.

აღნიშნულ მოვლენასთან ერთად, უნდა მივუთითოთ მეფის ოჯახის მოკვდინებასა და რუსეთის მართლმადიდებლური სახელმწიფოს განადგურებაზე, რომელიც იყო შემაკავებელი ბოროტებისა, ახლა რომ დაუბრკოლებლივ ეფინება მთელს მსოფლიოს. ვერასდროს, ევროპაში მართლმადიდებლური რუსული სახელმწიფოს თანაობისას, ასეთი სწრაფი ტემპით ვერ განვითარდებოდა ეკუმენიზმი, რომელიც აწ თავის ქსელში აბამს უკვე ყველა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიას[5].

მესამე და, ჩვენის აზრით, ყველაზე მრისხანე მიზეზი ეს არის მთელს მსოფლიოში განმტკიცება მასონობისა[6], რომელიც ისწრაფვის იქცეს მსოფლიოს უჩინარ მთავრობად, და ყოველმხრივ აქეზებს, აფინანსებს და შეეწევა ეკუმენურ მოძრაობას.

პარიზში გამოდის ჟურნალი — „ლე ტამპლ", რომელიც წარმოადგენს შოტლანდიური რიტუალის მასონთა ოფიციალურ ორგანოს; ამ ჟურნალის 1946 წლის მე-3 ნომერში დაბეჭდილი წერილი სათაურით — „ეკლესიათა გაერთიანება", მასონებისვე პირით გადმოგვცემს მასონურ წარმატებათა შემდეგ აღიარებას:

„ჩვენ გვეკითხებიან, რატომ ვერევით რელიგიური ხასიათის კამათებში: რაზომ შეიძლება წარმოადგენდეს მასონობისათვის ინტერესს ეკლესიათა გაერთიანების, ეკუმენური კონგრესებისა და ა. შ. საკითხები? — ჩვენს ატელიეთა წიაღში შეისწავლება ყოველგვარი დოქტრინა, რათა არანაირმა აპრიორიზმმა არ შეაღწიოს ჩვენს დასკვნებში. დეკარტი, ლაიბნიცი, ჟან როსტანის დეტერმინიზმი — ჩვენ გვაინტერესებს ყოველივე, რაც კი შესაძლოა შეიცავდეს ჭეშმარიტების თუნდაც უმცირეს მარცვალს. ხოლო მათ სურთ, რომ ჩვენი ინტერესების სფეროში არ შევიდეს ქრისტიანული აზრის ევოლუციის პრობლემა. თუნდაც გვეცადა დავიწყება იმისა, რომ მასონობას აქვს რელიგიური წარმოშობა, მაინც თავად ფაქტი რელიგიათა არსებობისა გამოიწვევდა ჩვენს გამუდმებულ მცდელობას, რათა შეგვეკრა ერთობით ყველა მოკვდავი; იმ ერთობით, რომელზეც ყოველთვის ვოცნებობთ. ქრისტეს აღმსარებელ ეკლესიათა გაერთიანების პროექტით წამოწეული პრობლემა შეადგენს მასონობის უახლოესი ინტერესების საგანს; იგი მასონობის სულით მონათესავეა, რადგანაც თავის თავში შეიცავს უნივერსალიზმის იდეას. ამასთანავე დავსძენთ, რომ ეს გაერთიანება, თუკი უკიდურეს შემთხვევაში იმაში, რაც ეხება არარომაულ აღმსარებლობებს, დგას სწორ გზაზე, ამით იგი ჩვენი ორდენისგანაა დავალებული".

აი, აღიარება, რომელიც ჩვენ, მართლმადიდებელ ქრისტიანებს, გვიმხელს თუ ვინ არის ეკუმენური მოძრაობის სული და გული.

ფსიქოლოგიურ მიზეზს, რომელმაც ეკუმენიზმის წარმატებით გავრცელებისათვის ნიადაგი შეამზადა, წარმოადგენს აგრეთვე მთელი, საკმაოდ ხანგრძლივი, ეპოქა ინგლისის დედოფლის ვიქტორიას მეფობისა.

ამ ეპოქამ, თავისი განსაკუთრებული ეთიკით, რომელსაც ხელოვნურად ეპყრა სულიერ ფუტლარში ადამიანის პიროვნება — ისე, რომ არ ჰკურნავდა ვნებებს, არამედ სიღრმეში შედენიდა მათ — ძლიერ გადაღალა პროტესტანტული სამყარო. გარეგნული ფორმის ამგვარმა კულტმა პროტესტანტობა აქცია ვნებების ერთგვარ სულიერ კომპრესორად, რომელიც დედოფლის (უცილობლად ძლიერი პიროვნების) გარდაცვალების შემდგომ აფეთქდა და გაანადგურა არამარტო პროტესტანტული მსოფლმხედველობის ფორმა-გარსი, არამედ ისიც, რაც მისი უბადრუკი დოგმატიზმის შინაარსისგან იყო შემორჩენილი.

ამრიგად, ი.მ.ქ.ა.-მ, ი.ვ.ქ.ა-მ და სკაუტიზმმა, რომელნიც შექმნილი და ორგანიზებული არიან მასონობის მიერ, მოამზადეს ადამიანთა მთელი თაობები განსაკუთრებული, დექრისტიანიზებული მსოფლმხედველობით; ამ მსოფლმხედველობის წყალობით გახდა შესაძლებელი „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს" გამოჩენა, რომელიც თავის თავს რაცხს ჭეშმარიტ მსოფლიო ეკლესიად, — ხოლო თავის ოთხ მსოფლიო კონფერენციაზე (ფსევდო მსოფლიო კრებებზე) გამოთქვა კიდეც საკუთარი მრწამსი.

ეს ოთხი მსოფლიო კონფერენციაა: ამსტერდამის, რომელიც შედგა 1948 წელს; ევანსტონის — 1954 წელს; ნიუ-დელის, რომელიც შედგა ინდოეთში, 1961 წელს, და უპსალისა (შვედეთი) — 1968 წელს. თითოეულმა მათგანმა გამოაქვეყნა თავისი „საქმეები", რომელთა შესწავლითაც შესაძლებელია გამოვლენილ იქნას ამ ფსევდოქრისტიანობის ნიშანსვეტები. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ კონფერენციას ლაიტმოტივად გასდევდა რაიმე ხელმძღვანელი, ძირითადი აზრი. მაგალითად, ამსტერდამის კონფერენციამ თავის მთავარ თემად აირჩია — „კაცობრიული უწესრიგობა და საღვთო აღმშენებლობა"; ევანსტონის კონფერენციის ლოზუნგი იყო: „ქრისტე — ერთადერთი სასოება სოფლისა"; ნიუ-დელის კონფერენციამ თავის დევიზად გამოაცხადა სიტყვები: „იესო ქრისტე — ნათელი სოფლისა". ყველა ეს დევიზი მოკლებულია კონკრეტულ საღვთისმეტყველო ბაზას; არ შეიცავს არაფერს დოქტრინალურს, დოგმატურს[7]. მათი თარგმანება-განმარტება შეუძლია ყველა ქრისტიანულ კონფესიას, და თითოეულს — თავისებურად; აქ იშლება ფართე ასპარეზი კამათისათვის; დიდი შესაძლებლობა იმგვარად ფიქრისა, რომ არანაირ დასკვნამდე არ მივიდეს ადამიანი... და ყოველსავე ამას ზედა სუფევს დოგმატებისადმი შიში. ყველა ეს აზრი ფაქტობრივად ლოზუნგებია, ხოლო თუ ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ არც ერთ კონფერენციას არა ჰყავს მუდმივი თავმჯდომარე, არამედ ყველა საქმეს განაგებს მდივანი, — ეს კონფერენციები უმალ ემსგავსება ერთა ლიგის, ანდა — „იუნესკოს" რელიგიური პრობლემებისათვის მიძღვნილ სხდომებს: იგივე კოსმოპოლიტიზმი, პრინციპების ისეთივე ბუნდოვანება, იგივე ბაბილონი. ამ ოთხიდან ეკუმენური თვალსაზრისით, მეტადრე წარმატებული გახლდათ ნიუ-დელის კონფერენცია, სადაც ინდუსური მისტიციზმის ატმოსფერომ ცენტრალური აღმოსავლეთის ამ ქვეყანაში, თავისი იოგებით, განსაკუთრებული ინდუსური ლირიკითა და ბუნდოვანი მისტიკით, — კონფერენციის მრავალი მონაწილე აღაფრთოვანა.

ᲬᲛᲘᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ
Ο ΑΓΙΟC ΓΕΟΡΓΙΟC

უპსალის კონფერენციამ თავის დევიზად აირჩია მაცხოვრის სიტყვები: „აჰა, ესერა ყოველსავე ახალს — ვყოფ" (გამოცხ. 21,5).

თუმცა, ამ კონფერენციების „საქმეთა" შესწავლისას შეიმჩნევა თანამიმდევრული გეგმა და განსაზღვრული მიზანი. შინაარსობრივად უდავოდ ყველაზე არსებითი პირველი (ამსტერდამის) კონფერენცია იყო. აქ არ დაუშურებიათ ძალისხმევა, რათა დაერღვიათ მოძღვრება ერთიან, ჭეშმარიტ, წმიდა, საყოველთაო და სამოციქულო ეკლესიაზე; ეკლესიაზე, რომელიც ისტორიულად ცხოვრობს და იბრძვის მსოფლიოში, ხოლო ზეიმობს — ცათა შინა[8]. ამ შეხვედრაზე მოხსენებები წაიკითხეს პროტესტანტული სამყაროს ხუთმა ყველაზე ცნობილმა თეოლოგმა; მათ შორის იყო აგრეთვე მართლმადიდებელი რუსი ღვთისმეტყველი მღვდელი გ. ფლოროვსკი.

პირველმა მომხსენებელმა, გუსტავ აულენმა, თავის მოხსენებას უწოდა: „ეკლესია ახალი აღთქმის შუქზე". ერთი შეხედვით, როდესაც იგი აღწერს ეკლესიის თვისებებს, მისი მოსაზრებანი მსმენელს შესაძლოა კიდევაც მოეჩვენოს როგორც სწორი და საღი, მაგრამ მართლმადიდებელ ქრისტიანს მაშინათვე აფხიზლებს აულენის მითითება, რომლის თანახმადაც ამ, ასე კარგად აღწერილ, ეკლესიის წევრებს თურმე შეადგენენ ყველა აღმსარებლობის ქრისტიანები; ანუ — ეკლესია ყოფილა ყველა ეკლესიის სინთეზი.

პროფესორი კლარენს კრეგი სიტყვას „კათოლიკე"[9], თარგმნის სიტყვით — „ინტეგრალური"; ასე რომ, ეკუმენისტებს შეუძლიათ თქვან: „გვწამს ერთი, წმიდა, ინტეგრალური და სამოციქულო ეკლესია, რომელიც არის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ეკლესია". განაგრძობს რა მსჯელობას, პროფესორი ამბობს: „ეკლესია აერთიანებდა წმ. მოციქულებს: პავლესა და მათე მახარებელს; პირველისთვის ქრისტე იყო სჯულის დასასრული, მათე მოციქულისათვის კი ქრისტე ახალი სჯულის დამფუძნებელია. ეკლესია ერთნაირად ეთანხმებოდა როგორც იაკობ მოციქულის მორალიზმს, ასევე — მოციქულ იოანე ღვთისმეტყველის მისტიციზმსაც; და თუკი იმთავითვე ეკლესიაში ადგილი ჰქონდა ამგვარ უთანხმოებებს, მით უფრო ახლაა მართებული, რომ იგი არსებობდეს აზრის გამოთქმა-გამოხატვის მრავალფეროვნებისათვის. ეს მრავალფეროვნება ეკუთვნის და ახასიათებს ეკლესიის ორგანიზმის ბუნებას". პროფესორი კლარენს კრეგი განგებ სახელსდებს უთანხმოებად მოციქულებში სულიწმიდის სხვადასხვა ნიჭს, თორემ სწორედ რომ უთანხმოება წმიდა მოციქულებს ერთმანეთთან არასოდეს ჰქონიათ.

პროფესორი ჯონ გრევი ახალს არაფერს ამბობს, გარდა იმისა, რომ უფრო კადნიერად არღვევს ქრისტეს ეკლესიის საზღვრებს, ხმობს რა დიდ ეკლესიად იმას, რომელშიც გაერთიანდებიან მომავალში ყველა ჯურისა და სექტის ქრისტიანები.

ბაზელის უნივერსიტეტის დოგმატური ღვთისმეტყველების კათედრის ცნობილი პროკომუნისტური პროფესორი კარლ ბარტი, რომელიც იმავე 1948 წელს ერთ-ერთ თავის ლექციაზე ამტკიცებდა რომ: „აწინდელ დროში ქრისტიანთა გადარჩენის ერთ-ერთ იმედს წარმოადგენს ამალგამირების გზების გამონახვა თანამედროვეობის ყველაზე სიცოცხლისუნარიან მიმდინარეობასთან — მსოფლიო კომუნიზმთან", — ერთობ რეალისტურად აკრიტიკებს თანადროულ პროტესტანტულ სამყაროს, მაგრამ სამწუხაროდ თავის კრიტიკას იგი ერთგვარად უსადაგებს მთელ საქრისტიანოს, ამჟღავნებს რა წმიდა მართლმადიდებლობისა და მისი მადლმოსილი ცხოვრების სრულ უმეცრებას: „ბიბლია — ამბობს იგი — დოგმატიკა, კატეხიზმო, საეკლესიო დისციპლინა, ლიტურგია, ქადაგება და საიდუმლონი სამუზეუმო ექსპონატებად იქცა". იგი ერთადერთ ხსნას ეკუმენური მოძრაობით ეკლესიის „განცხოველებაში" ხედავს. რუსი ღვთისმეტყველი მღვდელი გ. ფლოროვსკი ეკუმენიზმს ხარკს იმით უხდის, რომ სხვა პროფესორებთან ერთხმად ამტკიცებს, თითქოსდა ეკლესიას თავი თვისი ჯერაც არ განუსაზღვრავს; არ გამოუმუშავებია საღვთისმეტყველო-სასკოლო განმარტება; არ გააჩნია თავისი დეფინიცია; საკუთარი თავი არ შეუცვნია...

ამით მათ იმისი თქმა სურთ, რომ ნაპოვნი არ არის ეკლესიის განმსაზღვრელი ფორმულა; მაგრამ გ. ფლოროვსკის მართებდა ეღიარებინა, რომ არც ერთი დოგმატისთვის არ არსებობს ფორმულა. არსებობს წმ. ეკლესიის მოძღვრება თითოეულ დოგმატზე, ისევე, როგორც თავად ეკლესიის დოგმატზეც, მაგრამ არ არის ფორმულა, განსხვავებით ზუსტი მეცნიერებების: მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიისაგან...

დაადგინეს რა ამგვარი ფორმულის არარსებობის ფაქტი, ეკუმენისტებმა ჩათვალეს, რომ უკვე აქვთ კანონიერი უფლება შექმნან თავისებური, საკუთარი გაგება ეკლესიისა, და ჩამოაყალიბეს კიდეც იგი ფორმულის სახით, რომლის თანახმადაც ეკლესია ყოფილა ყველა არსებული ეკლესიის სინთეზი. აი, როგორ გაუწია სამსახური ეკუმენიზმის იდეას მართლმადიდებელმა მღვდელმა, და მან შესცოდა მაცდურად უღირსი აზრით.

მეორე (ევანსტონის) კონფერენცია ეკუმენური თვალსაზრისით ყველაზე ფერმკრთალი იყო. მის ამოცანას შეადგენდა, რომ ჭეშმარიტი, როგორც თვითონ გვიწოდებენ — ისტორიული, ეკლესიის შესახებ დოგმატური მოძღვრების დარღვევის შემდეგ შეედუღაბებინა ეკუმენურ მოძრაობაში ჩაბმული ყველა ეკლესია. ევანსტონის კონფერენციაზე წარმოთქმული მოხსენებანი უინტერესო და უშინაარსოა; ისინი უმალ იმეორებენ ოღონდ სხვა ფორმით, იგივე აზრებს, რომელიც გამოითქვა ამსტერდამში. ევანსტონში გააანალიზეს ყველა ქრისტიანული ეკლესიის სწავლებანი და მათგან გამოკვეთეს ის, რაც აღნიშნულ ეკლესიებს აქცევს ამ უნივერსალური, ეკუმენური, „დიდი ეკლესიის" ნაწილად.

უნდა აღინიშნოს, ოღონდაც, ერთი ფრიად საინტერესო ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ კონფერენციაზე: პირველად იქნა გაკრიტიკებული კომუნიზმი ქრისტიანული პოზიციებიდან, — მაგრამ ეს, ერთი შეხედვით, დადებითი მოვლენაც კი, უმალ გახლდათ ცბიერი პოლიტიკა კონფერენციის ხელმძღვანელობისა, რომელმაც მარჯვედ გადაუგდო ეს „ძვალი" მოსკოველ კომუნისტებს. მანევრმა სავსებით გაამართლა, და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მომდევნო კონფერენციაზე კომუნისტებმა აიძულეს მოსკოვის უბედური საპატრიარქო მონაწილეობა მიეღო ამ შეხვედრაში, რათა თავისი იერარქების პირით, თუკი არ დაიცავდა კომუნიზმს, ყოველ შემთხვევაში არც იმისი საშუალება მიეცა იქ შეკრებილი „ქრისტიანებისათვის", რომ წამოეწიათ საკითხი საბჭოთა კავშირში ქრისტიანობის დევნის თაობაზე.

თუკი გავიხსენებთ მოსკოვის საპატრიარქოს მიერ ამსტერდამის კონფერენციისადმი მიწერილ ეპისტოლეს, რომელიც წარმოადგენდა უარყოფით პასუხს მიწვევაზე, დავრწმუნდებით, რომ მისი მონაწილეობა მომდევნო (ნიუ-დელის) კონფერენციაში, გახლავთ მონური მორჩილების გამოვლინება კომპარტიის მიმართ.

რუსეთის საეკლესიო კრებამ, რომელიც შედგა 1948 წელს მოსკოვში, დაავალა დეკანოზ გ. რაზუმოვსკის პასუხი გაეცა პირველ მოწვევაზე. აი; ტექსტი ამ პასუხისა:

„რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას არ მიუღია და არც აწ იღებს მონაწილეობას არც ერთ ეკუმენურ თათბირსა თუ კონფერენციაში... ჩვენ თავს ვიკავებთ იმ მიზეზთა განსაზღვრისაგან, თუ რატომ არ უარყვეს კონსტანტინოპოლის ეკლესიის წარმომადგენლებმა ეკუმენურ სარბიელზე მოღვაწეობა, სადაც თათბირებზე აღესრულება ერთობლივი ლოცვა[10]. ნუთუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ დაივიწყა თავისი პირველმოსაყდრისეული (პატივი) მართლმადიდებელი ეკლესიის კანონების დაცვის საქმეში და არ დადგა შესაფერ სიმაღლეზე?..."

შემდეგ, მოაქვს რა ციტატები ეკუმენური რაპორტებიდან იმის დასასაბუთებლად, რომ ეკუმენიზმი არის პირწმინდად მსოფლიო ორმოცდაათიანელობა[11], მამა გ. რაზუმოვსკი დასძენს:

„რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის ასწავლიდა და ასწავლის, რომ სულთმოფენობა, ანუ — სულიწმინდის გარდამოსვლა, უკვე იყო, და ქრისტიანები აწ უნდა მოელოდნენ არა სულიწმიდის ახალ მოვლინებას, არამედ იესო ქრისტეს დიდებით მეორედ მოსვლას. იესო ქრისტეს ერთიანი მსხვერპლის მნიშვნელობის დაკნინება და წინაუწყება მომავალი „მესამე ჟამისა", რომლის დროსაც თითქოსდა განიხვნება „მოსალოდნელი სულიწმიდის მეუფება", დამახასიათებელია მასონთა და სექტანტების სწავლებისათვის, და ახალგამოცხადებული „წინასწარმეტყველება" მოსალოდნელ მსოფლიო სულთმოფენობაზე წარმოადგენს ამ მაცდურთა ძველი, ცრუ ქადაგების ოდენ გამოძახილს.

რეზოლუცია მთავრდება შემდეგი სიტყვებით:

„მივიღეთ რა მოწვევა ამსტერდამის ასამბლეაში მონაწილეობაზე წევრთა რანგში, ეკლესიათა მსოფლიო საბჭო გაცნობებთ, რომ ახლანდელ, მოსკოვში მიმდინარე, თათბირში მონაწილე ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები უარს ვაცხადებთ თანამედროვე მიმართულების ეკუმენურ მოძრაობაში ჩაბმაზე".

რეზოლუციას ხელი მოაწერეს რუსეთის, საქართველოს, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, ალბანეთისა და ჩეხოსლოვაკიის ეკლესიათა მეთაურებმა, აგრეთვე — ანტიოქიისა და ალექსანდრიის ეკლესიების წარმომადგენლებმა.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მიმართ მოსკოვის საპატრიარქოს ასეთი გამანადგურებელი რეზოლუციის შემდეგ, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის აღფრთოვანება, რომელმაც მოიცვა ნიუ-დელის კონფერენციის ყველა მონაწილე, როდესაც იღებდნენ, როგორც ეკუმენური მოძრაობის სრულუფლებიან წევრებს, მოსკოვის საპატრიარქოსთან ერთად რუმინეთის, ბულგარეთისა და პოლონეთის ეკლესიებს. 1968 წელს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანდა უკანასკნელი ადგილობრივი ეკლესიათაგანი — სერბეთისა. ამრიგად, ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესია, გარდა ჩვენი, რუსეთის საზღვარგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა, ეკუმენური მოძრაობის წევრია[12]. მართლმადიდებლობის მიმართ ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ შეკრა წრე თავისი საქმიანობისა; მთელი კომუნისტური ბლოკი მოსკოვის საპატრიარქოს მეთაურობით უკვე მასში წარმოდგენილია; **ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში თავი მოიყარა ყველა სიცრუემ სოფლისა... ნიუ-დელის კონფერენციაზე პირველად შეიქმნა კაცობრიობის ისტორიაში ყველა მწვალებლობისა და სიცრუის ერთიანი ფრონტი. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, ვითარცა ერთგვარ ფოკუსში, მოხდა კაცთა მოდგმის სულიერი ისტორიის მანძილზე არსებული ყველა მკრეხელობის, გმობის, ცდომილებისა და ჭეშმარიტებისაგან განდგომის შეკრება და ურთიერთშერწყმა, დაწყებული კაენისა და ქამიდან, დამთავრებული იუდა გამცემლით, კარლ მარქსით, გამხრწნელი ფროიდითა და ყველა თანამედროვე მცირე თუ დიდი მკრეხელით. ასეთია ამ კონფერენციის შავბნელი აპოთეოზი** (ხაზგასმა ჩემია — მთარგ.).

თუკი მხატვრულად წარმოვიდგენთ ამ ავისმომასწავებელ ზეიმს, უნდა შესრულებულიყო იგი სენ სანსის „სიკვდილის ცეკვის" ჰანგთა თანხლებით.

და ბოლოს, უპსალის კონფერენციამ დევიზად აირჩია მაცხოვრის სიტყვები: „აჰა, ესერა ყოველსავე ახალ-ვყოფ" (გამოცხ. 21, 5), რომელთაც წმიდა მამებს მოსცა დაუშრეტელი წყარო საღვთისმეტყველო აზრებისა. უპსალის კონფერენციის მიერ კი, ეს ახალაღთქმისეული გამონათქვამი მისადაგებულ იქნა მხოლოდდამხოლოდ ყველა ჯურის სოციალური, საქველმოქმედო[13], საზოგადოებრივი, კლასობრივი და ზოგჯერ — ინდუსტრიული საკითხებისადმი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონფერენციას ესწრებოდა ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიიდან 140 დელეგატი მრჩეველების, თარჯიმნებისა და მდივნების ჩაუთვლელად. მოსკოვის საპატრიარქოს დელეგაციას წარმოადგენდა მღვდელმთავართა და მღვდლების წოდებაში მყოფი 35 დელეგატი მიტროპოლიტ ნიკოდიმის მეთაურობით. ელადის ეკლესიამ ამჯერად კონფერენციაზე წარმოგზავნა მხოლოდ ორი წარმომადგენელი, ისიც — საეროთაგან, მაგრამ მათ ყველა სხდომის დამთავრებამდე დატოვეს ასამბლეა. მათი ასეთი ქცევა ოფიციალურად აიხსნა იმით, რომ უპსალაში შვედმა ახალგაზრდობამ მოაწყო რამდენიმე საპროტესტო დემონსტრაცია საბერძნეთის სამხედრო მთავრობის წინააღმდეგ; მაგრამ საქმის არსში თუ ჩავიხედებით, ელადის ეკლესია იძულებულია სულ უფრო მეტად გაუწიოს ანგარიში მეძველსტილეთა[14] მზარდ მოძრაობას; ამასთანავე, თუკი დავსძენთ, რომ მართლმადიდებელი დელეგატების უმრავლესობა, გარდა რამოდენიმე, მართლმადიდებლობისგან სავსებით განდგომილი პირისა, ყოველთვის უხერხულად, შებორკილად გრძნობს თავს ეკუმენურ სხდომებზე, — თამამად შეიძლება ითქვას: ელადის ეკლესიის ეს წარმომადგენლები მოხარული იყვნენ, როდესაც საშუალება მიეცათ ასეთი ხელსაყრელი და საპატიო მიზეზით დაეტოვებინათ ასამბლეა.

ზედმეტი არ იქნებოდა აგრეთვე აღნიშვნა იმისა, თუ როგორი სიფრთხილით ეკიდება ეკუმენური მოძრაობის ხელმძღვანელობა მართლმადიდებელ დელეგატებს. შეამჩნია რა, პირველი კონფერენციიდანვე, თუ როგორ უხერხულად გრძნობენ თავს მართლმადიდებელი დელეგატები; ვერ ახერხებენ, რომ მთლიანად მინებდნენ ეკუმენიზმს და ყოველთვის გულის სიღრმეში იტანჯებიან ეკუმენიზმში თავიანთი იძულებითი მონაწილეობის გამო, — ამ მოძრაობის ხელმძღვანელობამ, როდესაც უპსალაში ბოლოსდაბოლოს შეკრიბა ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები, დაიწყო მათ მიმართ სატანურად დახვეწილი პოლიტიკის გატარება, რაც გამოიხატა მათ მიჩვევა-მოთვინიერებასა და თანდათანობით ჩათრევაში ამ, ჯერ კიდევ მთლიანად არჩამქრალი მართლმადიდებლური სინდისისა ეკუმენურ ღუმელში გადასადნობად. მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად უპსალაში თავი მოიყარა მართლმადიდებელ დელეგატთა სხვა კონფერენციებთან შედარებით უდიდესმა რაოდენობამ, არც ერთ საერთო კრებაზე არავინ მათგანი სიტყვით არ გამოსულა. გაანაწილეს რა დელეგატები სხვადასხვა კომისიაში, მართლმადიდებლებს ეკუმენიზმს იმით ათვისებდნენ, რომ აიძულებდნენ ხელი მოეწერათ ყოველი გადაწყვეტილებისა და რეზოლუციისათვის უჩუმრად, საკუთარი სინდისით, რომელიც, საფიქრალია, ამ პირობებში მათ მაინცდამაინც არ ქენჯნიდა. ასეთ პოლიტიკას შეიძლება ეწოდოს სინდისის მიძინების პოლიტიკა.

უპსალაში, ასამბლეის გახსნის ცერემონიაზე, ყველა იქ მყოფის სახელით წაიკითხეს ეკუმენური ლოცვა: „ღმერთო, მამაო, შენ ძალგიძს ყოველივე ახალ-ჰყო, ჩვენ თავს შენ გაბარებთ; დაგვეხმარე, რათა ვიცხოვროთ სხვებისთვის, რადგანაც შენი სიყვარული ვრცელდება ყველა ადამიანზე; შეგვეწიე, რომ ვეძიოთ ჭეშმარიტება, რომელიც ჯერაც არ შეგვიცნია..." — როგორი მოსასმენი იქნებოდა მართლმადიდებელთათვის ეს ბოლო სიტყვები?! როგორი სანახავი იქნებოდა მართლმადიდებელი იერარქების სახეები, როდესაც პროტესტანტებთან, სექტანტებთან და პაპისტებთან (რომელნიც ამჯერად აგრეთვე წარმოდგენილნი იყვნენ) ერთად საჯაროდ აცხადებდნენ, რომ ჭეშმარიტება არ შეუცვნიათ?! — ნებისმიერმა, თუნდაც ყველაზე მიყრუებული სოფლის, მართლმადიდებელმა მღვდელმა გამოცდილებით იცის ჭეშმარიტება, როდესაც დგას ღვთის საკურთხევლის წინაშე და ევედრება ღმერთს სულითა და ჭეშმარიტებით. თვით „მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალმაც" კი, რომელიც მთლიანად დაქვემდებარებულია კომპარტიის ცენზურისადმი, როდესაც გამოაქვეყნა ინფორმაცია ამ კონფერენციის შესახებ, ლოცვის ტექსტის ციტირებისას ვერ გაბედა ინგლისური სიტყვა — „truth" ეთარგმნა სიტყვით — „ჭეშმარიტება", არამედ თარგმნა სიტყვით — „სიმართლე", — მაგრამ ყველამ კარგად უწყოდა, რომ მოცემულ შემთხვევაში ლოცვის ტექსტი არაორაზროვნად გულისხმობს — „ჭეშმარიტებას".

შესაძლოა, მართლმადიდებელმა იერარქებმა კონფერენციის გახსნაზე მიმართეს ძველ იეზუიტურ პრაქტიკას — „რეზერვაციო მენტალის"[15]. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, თუკი ყოველი მათგანი არ მოინანიებს ერეტიკოსებთან ლოცვითი კავშირის ცოდვას, ბუნებრივია ჩავთვალოთ, რომ ისინი დამდგარან მართლმადიდებლობის ჭეშმარიტებისაგან სრული განდგომის სულის წარმწყმედელ გზაზე.

გამოვავლინეთ რა, შეძლებისდაგვარად, ოთხივე ეკუმენური კონფერენციის არსი, აწ შევუდგეთ მათი სულისჩამდგმელის, ე. ი. საკუთრივ ეკუმენიზმის განხილვას, რათა გამოვკვეთოთ ამ მოვლენის კონტურები.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-4 ᲒᲕ.).

მიტროპოლიტი ვიტალი

ეკუმენიზმი

(დასასრული)

ეკუმენიზმი არის ერესთა ერესი იმიტომ, რომ ეკლესიის ისტორიაში, აქამდე, ყოველი ცალკეული ერესი ცდილობდა თავად დაეკავებინა ჭეშმარიტი ეკლესიის ადგილი, — ეკუმენური მოძრაობა კი, მოიცავს რა ყველა ერესს, მოუწოდებს მათ ერთობლივად აღიარონ თავიანთი ერთობა ჭეშმარიტ ეკლესიად. აქ წარმოდგენილი არიოზელობა[16], მონოფიზიტობა[17], მონოთელიტობა[18], ხატმებრძოლობა[19], პელაგიოსელობა[20] და სხვა ყოველგვარი ძველი მიბრჯნილობა ცრუ სარწმუნოებათა ზედა (ოღონდ თანამედროვე სექტების სრულიად სხვა, ახალი სახელწოდებებით) გაერთიანებულან და მიაქვთ ერთობლივი იერიში ქრისტეს ჭეშმარიტ ეკლესიაზე. ეს უდავოდ აპოკალიფსური ხასიათის მოვლენაა. ეშმაკი რიგრიგობით ებრძოდა ქრისტეს ჭეშმარიტებებს, — თითქმის ზუსტად იმ თანამიმდევრობით, როგორც ჩამოთვლილია ნიკეა—კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლოში, ხოლო აწ იერიში მიიტანა რიგით უკანასკნელსა და სასიცოცხლოდ ყველაზე მნიშვნელოვან, მთავარ, წევრზე — „მრწამს ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია". ჩვენ ვამბობთ: „ყველაზე მთავარი" — იმისათვის, რომ ცხოვრებაში გატარება სარწმუნოების სიმბოლოში ჩამოთვლილი ყველა ჭეშმარიტებისა ხდება „მრწამსის" ბოლო წევრით; ისინი ხორციელდება ქრისტეს ეკლესიაში, რომელიც არამარტო გვაწვდის ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ მოძღვრებას, გვაძლევს აგრეთვე მადლმოსილ ძალას, რომ ოდენ ეკლესიაში და ეკლესიის მიერ განვახორციელოთ ეს ჭეშმარიტებანი, ვიცხოვროთ მათით, „ეკლესია, — ამბობს მთავარეპისკოპოსი ილარიონი[21] თავის შრომაში: „ქრისტიანობა არ არსებობს ეკლესიის გარეშე" — არის არა ოცნება ეკლესიაზე, არამედ — ქრისტესმიერი ცხოვრება".

ეკუმენიზმს, რომელიც ლამობს მოარღვიოს ქრისტეს ეკლესიის საზღვრები, თვითონ არ გააჩნია არანაირი სამანი: უკვე ლაპარაკობენ რელიგიურ ერთობაზე არა მარტო ყველა „ქრისტიანთან", და თვით — ქრისტეს მკვლელ იუდეველებთანაც კი, არამედ იმაზეც, რომ თითქოსდა ნებისმიერი ადამიანი, რაკილა ცხოვრობს მსოფლიოში, ეკლესიის წევრია. იგივე კარლ ბარტი „წინასწარმეტყველებს" „კორპუს ქრისტიანუმის" დაღუპვას უახლოეს მომავალში, და ამბობს, რომ: „ჩვენ შევაბიჯეთ იმ ეპოქის ბოლო ხანაში, როდესაც იშლება ღვთისა და ადამიანის ურთიერთობის ისტორიის საბოლოო ფაზა, რომელიც დამთავრდება არა საშინელი სამსჯავროთი (როგორც გვასწავლის მართლმადიდებელი ეკლესია — მიტრ. ვიტალი), არამედ —სრული შერიგებით ღვთისა მთელს ქმნილებასთან".

თუ დავაკვირდებით პროტესტანტული ეკლესიების შინაგან ცხოვრებასა და იმას, რასაც იქ ახდენს ეკუმენიზმი, მაშინათვე შევამჩნევთ აზროვნებისა და ცხოვრების ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებას. პროტესტანტული საზოგადოებანი, რომელთაც ამოწურეს თავიანთი ერეტიკული სწავლება, რაკი ვეღარ გრძნობენ საკუთარ თავში სტიმულს იმისა, რომ ჰპოვონ თავიანთ რელიგიაში ცენტრისკენული ძალები,— უბრძოლველად ნებდებიან ეკუმენიზმს. ისინი სრულიად გულგრილნი არიან მათივე, ოდესღაც სისხლითა და ტანჯვით ნატარები, მსოფლმხედველობისადმი და წარმოადგენენ ქრისტეს მიმართ განურჩეველი ადამიანების უზარმაზარ მასას. ზოგჯერ ადგილი აქვს მეორე, აღნიშნულის საწინააღმდეგო მოვლენასაც, მაგრამ ის დიდი იშვიათობაა და ძირითადად კერძოპირადულია: პროტესტანტულ სამყაროში ჯერ კიდევ გვხვდებიან ერთეული პიროვნებანი, რომელთაც, თავდაცვის გრძნობიდან გამომდინარე, არა სურთ შეერწყან უსახურსა და უსისხლო ეკუმენურ მასას და იქცნენ ყოფილი დასავლური ქრისტიანობის ლეშად. ამ ურჩთა მიმართ ეკუმენიზმის მოგვები იყენებენ მეთევზეების მოქნილ ტაქტიკას: მიუშვებენ ხოლმე ანკესის მკედზე რომელიმე თავისუფლებისმოყვარე თემს, რათა შემდგომში კვლავ მოიზიდონ მომაკვდინებელი ეკუმენური ნაპირისაკენ.

ჩვენთვის, მართლმადიდებელთათვის, გულთან უფრო ახლოს არიან ის ქრისტიანები, რომელნიც მართალია ცდომილებაში იღუპებიან, მაგრამ ჯერ კიდევ ბეჯითავენ თავიანთ მცდარ სარწმუნოებაში, — ჯერ კიდევ ინარჩუნებენ სიცოცხლის რაღაც ნიშან-წყალს.

საღვთისმეტყველო თვალსაზრისით ეკუმენიზმი ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას, ვინაიდან გაურბის საკუთარი რაიმე დოგმატიკის ფლობას. იგი ვრცელდება არა სიღრმეში, არამედ განედურად, თვითამოწურულ ერესთა პლასტებში, — მაგრამ მას ეხმარება რაღაც იდუმალი, მოქნილი ძალა, რომელიც თავად ჩრდილში რჩება (იგულისხმება მასონობა— მთარგ.). მის განკარგულებაშია, აგრეთვე უზარმაზარი მატერიალური სიმძლავრენი ცბიერი ფინანსური პოლიტიკითურთ, რომელიც მოქმედებს იმგვარად, რომ მარჯვედ დახარჯული თანხებითა და გალებული ძღვენით თავისკენ გადაწონოს სასწორი მოჯოჯმანე, ჯერ კიდევ მთლად არგარეცხილი სინდისისა.

თავისი გარეგანი სტრუქტურით ეკლესიათა მსოფლიო საბჭო ძლიერ წააგავს ერთა ლიგას, ან — ახლანდელ „გაეროს" (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია), თავისი გენერალური მდივნითურთ. თავს ვიკავებთ რა ჟამთა და ვადების მითითებისაგან, რომელნიც ყველა ღვთის ხელშია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ანტიქრისტე[22] თავმჯდომარეობას გასწევს ორთავე ორგანიზაციაში[23]. მაგრამ ე. მ. ს. მისთვის სულით უფრო მახლობელი, მშობლიური იქნება.

დასკვნა და რეზოლუციები

ეკუმენიზმი უკვე ჩვენი ეკლესიის კარსაც მოადგა. ყველა ადგილობრივი ეკლესია მისი წევრია; ბოლოს, სერბეთის ეკლესია ე. მ. ს.-ში მიიღეს 1968 წელს[24]. თუკი ეკუმენიზმი აქამდე ჩვენთვის დიდ საფრთხეს არ წარმოადგენდა, ახლა მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენ დავრჩით მსოფლიოში ერთადერთ ეკლესიად, რომელიც ე. მ. ს.-ში არ შესულა, და საფიქრალია, ჩვენი მიმართულებით საგანგებოდ გადაიდგმება ნაბიჯები; ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენებენ საგანგებო ტაქტიკას, — რისთვისაც მზად უნდა ვიყოთ. მეორეც, უცილობლად მოახდენენ ძლიერ დაწოლას ჩვენი ეკლესიის მრევლზე, რომელშიც აღმოჩნდება არაერთი სულმოკლე წევრი, ვინც დანებდება ეკუმენიზმს: ერთნი, მარტოდ დარჩენის პერსპექტივით შეშინებულნი, მოიხიბლებიან გაერთიანების იდეით; სხვებს აცდუნებს მატერიალური სარგებელი, უკეთესი მდგომარეობა... — ერთი სიტყვით, — ოქროს ხბო[25].

თუკი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკუმენური მოძრაობა მომზადებულ იქნა ი. მ. ქ; ა.-ს, ი. ვ. ქ. ა.-ს, სქაუტიზმისა და სხვა მსგავსი ორგანიზაციების წიაღში ფსევდოქრისტიანული, საგანგებოდ შემუშავებული მსოფლმხედველობის მიერ, რომელიც სრულიად გულგრილია ქრისტიანულ ჭეშმარიტებათა მიმართ, — იგივე როლი სულიერი სიფხიზლის მომადუნებლისა ჩვენს, მართლმადიდებელ სამყაროში შეასრულა სქოლასტურმა სასკოლო სწავლებამ; ქრისტიანული მოძღვრების ჭეშმარიტებათა ცივმა, უსულგულო, ოდენ გონებამჭვრეტელობითმა განხილვამ, რომელიც სავსებით მოკლებულია თითოეული დოგმატის ზნეობრივ მხარეზე მითითებას. ხოლო დოგმატების ზნეობრივი მოძღვრება გახლავთ ის, რაც ერთნაირად აღაფრთოვანებს, იპყრობს, სულის სიღრმემდე შესძრავს, როგორც სემინარიელს, ასევე — მორწმუნე ერისკაცს, მეცნიერსა, თუ მდაბიოს. თითოეული დოგმატის ამ ზნეობრივი სახის გარეშე საღვთისმეტყველო მეცნიერება საფუძველს მოკლებულია და ემსგავსება რომელიმე საერო დისციპლინას, თანაც — სხვებზე მეტად უინტერესოს, ვინაიდან, ვთქვათ, ფიზიკასა და ქიმიაში საქმე გვაქვს კონკრეტულ, ხელმოსაკიდ საგნებთან,— ხოლო როგორ უნდა განიცადოს სულიერი რეალობა სემინარიის სტუდენტმა პიროვნულად, თავისთვის, თუკი არ განიხილა დოგმატები ზნეობრივი კუთხით? ამ მთავარი საღვთისმეტყველო მეცნიერების მშრალი სწავლების ერთგვარ შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ სემინარიიდან გამოვიდნენ სტალინი, მიქოიანი, და, საფიქრალია, მრავალი პირსისხლიანი ჩეკისტი. დოგმატური ღვთისმეტყველების საბრალო მასწავლებელს აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ამზადებდა მომავალ საშინელ მტარვალს... თუმცა, იყო კი იგი დამნაშავე პირადად, როდესაც ამგვარი გახლდათ, და ახლაც ასეთია, თავად სისტემა. დღესაც კი, ყოვლადწმიდა სამების მონასტრის სემინარიაში[26] დოგმატური ღვთისმეტყველება გასულდგმულებულია, სულიერ ძალადაა ქცეული მხოლოდ დამხოლოდ ამ სავანის მადლმოსილი ატმოსფეროს წყალობით, იქ აღვლენილი ლოცვისა და გაწეული მარხვის ღვაწლით.

თუკი ეკუმენიზმი თავისი რიგების შევსებას დაიწყებს ჩვენი ეკლესიის წევრებითაც, რომელნიც გულგრილნი არიან ჩვენი სწავლებისადმი, ამ გულგრილობაში მხოლოდ ჩვენ ვიქნებით დამნაშავე. ჩვენ ყველამ აუცილებლად უნდა წავიკითხოთ ი. ფ. სამარინის[27] წინასიტყვაობა, წამძღვარებული ა. ს. ხომიაკოვის[28] საღვთისმეტყველო შრომებისადმი, რომელიც ეგრერიგ დაუნდობლად, მაგრამ, ამავე დროს — სამართლიანად, ამათრახებს ჩვენს სასკოლო ღვთისმეტყველებას.

წმიდა მამებმა განგებ შეიტანეს ნიკეა-კონსტანტინეპოლის სარწმუნოების სიმბოლო საღვთო ლიტურგიასა და სხვა ყოველდღიურ ღვთისმსახურებაში ვითარცა— ლოცვა, რათა რეალურად დაეკავშირებინათ მორწმუნის სულთან ესოდენ სრულყოფილი, იდეალური სიმოკლით გამოთქმული მთლიანი მართლმადიდებლური მოძღვრება; რათა ექციათ სარწმუნოების სიმბოლო ცხოვრებად, და არა — ოდენ აბსტრაქტულ სწავლებად. ამით წმიდა მამები გვასწავლიან, რომ უფალ ღმერთთან მარტო ლოცვითი კავშირია შესაძლებელი; რომ უფალ ღმერთზე მხოლოდ ინტელექტით კი არ უნდა ვიმსჯელოთ, არამედ, საჭიროა, ვჭვრეტდეთ მას ჩვენი სულის ყველა ძალით: გონებით, გულით, ნებით, ლოცვითა და სარწმუნოებით. „მრწამსი" — ეს ჩვენი სარწმუნოების მხოლოდ საჯარო გამოცხადება, მემორანდუმი კი არ არის, არამედ ლოცვითი ღვაწლია ჩვენი სულის ყველა ძალისა.

დროა, რომ დოგმატური ღვთისმეტყველების ყველა სახელმძღვანელოში ქრისტიანულ-მართლმადიდებლური დოგმატის არსებით, დამახასიათებელ ნიშნებს, რომელიცაა: თეოლოგიურობა, ღვთივგამოცხადებულობა და ეკლესიურობა, — დავუმატოთ ლოცვითობაც, რათა დავაკავშიროთ დოგმატები უშუალოდ სულთან.

არქიმანდრიტ სილვესტრის დოგმატური ღვთისმეტყველება დოგმატის თავისეული განსაზღვრისას სცოდავს სწორედ ცარიელი გონებამჭვრეტელობით — როდესაც წმიდა მამები გადმოგვცემენ მართლმადიდებლურ სწავლებას, ისინი ამას იქმან სისავსით თავიანთი სულიერი ცხოვრებისა, რომელიც მთლიანად ლოცვითაა განმსჭვალული. ყველა თავისი გამონათქვამი მათ მოიპოვეს ლოცვითა და ჭვრეტით, და არა, — ანალიტიკური გონების ინტელექტუალური სილოგიზმებიდან. დოგმატების მხოლოდ გონებამჭვრეტელობით შესწავლაში, რასაც ადგილი ჰქონდა ყველა ჩვენს სემინარიასა და აკადემიაში, იმალება დახვეწილი ამპარტავნება, რომელიც გადაჯაჭვულია დახვეწილ, შენიღბულ მკრეხელობასთან. მე მახსენდება მიტროპოლიტ ანტონის[29] . ერთი მოწაფის აღფრთოვანებული შეძახილი დიდი მასწავლებლის ქადაგების შემდეგ, რომელიც ეხებოდა ყოვლადწმიდა სამების დოგმატს: „მეუფეო, დოგმატის თქვენეული განმარტება სიხარულის ცრემლს მგვრის!".

მხოლოდ ინტელექტით მკრეხელობამდე მისვლაც შეიძლება, და წმიდა ჭეშმარიტებათა ოდენ ინტელექტუალურმა განხილვამ, დასაშვებია, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანს თავი ამოაყოფინოს პროტესტანტების მრგვალ მაგიდასთან, მათს „ღმერთთან დიალოგში" თანამონაწილედ.

დოგმატური ჭეშმარიტებებისადმი ჩვენი რწმენის ლოცვითი ძალა წარმოადგენს ჩვენთვის წყაროს ყველა დოგმატიდან მჩქეფარე ზნეობრივი ძალისა. ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ის, რომ, თუკი ჩვენ გვაქვს ლოცვითი რწმენა ღვთის ყოვლისშემძლეობისა, მაშასადამე, ვიმოსებით კიდეც. ჩვენი ვედრებისადმი ღვთის მოწყალებით, ჩვენთვის მისაწვდომი ღვთის ძლიერებით; ანდა: თუკი გვაქვს ლოცვითი რწმენა ღვთის ყოვლისმცოდნეობისა, ვიძენთ კიდეც, ჩვენი ვედრებისადმი ღვთის მოწყალებითა და ჩვენი განწმენდის ხარისხისდა მიხედვით, ცოდნას, სიბრძნესა და სულიერ განსჯელობას, ამრიგად: ყოველი დოგმატური ჭეშმარიტებისაგან ჩვენ ლოცვით ვიღებთ სულიწმიდის სხვადასხვა ნიჭს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სარწმუნოებისა და ლოცვის სწორ ღვაწლზეა დამოკიდებული მართალი ცხოვრება, ცხოვრება ქრისტესმიერი და ეკლესიური.

ჩვენ გვაქვს აგრეთვე ლოცვითი რწმენა ერთი, წმიდა, საყოველთაო და სამოციქულო ეკლესიისა და, სხვათა შორის, იქვე ქარაფშუტულად ვამტკიცებთ, რომ სხვა, არამართლმადიდებელ ეკლესიებშიც არის ევქარისტიისა და ნათლისღების წმიდა საიდუმლონი. მაშ სადღაა ჩვენი რწმენა ერთი. ანუ — ერთადერთი, განსაკუთრებული ეკლესიისა, რომელიც არის განსაკუთრებული და ერთადერთი შემცველი ყველა საიდუმლოსი[30]

და აი, აქ მინდა შემოგთავაზოთ რეზოლუციის შემდეგი პუნქტი:

ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ, საბოლოოდ მოვილიოთ ჩვენს ცნობიერებაში ღრმად შემოჭრილი ერთგვარი სასკოლო ეკუმენიზმი. მე ვამბობ სასკოლოსა და გონებითზე მხოლოდ იმიტომ, რომ არც ერთ საღად მოაზროვნე მართლმადიდებელ ადამიანს აზრადაც არ მოუვა ეზიაროს პროტესტანტულ, ანდა — კათოლიკურ, კოსტიოლში; და ეს იმიტომ, რომ მთელი არსებით, ორგანულად, მათ უწყიან თავიანთი შინაგანი უცდომელი ცოდნით, არარსებობა წმიდა ზიარებისა არსად, გარდა ქრისტეს ეკლესიისა. მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ, როდესაც საქმე ეხება ჩვენს მოაზროვნე ინტელიგენციას. აქ ადგილი აქვს ისეთ უთანხმოებას, ცდომილებათა იმგვარ სიჭრელესა და ნაირგვარობას, რომ თამამად შეიძლება ითქვას: მათ შორის არ არის ერთნაირად მოაზროვნე თუნდაც ორი ადამიანი. აქ შევხვდებით ემოციურ ქალბატონებს, რომელთაც კედელზე ღირსი სერაფიმე საროველის[31] ხატის გვერდით უკიდიათ რომაულ-ლათინური ეკლესიის „წმინდანის" ტერეზიას ხატი; შევხვდებით პირებს, რომელნიც მისდევენ იოგას და თვლიან, რომ ესეც ქრისტიანული ღვაწლია; ზოგი თვლის, რომ ყველა ქრისტიანულ კონფესიაში ყველა საიდუმლო ძალაშია. მეორენი „აზუსტებენ, რომ ნათლისღების საიდუმლო არამართლმადიდებლებთან შესაწყნარებელია, მაგრამ არა — საიდუმლო ზიარებისა... ყველა ამ ცდომილების ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. ეს არის პირწმინდად აზრობრივი ბაბილონი[32]. ყველაზე დიდი ტრაგედია კი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ძველი სასკოლო წარმოდგენების წყალობით ამ ცდომილებებს ზოგიერთი სამღვდელო პირიც იზიარებს; სავსებით დავიწყებულია წმიდამამებისეული გამონათქვამი: „მწვალებელთა ევქარისტია — ეშმაკების საზრდოა!"; ხოლო თუკი არ არის წმიდა ზიარება, მაშინ შეუძლებელია იყოს ნებისმიერი სხვა საიდუმლოც, — და ეს იმიტომ, რომ ღმერთი — სულიწმიდა გარდამოვალს ძე ღმერთის განხორციელების გამო, მისი ღმერთკაცობისათვის; ხოლო წმიდა საიდუმლოთა საიდუმლო — ევქარისტია, არის საიდუმლო ღმერთკაცობისა.

ჩვენ უნდა აღვიქვათ ყველაზე პრინციპული თვალსაზრისი მართლმადიდებლური უკომპრომისო მსოფლმხედველობისა: არის ღმერთი; არის მისი ერთხანი, ერთადერთი, წმიდა სამოციქულო ეკლესია; და არის მთელი კაცობრიობა, რომელიც მთლიანად მოწოდებულია ღვთისაკენ, მისი წმიდა ეკლესიის მიერ. ყველა სხვა რელიგია კი: „ქრისტიანული" არამართლმადიდებლური აღმსარებლობანი, მონოთეისტური და წარმართული სარწმუნოებანი, — ყველა უკლებლივ, კათოლიციზმი იქნება ეს, პროტესტანტობა, მაჰმადიანობა, იუდაიზმი, თუ ბუდიზმი, — არის დაბრკოლებანი; არის ეშმაკის მიერ დადგმული გისოსები ქრისტეს ეკლესიასა და მთელს კაცობრიობას შორის. მხოლოდ პირად ურთიერთობებში, ეკლესიური იკონომიის[33] გამო, უბრალო განათლებულობისა და კრიტიკისათვის, ჩვენ გვმართებს ერთნი განვიხილოთ ვითარცა პოტენციურად უფრორე შემძლებელნი მართლმადიდებლობაზე მოქცევისა, ხოლო სხვანი — როგორც მეტადრე დაშორებულნი ჭეშმარიტებას, — მაგრამ, პრინციპულად, ყველა ისინი ეკუთვნიან სიცრუეს, და ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვთ. აქ დროული იქნებოდა გახსენება ღირსი მაკარი ეგვიპტელის[34] ხილვისა: მიდიოდა ეშმაკი მონასტრის ძმობის საცდუნებლად და მთლიანად ასხმულ-დახუნძლული გახლდათ რამე ჭურჭლეულით. დიდმა ბერმა ჰკითხა: „სად მიხვალ" — მიუგო სატანამ: „მივალ ძმობის მოსახილავად". — „რად გინდა ეგ ჭურჭელი?" — კვლავ ჰკითხა ბერმა; ეშმაკმა უპასუხა: „მიმაქვს საზრდო ძმობისათვის"; ბერმა ჰკითხა: „და ყოველ მათგანში საზრდოა?" — „ჰო — მიუგო სატანამ — თუკი რომელიმეს ერთი არ მოეწონება, მივცემ მეორე ჭურჭლიდან, თუკი არც ეს — მივცემ სხვა ჭურჭლიდან".

ასე რომ, ყველა ეს რელიგია ეშმაკის ჭურჭლიდანაა ნასაზრდოები: აქ არის დახვეწილი ხიბლი ფრანცისკ ასიზელისა[35] — ერთი ჭურჭლიდან; მის გვერდით ნირვანა — მეორედან; აქვეა მუჰამედი, ლუთერი, კალვინი, ჰენრიხ VIII და სხვანი, მათი გემოვნებისდა შესაბამისი ეშმაკისეული საზრდელითურთ.

როგორ ვებრძოლოთ ეკუმენიზმს წარმატებით. როდესაც ხშირად თავად ვართ გაორებულნი და არა გვაქვს წმინდა, მკაფიო მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა; ვერა ვგრძნობთ წმინდა განსაკუთრებულობას, ერთადერთობას წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიისა. ჩვენი ახალგაზრდობის დამოძღვრისას ამგვარი გაორება დამღუპველია მათი ახალგაზრდა სულებისათვის.

უნდა ვაღიაროთ. რომ ახალგაზრდობის აღზრდაში ყველა ჩვენი წარუმატებლობის ნახევარი მაინც გამოწვეულია ჭეშმარიტების მიმართ ჩვენივე გაურკვეველი დამოკიდებულებით. ახალგაზრდობას ახასიათებს ჰეროიზმი, გულწრფელობა, სწრაფვა სიმართლისაკენ და მისთვის ყოველთვის მიუღებელი იქნება აზრი ჭეშმარიტების მარცვლებზე, რომელიც თითქოსდა გაბნეულია ყველა რელიგიაში.

დასასრულ, რეზოლუციის ბოლო პუნქტად მინდა მივუთითო იმ აუცილებლობაზე, რომ ჩვენი ეკლესიის ყველა კათედრალურ ტაძარში მართლმადიდებლობის კვირაში აღესრულოს წესი და განგება მართლმადიდებლობის ზეიმისა[36], რომელიც ყოველთვის სულის სიღრმემდე შესძრავს მორწმუნეებს და ამკვიდრებს მათში მართლმადიდებელი ეკლესიის სიწმინდისა და სიმტკიცის რეალურ განცდას. ამ ღვთისმსახურებისას ყოველი მლოცველის სახეზე აღბეჭდილია მთრთოლვარე რამ სიხარული, გამოწვეული იდუმალი წინათგრძნობით. რომ საბოლოოდ ქრისტეს ეკლესია ბოროტებას სძლევს. თავს ნებას მივცემ ვუწოდო ამ ღვთისმსახურებას: „საიდუმლო სულიერი განახლებისა" და „საიდუმლო ჭეშმარიტებაში განმტკიცებისა".

ვასრულებ რა მიმოხილვას, მინდა განვაცხადო: ჩემს მიერ ეკუმენური მოძრაობის ასეთ მუქ ფერებში აღწერა განპირობებულია იმით, რომ მუდამ ვცდილობდი უკომპრომისო მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის პოზიციებიდან განმეხილა ეს აქტუალური, გესლიანი ნესტარივით მწველი, სატანური საკითხი. მაგრამ ეკუმენური მოძრაობის მიმდევარნი, რაოდენ მავნეც არ უნდა იყოს მათი აზრები და მოქმედება, მაინც შთებიან სუსტ და შეზღუდულ ადამიანებად, და შესაძლოა, ეშმაკს ყველაზე მეტად სწორედ მისი ეს მონა-მორჩილნი სძულდეს კიდევაც, რამეთუ მათი შეზღუდული კაცობრივი ბუნებით სატანურ უმაღლეს ამპარტავნებას შეეხსენება შეზღუდულობა თავისი ეშმაკეული, დამღუპველი ბოროტებისა.

არ მინდა რა, ჩემი მოხსენებით ოდნავ მაინც ზიანი მიადგეს სიყვარულის საქმეს, ვთვლი, რომ ჩვენ გვმართებს ვიყოთ სრულიად უკომპრომისონი ეკუმენიზმისადმი, რომელიც გახლავთ უთანამედროვესი ბოროტება, ხოლო პირად შეხვედრებში, რაც გარდაუვალია, მუდამ დავშთეთ ღვთის ძის — სიყვარულის ღმერთის ჭეშმარიტ მოწაფეებად.

შენიშვნები და განმარტებანი:

1. „ქრისტიანული სარწმუნოება ყოველთვის გვასწავლიდა და გვასწავლის, რომ მხოლოდ ქრისტესათვის და ქრისტეს სახელისათვის ქმნილი სიკეთე არის ნამდვილი, ჭეშმარიტი სიკეთე... იყო დრო, როდესაც ადამიანები მზად იყვნენ ქრისტეს სახელისათვის განეცადათ საშინელი ტანჯვა და თვით სიკვდილიც კი; ხოლო ახლა, როდესაც ქრისტესათვის აღარ იდევნებიან, არ იტანჯებიან და სიკვდილით აღარ ისჯებიან, ადამიანები ხშირად თავად ყიდიან ქრისტეს, ამათუიმ ქვეყნიური სიკეთით მოხიბლულნი, და აი, ეს მოჩვენებითი სიკეთე, რომლის მთესველნი აწ მრავლად არიან, ხშირად კეთდება სწორედ იმ მიზნით, რომ ადამიანებმა ზურგი შეაქციონ ქრისტეს და შთაცვივდნენ სულიერ მონობაში" — გვმოძღვრავს თანამედროვე დიდი მართლმადიდებელი ღვთისმეტყველი მთავარეპისკოპოსი ამბერკი (Архиеп. Аверский; Современность в свете Слова Божия; т. III, стр. 12-13; Holy Trinity Monastery, Jordanville. N. Y. 1975).

2. „ეკლესია ყოველთვის აღიარებდა, რომ ცოდვით დაცემული ბუნების თვით უდიდესი სათნოებანიც კი, ჯოჯოხეთში ეშვება... წმიდა წერილის ყველა ღმრთივსულიერი მწერალი მოითხოვს სარწმუნოებრივ საქმეებს, და არაკეთილ საქმეებს ჩვენი ცოდვით დაცემული ბუნებისა! იგი მოითხოვს ცოცხალ სარწმუნოებას, რომელიც განმტკიცდება ახალი ადამიანის საქმეებით, და არა — ცოდვით დაცემული ბუნების კეთილი, მაგრამ სარწმუნოების საწინააღმდეგო მოქმედებით..." — გვმოძღვრავს წმ. ეგნატე (საეროთა მიმართ 28-ე წერილი, მე-4 ტომი წმ. მღვდელმთავრის, ეგნატე ბრიანჩანინოვის ქმნილებებისა).

3. თანამედროვე საეკლესიო-დოგმატურ ხმარებაში ერესის სახელწოდებით აღინიშნება ისეთი ფსევდო-ქრისტიანული რელიგიური სწავლება, რომელიც მქადაგებელთა მეშვეობით შედის შეგნებულსა და აშკარა წინააღმდეგობაში უცდომელი წმ. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ნათლად გახსნილ და მკაცრად ჩამოყალიბებულ, ცხოვნებისათვის აუცილებელ ქრისტიანობის დოგმატებთან; ერესი მომაკვდინებელი ცოდვაა და მისი აღმსარებელი ვერ ცხოვნდება, ვინაიდან ნებისმიერი ერესი აშკარად, თუ — ფარულად, შეიცავს ღვთის გმობას, — ხოლო ღვთის მგმობელის ცხოვნების შესაძლებლობას გადაჭრით უარყოფს ქრისტიანული სოტერიოლოგია. ამრიგად ერესი, მწვალებლობა მდგომარეობს უცდომელი წმ. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატურ სწავლებასთან წინააღმდეგობაში; თუკი რომელიმე ადგილობრივი ეკლესიის სწავლება განსხვავებას ავლენს მსოფლიო ეკლესიის სწავლებასთან თუნდაც ერთ დოგმატში, აღნიშნული ადგილობრივი ეკლესია ეჭვსგარეშე ერეტიკული სწავლების მატარებელია და მის მიერ ცხოვნება გამოირიცხება. ერესის არსებობა გარდა დოგმატურისა, კანონიკურ დონეზეცაა შესაძლებელი, — ე. ი. არის შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი ეკლესიის დოგმატური სწავლება ემთხვევა მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატურ სწავლებას, მაგრამ მათ შორის არსებული კანონიკური განსხვავებანი თავიანთი მნიშვნელოვნების გამო, ადგილობრივი ეკლესიის ერთობას მსოფლიო ეკლესიასთან შეუძლებელს ხდის. ამგვარი მწვალებლური ეკლესიის მაგალითია ე. წ. „ობნოვლენცების" ეკლესია, რომელიც ჩამოყალიბდა რუსეთში რევოლუციის შემდგომ (იარსება ცოტა ხანს).

4. ტერტულიანე — აპოლოგეტი ქრისტიანობისა, სახელგანთქმული ღვთისმეტყველი, განათლებით — იურისტი; დაიბადა 160 წელს; როდის მიიღო ქრისტიანობა, უცნობია; 202 წელს გადავიდა მონტანიზმში, მაგრამ არსებობს გადმოცემა, რომ სიკვდილის წინ შეინანა, დაუბრუნდა მართლმადიდებლობას და მასში აღესრულა.

5. რუსეთის ბოლო მეფე ნიკოლოზ II, ოჯახთან ერთად, რუსეთის ემიგრაციის ეკლესიაში კანონიზებულია.

6. მასონობა იხ. 22-ე შენიშვნა.

7. ყოველდღიურ ხმარებაში ტერმინებმა: „დოგმატი", „ორთოდოქსია" — თანამედროვე მკრეხელების მიერ უარყოფითი მნიშვნელობა შეიძინა, — ხშირად გვსმენია: „გამოუსწორებელი დოგმატიკოსი", „ორთოდოქსი მარქსისტი" და ა. შ. არადა, ეს სიტყვები წმინდა შინაარსის შემცველია და არავის ეპატიება, ამ შემთხვევაში, ცნებათა აღრევა.

8. ღვთისმეტყველნი მოზეიმე ეკლესიად სახელსდებენ ამ სოფლიდან უკვე გასული, ნეტარების მდგომარეობაში მყოფი, წმინდანებისა და ღვთის ანგელოსების ერთობლიობას, ხოლო მებრძოლ ეკლესიას უწოდებენ მსოფლიოში მყოფ მართლმადიდებელ ქრისტიანთა კრებულს.

9. „კათოლიკე" — ნიშნავს „საყოველთაოს"; რომაულ-ლათინური (პაპისტური) ერეტიკული ეკლესია (ერეტიკული — იმიტომ, რომ წმ. მსოფლიო უცდომელ მართლმადიდებელ ეკლესიასთან დოგმატურ დონეზე 9 სხვაობას ავლენს, კანონიკურ დონეზე კი სხვაობებს 250-მდე ითვლიან) თვითმარქვიულად იჩემებს ამ სახელს, რაშიც ჩვენც, მართლმადიდებლებსაც მიგვიძღვის ბრალი, როდესაც სახელსვდებთ პაპისტებს „კათოლიკეებად". ჭეშმარიტი კათოლიკე ეკლესია არის წმ. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია, რისი უცილობელი მტკიცებანიც მართლმადიდებლურ ეკლეზიოლოგიაში მოგვეპოვება.

10. დიდი სჯულისკანონი, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიაში ავტორიტეტით ბიბლიას უთანაბრდება, მწვალებელთან საერთო ლოცვას უზიარებლობითა და განკვეთით სჯის (იხ. დიდი სჯულისკანონი, მოციქულთა კანონები: 45-ე; 46-ე; 65-ე; 71-ე; 75-ე).

11. ორმოცდაათიანელთა სექტა აღმოცენდა აშშ-ში, მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20-ის დასაწყისში. თავის სწავლებას უკავშირებს მეერგასე დღეს მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლას.

12. მეუფე ვიტალის ეს განცხადება ასახავს 1969 წლისათვის შექმნილ მდგომარეობას (იხ. შენიშვნა № 24).

13. ლაპარაკია იმგვარ ქველმოქმედებაზე, რომელიც მითითებულია № 1 შენიშვნაში.

14. იულიანური კალენდრის (ე. წ. „ძველი სტილი") მომხრეები ელადის ეკლესიაში.

15. „რეზერვაციო მენტალის" — გონებრივი თავშეკავება, გონების შემოზღუდვა.

16. არიოზელობა — ერესია, რომელიც აღმოცენდა IV საუკუნეში; ატარებს ალექსანდრიელი პრესვიტერის არიოზის სახელს, რომელიც ასწავლიდა, რომ ძე ღვთისა არ არის ყველაფრით მსგავსი მამისა, არამედ შექმნილია მამისაგან, — ანუ — წარმოადგენს ღვთის ქმნილებას, და არა — ღმერთს. არიოზი ამ სწავლებით გამოვიდა 318 წელს; მიუხედავად იმისა, რომ 325 წელს პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაამხო არიოზის სწავლება. 353 წლისათვის ეს ერესი საყოველთაოდ გავრცელდა, რადგანაც იმპერატორი კონსტანციუსი თანაუგრძნობდა მას. იმპერატორის სიკვდილის შემდეგ არიოზელებმა თანდათანობით დაკარგეს გავლენა.

17. მონოფიზიტობა — ქრისტოლოგიური ერესია, მომდინარეობს კონსტანტინოპოლელი არქიმანდრიტის ევტიქისაგან; ამ მწვალებლობას მხარი დაუჭირა ალექსანდრიის პატრიარქმა დიოსკოროსმა, ხოლო მსოფლიო ეკლესიამ — დაგმო ქალკედონის კრებაზე (მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება, შედგა 451 წ.). მონოფიზიტობის არსი მდგომარეობს მტკიცებაში, რომ ქრისტე, თუმცა შობილია ორი ბუნებიდან, არა ჰგიებს ორივეში, რადგანაც განხორციელების აქტში გამოუთქმელი სახით ორი ბუნება იქმნა ერთ ბუნებად, და კაცობრივი ბუნება, რომელიც მიირქვა ღმერთმა — სიტყვამ, იქცა ოდენ კუთვნილებად მისი ღვთაებისა, დაკარგა რა ყოველგვარი თავისეული სინამდვილე და მხოლოდ აზრობრივად თუ გაირჩევა საღვთო ბუნებისაგან.

18. მონოთელიტობა — „ერთნებიანობის" ერესია, წარმოადგენს მონოფიზიტობის სახეცვლილებას; ამ მწვალებლობამ გამოიწვია დიდი საეკლესიო შფოთი VII საუკუნეში, ხოლო საბოლოოდ დაიმხო VI მსოფლიო კრებაზე (მესამე კონსტანტინოპოლისა), 680-681 წლებში.

19. ხატმებრძოლობის ერესი მდგომარეობს წმ. ხატების თაყვანისცემის უარყოფაში. ეს მოძრაობა წარმოიშვა VIII საუკუნის პირველ ნახევარში და გრძელდებოდა IX საუკუნის პირველ ნახევრამდე. სულისჩამდგმელი ამ აგრესიული მწვალებლობისა იყო აღმოსავლეთ იმპერიის იმპერატორი ლევ III ისავრიელი (717-741), რომელმაც პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, გაილაშქრა წმ. ხატების თაყვანისცემის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მას ბევრმა მხარი დაუჭირა, მაგრამ გამოჩნდა აგრეთვე მრავალი დამცველი ხატთთაყვანისმცემლობისა. მომდევნო იმპერატორები ამ საკითხში ან ლევ III სომეხის პოლიტიკას ატარებდნენ, ანდა ნეიტრალური რჩებოდნენ, 842 წელს, თეოდორამ, რომელიც მართავდა აღმოსავლეთ იმპერიას თავისი ძის მიხეილ III-ის არასრულწლოვანების გამო, საზეიმოდ აღადგინა ხატთაყვანისცემა (ეს ამბავი მოიხსენება მართლმადიდებლობის კვირაში). ჩვენს დროშიც არსებობენ ხატთთაყვანისცემის მოწინააღმდეგენი: ბაპტისტები, „დუხობორცები" და სხვა.

20. პელაგიოსელობა — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ერესთაგანია; აღმოცენდა V საუკუნეში; საფუძვლად დაედო სახელგანთქმული ერესიარქის პელაგიოსის სწავლება ღვთის მადლზე, ადამიანურ ძალებსა და დამსახურებებზე, პირველშობილ ცოდვასა და სიკვდილზე, თავისუფლებასა და წინარეგანსაზღვრულობაზე.

21. მთავარეპისკოპოსი ილარიონი — რუსეთის ეკლესის ახალმოწამეა; დაიღუპა გულაგში რევოლუციის შემდგომ.

22. ქრისტიანული ესქატოლოგია, რომელიც წმიდა წერილსა და წმიდა გადმოცემას ეყრდნობა. გვასწავლის, რომ სოფლის აღსასრულის წინ მსოფლიოს მოევლინება რელიგიური და პოლიტიკური ლიდერი, მსოფლიოს მბრძანებელი. იგი გააერთიანებს ყველა სახელმწიფოს თავისი ეგიდის ქვეშ, აგრეთვე მოახდენს ყველა რელიგიის შერწყმას ერთ სინკრეტულ რელიგიად და თავს გამოაცხადებს მესიად, კაცობრიობის მხსნელად. წმიდა მამები გვასწავლიან, რომ ამ ადამიანს ეშმაკი მისცემს მთელს თავის ძალას, უფრო მეტიც, სატანა შესახლდება მასში და კაცი იგი იქცევა ეშმაკის ჭურჭლად. ბიბლია სატანის ამ მოციქულს სახელსდებს — „ანტიქრისტედ". მისი უღმერთო მეუფება, რომელიც აღინიშნება ქრისტიანობის ჯერარყოფილი საშინელი დევნით, გაგრძელდება სამნახევარ წელიწადს და დასრულდება ჩვენი უფლისა და მაცხოვრის, ჭეშმარიტი მესიის, იესო ქრისტეს მეორედ მოსვლით, ანტიქრისტეს მოკვდინებით, საყოველთაო მკვდრეთით აღდგომითა და საშინელი სამსჯავროთი, რის შემდეგაც მართალნი დაიმკვიდრებენ ცათა სასუფეველს, ხოლო ცოდვილნი სატანასთან, მის დაცემულ ანგელოზებთან და ანტიქრისტესთან ერთად წავლენ სამუდამო სატანჯველში. ანტიქრისტეს მოსვლას საუკუნეების მანძილზე საიდუმლოდ ამზადებს ღვთისაგან განდგომილი მსოფლიო. ამ მომზადებას პავლე მოციქულმა უწოდა — „საიდუმლო უსჯულოებისა". ავანგარდი ანტიქრისტეს ლაშქრისა არის მსოფლიო იუდეველობა, რომელმაც არ სცნო და ჯვარს აცვა ჭეშმარიტი მესია უფალი ჩვენი იესო ქრისტე და დღესაც მოელის მხსნელს. პირველი, სწორედ, მსოფლიო იუდეველობა აღიარებს და თაყვანს სცემს ანტიქრისტეს, ვითარცა ღმერთს. არის გადმოცემა, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 929 წელს მოხდა სიონელ ბრძენთა შეკრება, სადაც მათ შეიმუშავეს მსოფლიოს დაპყრობის ინტელექტუალური გეგმა; მისტიკურად იგი გამოისახება გველის სახით, რომელიც ხსენებულ წელს გამოცოცდა იერუსალიმიდან და დაიწყო მსოფლიოს შემორკალვა; როდესაც გველის თავი კვლავ დაბრუნდება იერუსალიმში და კბილებს ჩასჭიდებს თავის კუდს, მსოფლიოს შემორკალვა დასრულდება და ანტიქრისტეც შემოვა სოფელში. გველის მოძრაობა გულისხმობს იუდეველთა მიერ ორგანიზებული მასონური ლოჟების გავრცელებასა და ამ ლოჟების დამანგრეველ, ანტიქრისტიანულ საქმიანობას, რისი თვალსაჩინო მაგალითიცაა საფრანგეთისა და რუსეთის რევოლუციები.

დღევანდელი მსოფლიო უკვე მთლიანად მასონების ხელშია. ლოჟები განაგებენ მსოფლიო პოლიტიკას, ეკონომიკას, ფინანსებს... მასონური ლოჟების მიზანია ყველა სახელმწიფო მოექცეს „გაეროს" აბსოლუტური დიქტატის ქვეშ, რათა ანტიქრისტემ, როდესაც იგი მოევლინება მსოფლიოს, შეძლოს ერებზე ბატონობა. შერწყმის ტენდენცია შეიმჩნევა რელიგიაშიც, მხედველობაში მაქვს ეკუმენური მოძრაობა — ანტიქრისტე მსოფლიოს რელიგიური ლიდერიც უნდა იყოს. ამისათვის კი საჭიროა ყველა ეკლესია გაერთიანდეს და თაყვანი-სცეს მას, ვითარცა ღმერთს. ამიტომაც ფიქრობს მეუფე ვიტალი, რომ ანტიქრისტე ითავმჯდომარევებს როგორც „გაეროში", ასევე — ე. მ. ს.-ში. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ეკუმენიზმი არის მშენებლობა ეშმაკის ტაძრისა, რომლის მღვდელმთავარიც ანტიქრისტე იქნება.

23. იხ. 22-ე შენიშვნა.

24. დღეისათვის მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა; იერუსალიმის საპატრიარქომ გადადგა ნაბიჯი, რომელიც, ვფიქრობ, ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მისაბაძი უნდა გახდეს. აი, რა ინფორმაციას გვაწვდის „ორთოდოქსის ტიპოსის" 1989 წლის 16 ივნისის ნომერი:

პატრიარქ დიოდოროსის წინადადება

იერუსალიმის საპატრიარქოს წმიდა სინოდის სხდომაზე (19-22, V, 89 წ.) მისი უნეტარესობის, იერუსალიმის პატრიარქის, დიოდოროს I-ის წინადადებით მიღებულ იქნა დადგენილება იმის თაობაზე, რომ იერუსალიმის ეკლესია ამიერიდან წყვეტს ყოველგვარ საღვთისმეტყველო დიალოგს არამართლმადიდებლებთან.

მიზეზი ამ კრების მოწვევისა იყო ის, რომ პატრიარქმა დიოდოროსმა კონსტანტინოპოლის პატრიარქის დიმიტრიოსისაგან მიიღო წერილი, რომლითაც მსოფლიო პატრიარქი იერუსალიმის ეკლესიას ატყობინებდა მიტროპოლიტ იოანე პერგამონელის დანიშვნას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წარმომადგენლად ანგლიკანებთან დიალოგში მონაწილეობისათვის. ამასთანავე, პატრიარქი დიმიტრიოსი იმედს გამოთქვამდა, რომ იერუსალიმის საპატრიარქოც წარგზავნიდა თავის წარმომადგენელს სხდომაზე, რომელიც დანიშნული იყო 20 ივნისისათვის, ახალ ბალაამში (ფინეთი).

პატრიარქი დიოდოროსი, რომელიც ცნობილია თავისი ორთოდოქსული შეხედულებებით, რწმენით, მართლმადიდებლური ტრადიციისა და საეკლესიო წესისადმი ერთგულებით, 19 წლის განმავლობაში იყო სულიერი წინამძღოლი იორდანიისა, 1981 წლამდე, ვიდრე აირჩევდნენ იერუსალიმის საპატრიარქო კათედრაზე. მას აქვს დიდი პირადი გამოცდილება საღვთისმეტყველო დიალოგების წარმართვისა და ნათლად აცნობიერებს იმ ზიანს, რომელიც მოაქვს ამგვარ დიალოგს მართლმადიდებელი ეკლესიისა და იერუსალიმის საპატრიარქოს მისიისათვის ახლო აღმოსავლეთში. პატრიარქის კარგად დოკუმენტირებული მოხსენებიდან აღსანიშნავია შემდეგი პუნქტები:

„მთელს მართლმადიდებელ სამყაროში იერუსალიმის საპატრიარქო სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფება, რადგან ყოველი ქრისტიანის სული, განსაკუთრებით კი — მართლმადიდებლისა, უმზერს წმიდა მიწას, როგორც ქრისტიანული სარწმუნოების შობის ადგილს. იერუსალიმის ეკლესია, ვითარცა დედა ყველა ეკლესიისა, უნდა იყოს სარწმუნოებრივ საკითხებში სამაგალითო და მისაბაძი, უნდა ინახავდეს სარწმუნოებას წმინდად, — ისე, როგორც მიუღია უფლისა ჩვენის იესო ქრისტესაგან... დღეს, როდესაც უმძიმესმა ჟამმა მსოფლიო დააყენა სხვადასხვა მოდერნისტული სწავლებების წინაშე, რომელნიც ეჭვს ქვეშ აყენებენ ზნეობრივ ფასეულობებსა და მართლმადიდებლურ ტრადიციებს,—იერუსალიმის ეკლესიის ვალია აღიმაღლოს ხმა, რათა დაიცვას თავისი სჯულიერი შვილები უცხო ქროლვათაგან და განამტკიცოს ისინი მართლმადიდებელ სარწმუნოებაში, როდესაც არამართლმადიდებლები, რომლებთანაც მართლმადიდებელი ეკლესია დიალოგს აწარმოებს, უგულვებელყოფენ ქრისტიანულ ტრადიციებს და ნერგავენ მიუღებელ დოგმატურ სიახლეებს, — დედა ეკლესიას მართებს შეწყვიტოს მათთან ყოველგვარი საღვთისმეტყველო კონტაქტი.

მართლმადიდებელ ეკლესიას მტკიცედ სწამს, რომ იგი არის ერთიანი, წმიდა, საყოველთაო და სამოციქულო ეკლესია, რომელიც ფლობს საღვთო მადლისა და ჭეშმარიტების სისავსეს. მართლმადიდებელი ქრისტიანების არამართლმადიდებლებთან საღვთისმეტყველო დიალოგში მონაწილეობა თანდათან იღებს არაჯანსაღსა და დამანგრეველ ხასიათს. არამართლმადიდებლები ამ დიალოგებს მართლმადიდებელი ეკლესიის საზიანოდ იყენებენ. ისინი, განსაკუთრებით აქ, წმიდა მიწაზე, მოურიდებლად აცხადებენ: „ჩვენ და მართლმადიდებლები ერთად ვცდილობთ ვპოვოთ ჭეშმარიტება;" აჩვენებენ ფოტოებს, და ფილმებს, რომლებზეც ჩვენი წარმომადგენლები მწვალებლებთან ერთად არიან აღბეჭდილნი; ეს უკანასკნელნი კი, მიმართავენ რა ჩვენს მორწმუნეებს, აცხადებენ: „ეკლესიათა გაერთიანება უკვე მოხდა; მოდით ჩვენს ტაძრებში ერთობლივი ლოცვისათვის".

ჩვენი პირდაპირი მოვალეობა— მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და მართლმადიდებლური გადმოცემის სიწმიდის დაცვა —გვაიძულებს შევწყვიტოთ საღვთისმეტყველო დიალოგები არამარტო ანგლიკანებთან, არამედ —კალვინისტებთან, ლუთერანებთან და სხვა არამართლმადიდებელი აღმსარებლობის ეკლესიებთანაც, მიუხედავად იმისა, რომ იერუსალიმის საპატრიარქოს ჯერ კიდევ ახლო წარსულში ჰქონდა მათთან სათანადო საღვთისმეტყველო კონტაქტები".

სინოდმა, რომელიც მოექცა პატრიარქის დამაჯერებელი არგუმენტების შთაბეჭდილების ქვეშ, ერთხმად დაადგინა: შეწყდეს იერუსალიმის საპატრიარქოს მონაწილეობა არამართლმადიდებლებთან საღვთისმეტყველო დიალოგში.

სინოდის თანხმობით, მისმა უნეტარესობამ დაუგზავნა ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს ეპისტოლეები, აცნობა რა მათ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

25. იხ. გამოსვლათა წიგნი, 32-ე თავი.

26. ეს სემინარია მდებარეობს ჯორდანვილში (აშშ).

27. სამარინი იური ფიოდორის ძე (1819-1876)— ცნობილი რუსი მწერალი — სლავიანოფილი და საზოგადო მოღვაწე. სამარინის საღვთისმეტყველო შეხედულებანი ძირითადად აისახა მის დისერტაციაში საეკლესიო მოღვაწეთა: სტეფანე იავორსკისა და თეოფანე პროკოპოვიჩის შესახებ. აქვს დაწერილი იეზუიტების ორდენის მამხილებელი სტატიებიც.

28. ხომიაკოვი ალექსეი სტეპანეს ძე (1804-1860) — რუსი მწერალი — სლავიანოფილი, საზოგადო მოღვაწე და ღვთისმეტყველი; დატოვა კათოლიციზმის მამხილებელი ბრწყინვალე საღვთისმეტყველო თხზულებანი.

29. მიტროპოლიტი ანტონი ხრაპოვიცკი (1863-1936) —რუსეთის ემიგრაციის ეკლესიის პირველი პირველიერარქი; ღვთისმეტყველების დოქტორი; რევოლუციამდე ერთხან იყო ყაზანის სასულიერო აკადემიის რექტორი. ემიგრაციის ეკლესიაში მას ასე მოიხსენიებენ — „უნეტარესი მიტროპოლიტი ანტონი — მნათობი რუსეთის ეკლესიისა".

30. ეკლესიის საიდუმლო არის სამღვდელო მოქმედება, რომელიც ხილული სახით ანიჭებს მორწმუნის სულს ღვთის უხილავ მადლს; იგი დაადგინა თავად უფალმა ჩვენმა იესო - ქრისტემ, და საიდუმლოს მიერ ყოველი მორწმუნე იღებს საღვთო მადლს (მართლმად. სარწმუნოების აღსარება; ნაწ. 1; პასუხი 99-ე კითხვაზე). მაშასადამე, ეკლესია იმაში ხედავს საიდუმლოთა არსს, რომ ისინი მღვდელმოქმედებანია, რომელიც ნამდვილად ანიჭებს მორწმუნეს მადლს ღვთისას; ისინი არა ოდენ ღვთის აღთქმის ნიშნებია, არამედ — იარაღიც, რომელიც აუცილებლად მოქმედებს მადლით მათზე, რომელნიც მიემთხვევიან მას (აღმოსავლეთის პატრიარქების ეპისტოლე მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ. მე-13 წევრი), საიდუმლო შვიდია: ნათლისღება, მირონცხება, ზიარება, მღვდლობა, ქორწინება და ზეთისკურთხევა.

31. სერაფიმე საროველი (1760-1833)—ღირსი მამა, მონაზონი საროვის უდაბნოსი. დიდი რუსი ღვთისმეტყველი ფილარეტ ჩერნიგოველი ამბობს, რომ „წმ. სერაფიმე არის ყველაზე დიდი მოღვაწე ბოლო დროისა". საქართველოს ეკლესიამაც დიდი სიყვარული მიაგო ამ წმიდანს: სიონის საკათედრო ტაძარში მისი ხატი და წმიდა ნაწილი საკურთხეველში ასვენია. წმ. სერაფიმეს კანონიზება მოხდა 1903 წელს, ხსოვნა აღესრულება 19 ივლისს (ძვ. სტ.).

32. როგორც ჩანს, ყველა ქვეყნის ინტელიგენცია გაჭრილი ვაშლივით წააგავს ერთმანეთს;

33. იკონომია — საეკლესიო იკონომია გულისხმობს ერთგვარ შერბილებულ მიდგომას რაიმესადმი, თუკი საქმე არ ეხება აღმსარებლობით საკითხებს; მაგალითად, „დიდ სჯულისკანონში" დაწესებულია ეპიტიმია სხვადასხვა ცოდვისათვის, ვთქვათ, მკვლელობისათვის — 20 წლით უზიარებლობა, მაგრამ იგივე სჯულისკანონი დასძენს, რომ თუკი მოძღვარმა შეატყო შეცოდებულს მძაფრი სინანული, შეუძლია ეს დრო შეამოკლოს.

34. წმ. მაკარი ეგვიპტელი (301-391) — მონაზვნობის ერთ-ერთი დამაარსებელი, უდიდესი მოსაგრე; ახალგაზრდობაში იყო მწყემსი და 30 წლამდე ამ საქმეს მისდევდა; როდესაც 30 წლისა შესრულდა, წავიდა უდაბნოში, სადაც გაბრწყინდა როგორც უდიდესი ასკეტი. დატოვა ზნეობრივი მოძღვრების შემცველი ქმნილებანი.

35. ფრანცისკ ასიზელი (1181-1226) — ერეტიკოსი, ფრანცისკანელთა ორდენის დამაარსებელი; პაპისტურ ეკლესიაში კანონიზებულია.

36. მართლმადიდებლობის ზეიმის წესსა და განგებას საფუძვლად დაედო VII მსოფლიო კრების განჩინებანი. ამ ღვთისმსახურების აღსასრულებლად ყველ დროისათვის მითითებულია: გამოტანილ იქნას ხატები თაყვანისცემისათვის და ამბორ-საყოფად; აღვლენილ იქნას სამადლობელი ლოცვა ღვთისადმი იმისათვის, რომ ეკლესიამ სძლია ერესებს; წარმოითქვას ანათემა ერეტიკოსებზე; წარმოითქვას მრავალჟამიერი მართლმადიდებელი ეკლესიის ცოცხალი დამცველებისთვის, ხოლო მარადიული ხსენება — ეკლესიის გარდაცვლილ ქომაგთათვის.

თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო
გიორგი ბაბაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყალბე სენსაციური სათაურით

მკითხველთა დაინტერესებას უთუოდ გამოიწვევს რუსეთში გამომავალ გაზეთში „დენ“ გამოქვეყნებული პუბლიკაციის სათაური. თუ რატომ, ამას, ვფიქრობთ ახსნა არ სჭირდება. მაგრამ არანაკლებ საინტერესოა თვითონ პუბლიკაცია. საბჭოთა ექს-პრემიერის სახეს ავტორი კიდევ ერთი — ახალი რაკურსით წარმოგვიდგენს: ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც „უგუნურნი ერის სინდისად ახალებენ“ საჯაროდ იცავს ამერიკის ნავთობის კომპანიის „შევრონის“ ინტერესებს, რომელიც „ცდილობს ხელთ იგდოს პლანეტის ერთ-ერთი უდიდესი ნავთობისა და გაზის საბადოს დამუშავების უფლება ყაზახეთის თენგიზში“. საინტერესოა, რომელ უგუნურებაზეა ლაპარაკი და რომელი ერის სინდისად „ახალებენ“ შევარდნაძეს „უგუნურნი“? საქართველოში საბჭოთა „პოსტპერესტროიკის ბურჯს“ ნამდვილად არავინ „ახალებს“ ერის სინდისად. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იქ როგორაა საქმე, ჩვენზე უკეთ თვით გაზეთმა „დენმა“ და მისმა ავტორმა უწყიან. ერთ რამეში კი ნამდვილად დავეთანხმებით ვლადიმერ რიაზინს: შევარდნაძემ მართლაც დადგა გრანდიოზული, სულის შემძვრელი (ვისთვის როგორ!) სპექტაკლი; უფრო სწორად სპექტაკლები და მათში მთავარი მოქმედი გმირები იყვნენ ისინი, რომელთაც სულ ცოტა ხნის წინათ ბილადებად რაცხდნენ. რაც შეეხება შევარდნაძის გურულობას, იგი ისეთივე გურულია, როგორც...

წერილის ავტორისთვის, ისევე როგორც შევარდნაძისთვის სამშობლოს ცნება გაიგივებულია საბჭოთა კავშირთან ან, უკეთეს შემთხვევაში, რუსეთთან. შევარდნაძეს ამაგი აქვს საბჭოთა კავშირზე და არა საქართველოზე. ამიტომ იგი იმ ღამურას უფრო ჰგავს, ჩიტებმა რომ არ მიიღეს და აღარც თაგვებმა დაიბრუნეს. ისე, სხვათა შორის უნდა ითქვას, რომ ისტორია მეორდება და სხვის სამსახურში ყოფნა არავის დაუფასდება. ამის ნიშნები პუბლიკაციაშიც კარგად ჩანს, როცა ავტორი დასასრულს სარკაზმით ამბობს, რომ „აღზევდნენ ლიდერები, რომლებსაც სძულთ სამშობლო და მზად არიან მისი ღალატისა და გაყიდვისათვის“. „სამშობლოში“, ბუნებრივია, საბჭოთა კავშირი იგულისხმება.

რაც შეეხება პუბლიკაციის სულისკვეთებას, იგი მთლიანად იმპერიალისტურია. ამიტომაც მიიჩნევს ავტორი, რომ საქართველოც და ყაზახეთიც საბჭოთა კავშირია. — „მათ (ამერიკელებს — ბ. მ.) სურთ ყაზახეთის თენგიზით ჩვენ კი არა, უწინარესად, საკუთარი თავი გაიბედნიერონ“. ვინ „ჩვენ“? — თენგიზი ისევე არ ეკუთვნის რუსეთს, როგორც ამერიკას. არც რუსეთისა და არც საბჭოთა კავშირის საქმე არ არის ვინ გააბედნიერებს „თენგიზშევროილის“ შერეული საწარმო — ყაზახებს თუ ამერიკელებს.

და ბოლოს, ბარემ აქვე ვიკითხავთ: საინტერესოა, ვინ გამოსცემს, სად იბეჭდება სულიერი ოპოზიციის გაზეთი „დენ“-ი?

ბონდო მძინარაშვილი,
„საქართველოს რესპუბლიკის“ პასუხისმგებელი მდივანი.

პოსტპერესტროიკის ბურჯები

თენგიზი შევარდნაძის თვალსაზრისით

ვინ იცის, იქნებ ედუარდ შევარდნაძის სახით დიდი რეჟისორი დავკარგეთ. ოღონდაც ხომ სწორედ მან დადგა გრანდიოზული, სულის შემძვრელი სპექტაკლი, რომელმაც სკკპ ცინიკური ცერემონმაისტერებიც კი შეძრა. ბრბოს ტაშის გრიალში მშვენიერი მოხუცი აქტრისა ცოცხალ-მკვდარ ბრეჟნევს ჩაეხუტა.

დღეს ხალხი ცდილობს აღარ გაიხსენოს წარსული — დაიღალა. ახლანდელი თაობა, რომელიც შევარდნაძის გამოსვლებს ისმენს მოსკოვის მიტინგებზე, ძნელად თუ წარმოიდგენს, რომ მრავალი წლის მანძილზე მლიქვნელ გურულს გაცილებით მეტი ძალაუფლება ეპყრა, ვიდრე თბილისის გენერალ-გუბერნატორს. საზოგადოებას თავს მოახვიეს მომხიბლავი კლიშე, რომელშიც ქართველი პარტიული ბოსი, რომელიც დაჟინებით ებრძოდა თავისუფლად მოაზროვნეებს, თვითონ წამებულის ელფერიანი [illegible] წარმოგვიდგება. მაშ, რა! განა მან არ გააფრთხილა ხალხი, დიქტატურის საფრთხე შეიქმნაო და როცა ვერავინ ვერ გაუგო, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ჯასწირა! ესეც კია, საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი შეფი დაფნის გვირგვინს ამჯობინებს. და სამართლიანადაც: მისმა დიპლომატიამ გაიმარჯვა. რესპექტაბელური „დემოკრატიული რეფორმების მოძრაობის“ მამა-ფუძემდებელი, როგორც ჩანს, საქმეში ჩახედულთა ვიწრო წრეს განეკუთვნებოდა, რომლებმაც იმთავითვე იცოდნენ: ახალი პოლიტიკური აზროვნების სინონიმად კაპიტულაცია განისაზღვრა. შევარდნაძის მოსვლის შემდეგ საბჭოთა საგარეო-პოლიტიკურმა უწყებამ გულმოდგინედ დაიწყო ამის თარგმნა დიპლომატიური პრაქტიკის ენაზე აღმოსავლეთ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში და ა. შ. აშკარად იგრძნობა, რომ სახელმწიფო გადადის მორჩილი, დამოკიდებული ქვეყნების თანრიგში, სამამულო პოლიტიკოსები სხვათა მთავრობების, ფირმების, ბანკების ლობისტები ხდებიან.

ახლა! საბჭოთა ექს-მინისტრი, რომელსაც უგუნურნი ერის სინდისად ახალებენ, საჯაროდ იცავს ამერიკის „შევრონის“ კომპანიის ინტერესებს, რომელიც ცდილობს ხელთ იგდოს პლანეტის ერთ-ერთი უდიდესი ნავთობისა და გაზის საბადოს დამუშავების უფლება ყაზახეთის თენგიზში, ჩვენი საზოგადოებრივი აზრი კი, რომელიც ჩვეულებრივ ესოდენ ნერვულია, ჩურჩულით გაკიცხვასაც კი ვერ ბედავს. არც ენაკვიმატი ჟურნალისტები არიან ხუმრობის გუნებაზე: „ეს როგორაა, ედუარდ ამბროსის ძევ, თქვენ, რომელიც დიდად საეჭვოდ მიგაკუთვნეს ჩაის სპეციალისტებს, ნახშირწყალბადის ნედლეულის ექსპერტის როლს კისრულობთ? ასეთი რამ ჩვენს მეგობარს პრეზიდენტ ბუშს უფრო ხელეწიფება — იგი ხომ ტეხასში აყვავებული ნავთობის კომპანიის მფლობელი იყო!“. თუმცა, ვინ იცის, იქნებ სწორედ ამიტომ არის პრეზიდენტი ბუში ჩვენი მეგობარი. შევარდნაძე, რომელსაც არ ეშინია, რომ არაკომპეტენტურობას უსაყვედურებენ, „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ ფურცლებიდან გვარწმუნებს: „თენგიზშევროილის“ შერეული საწარმო ჩვენს თანამოქალაქეებს მრავალმილიარდიანი თანხის საქონლით გააბედნიერებსო. და ამ საქმეში საბოლოო სიცხადის შეტანის მიზნით, წერს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს იგი შეხვედრია მრავალ პოლიტიკურ მოღვაწესა და უდიდეს კორპორაციათა წარმომადგენლებს. პრაქტიკულად ყოველ მათგანს ასე თუ ისე აინტერესებდა საქმის მდგომარეობა ამ ერთობლივ საწარმოში. ჰოდა, შემოტევა შეუმჩნევლად, მაგრამ აშკარად მატულობს: ამერიკის შეერთებულ შტატებში არ მალავენ, რომ ამ პროექტის წარმატებისა თუ მარცხის მიხედვით იმსჯელებენ, რეალურად რამდენად მზად ვართ ვითანამშრომლოთ საქმიან საფუძველზე. ადვილი მისახვედრია, რომ შევარდნაძის თვალსაზრისი თენგიზის პროექტზე არ ემთხვეოდა იმ პოზიციას, რომელზეც ამჟამად არარსებული სსრკ მინისტრთა კაბინეტი იდგა. სამაგიეროდ ექს-მინისტრის ეს შეხედულება გასაკვირად ემთხვეოდა ამერიკის მხარის თვალსაზრისს. თუმცა, ამას თავისი პატარ-პატარა საიდუმლოებანი ახლავს. თუ ოფიციალური ცნობების მიხედვით ვიმსჯელებთ, ივლისის მიწურულს მოსკოვში ბუშის ვიზიტს ერთადერთი მიზანი ჰქონდა: სსრკ და აშშ პრეზიდენტები კონვერსიული ავტოკალმებით ხელს აწერენ ხელშეკრულებას სტრატეგიული შეტევითი იარაღის შემცირებისა და შეზღუდვის შესახებ. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, უკვე ალმა-ათაში, ნურსულთან ნაზარბაევს პრესკონფერენციაზე შეგნებულად თუ შეუგნებლად წამოსცდა, როცა სულის შემძვრელი წვრილმანი გვამცნო: თურმე ნუ იტყვით, ყაზახეთის პრეზიდენტი საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად ვაშინგტონის ინიციატივით მიუწვევიათ. ნაზარბაევთან საუბრისას ბუშს, სხვა პრობლემებთან ერთად, არც თენგიზი და „შევრონი“ დავიწყებია.

რას იზამ, „ზაპატის“ ფირმის გამგეობის ყოფილ თავმჯდომარეს ბუშს ძველებური ტეხასური საზრიანობა აქვს და ჯერაც არ დაუკარგავს დიდი ნავთობის ალღო. ამბობენ, ნაზარბაევი არც ისე დამყოლი პარტნიორი აღმოჩნდაო. რა ვუყოთ, ამერიკელები დაელოდებიან მათ მშვენივრად ესმით, რომ მათი ინტერესები შორს სცდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო საზღვრებს. ამერიკაში სრულიადაც არ აპირებენ ეროვნული პოლიტიკა საერთაშორისო ფილანტროპიად გადააქციონ: მათ სურთ ყაზახეთის თენგიზით ჩვენ კი არა, უწინარესად, საკუთარი თავი გაიბედნიერონ.

ეს მარტო ჩვენშია შესაძლებელი, რომ აღზევდნენ ლიდერები, რომლებსაც სძულთ სამშობლო და მზად არიან მისი ღალატისა და გაყიდვისათვის. რას იზამ, ერთხელაც იყო და გაგვეღვიძა იმ დროს, როცა „პერესტროიკის“ ამ უცნაური, იდუმალი ეპოქის დაბოლოება გამოაცხადეს, ლაფაროზე კი უკვე ჩამომსხდარან ლობისტი და კომპრადორი. შინ მაინც ნუღარ შემოგვიშვებთ.

ვლადიმერ რიაზინი
გაზეთი „დენ“, 1991 წ. №21.

შევარდნაძის პენიტენციარული სისტემა საქართველოში

II. გამოძიების აკრძალული მეთოდების გამოყენება

ტარონიშვილთან და ჩრუთიშვილთან პირზე წაყენების შემდეგ გამომძიებლები იმ მიზნით, რომ მაიძულონ მივცე ყალბი ჩვენებანი, მემუქრებიან, მეუბნებიან: „ჭკუაზე შეგშლით“, „ციხეში ამოგალპობთ, თუ არ იკისრებ რაიმე ბრალს“ და ა. შ. არც დღე მასვენებენ და არც ღამე, ცდილობენ პატიმრების (თავიანთი აგენტების) მეშვეობით პროვოკაციაზე წამომაგონ, ასე, მაგალითად:

1970 წლის 14 აპრილს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საპატიმრო ჩემს № 2 საკანში მოათავსეს პატიმარი ზაურ კალიაშვილი ჩემი პროვოცირების დავალებით. ჩემთან საუბარში გამომკითხა დაპატიმრების მიზეზები და მიამბო თავისი ამბავი. № 2 საკანში მისი შეყვანის მომენტიდან ორი კვირის შემდეგ მან მიამბო თვითჩამოხრჩობის ინსცენირება, რომელიც წინათ მასთან მჯდომ პატიმართან ერთად მოახდინა, თითქოს პატიმარი, რომელიც მასთან ერთად საკანში იმყოფებოდა, უბრალო იყო და უდანაშაულობის დასამტკიცებლად დაამზადა თოკი (სიგრძეზე დახია ზეწრები და დაგრიხა), რის შემდეგაც გააკეთა ყულფი და თავი ჩამოიხრჩო, წინასწარ კი დაწერა წერილი იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც აიძულა თვითმკვლელობა, და გააფრთხილა პატიმარი კალიაშვილი, რომ როცა ყულფს კისერზე ჩამოიცვამდა, კალიაშვილს უნდა ეყვირა: „მიშველეთ, კაცმა თავი ჩამოიხრჩო!“, და დაკიდებულს მუხლებზე უნდა შემოხვეოდა, რათა არ დამხრჩვალიყო. ეს ინსცენირება ისე მოახდინეს, როგორც ჩაფიქრებული იყო. პატიმარ კალიაშვილის ძახილზე ზედამხედველებმა გააღეს საკნის კარი, შემოვიდნენ და ჩამოხსნეს ნახევრად დამხრჩვალი პატიმარი. ამ შემთხვევის ამბავი შეიტყვეს გამომძიებლებმა, და, როგორც უდანაშაულო, ის პატიმარი გაათავისუფლეს.

აი, როგორი ინსცენირება შემომთავაზა პატიმარმა კალიაშვილმა და მითხრა: „რახან უბრალო ხარ, შენც გაგანთავისუფლებენ ასეთი ინსცენირების შემდეგ“.

მე უარი ვუთხარი და ვუპასუხე, უბრალო ვარ და ამ ინსცენირების გარეშე დავამტკიცებ ჩემს უდანაშაულობას-მეთქი. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ანალოგიური ინსცენირების მსხვერპლი იყო ახალგაზრდა პოეტი-პატიმარი მუშკუდიანი, რომელმაც 1971 წლის 6 აპრილს საქართველოს სსრ სუკის საპატიმროს № 19 საკანში თავი ჩამოიხრჩო.

თვითჩამოხრჩობის ინსცენირებაზე ჩემი უარის შემდეგ პატიმარმა კალიაშვილმა შემომთავაზა თავი მომეგიჟიანებინა და მითხრა: „მე გასწავლი, როგორ უნდა მოიქცე შემდგომ, შენ წაგიყვანენ ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე და ფსიქიატრი ექიმები მოგცემენ შეურაცხადის დასკვნას, რის შემდეგაც გაგანთავისუფლებენო“.

მე უარი ვუთხარი შემოთავაზებულ ინსცენირებაზე. 1970 წლის 22 ივნისს, როცა პატიმარ კალიაშვილის დაჟინებულმა მოთხოვნებმა სისტემატური ხასიათი მიიღო, მე მას ვუთხარი: „რა გული გაწუხებს? შენი წინადადებებით, შენ რა, ჩემი პროვოცირების დავალება მოგცეს?“.

ამ ნიადაგზე დამიწყო გინება და ალუმინის გადატეხილი კოვზის ტარის წვერით უნდოდა დარტყმა მოეყენებინა ჩემთვის, მე წავართვი კოვზი და სილა გავაწანი, მან ყვირილი მორთო. ყვირილზე საკანში შემოვიდნენ ზედამხედველები და მე № 17 საკანში გადამიყვანეს, სადაც მარტოკა ვიმყოფებოდი.

შუაღამისას გავიგონე გასაღების ხმა, ეტყობა, ცდილობდნენ საკნის კარის გაღებას, გასაღების მრავალგზის გადატრიალებისა და კაკუნის შემდეგ კარის ჭუჭრუტანაში გავიგონე საუბარი. ერთი ზედამხედველი მეორეს ეუბნებოდა: „რა იყო, გასაღები გაიჭედა? ვერ აღებ? მომეცი, მე გავაღებ, პროკურორმა ხელი მოაწერა და ჩვენ გათენებამდე ბოლო უნდა მოვუღოთ მას“. ისინი დიდხანს—გათენებამდე ატრიალებდნენ გასაღებს და ვერაფრით ვერ „გააღეს“ კარი და სულ იმეორებდნენ: „აუცილებლად ამაღამ უნდა მოვუღოთ ბოლო, კარის შემტვრევაა წაგვიხდება“.

აი, ასეთი ინსცენირებებით უნდოდათ მწყობრიდან გამოვეყვანე, სულიერად გავეტეხე და ორგანიზმის ნერვული მოქმედების აშლილობისა და სიკვდილის შიშის ნიადაგზე ჭკუიდან შევეშალე.

ამ ინსცენირების მეორე დღეს, ესე იგი 1970 წლის 23 ივნისს, დილით გამომიძახეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსთან, პოლკოვნიკ სოლოღაშვილთან, რომლის კაბინეტში იჯდა რამდენიმე კაცი, რომლებიც გამომესაუბრნენ და მკითხეს, თავს როგორ გრძნობ, მე ვუპასუხე, ჯანმრთელობას არ ვუჩივი-მეთქი, და ვთხოვე ეჩვენებინათ ჩემთვის ჩემი არასრულწლოვანი შვილები, რომლებზეც ინსცენირებების დროს გამომძიებლები ამბობდნენ, ისინი ბინიდან გაასახლეს, ქალიშვილი მდინარეში დაიხრჩო, ვაჟი კი მოკვდაო და ა. შ.

ჩემს 1970 წლის 15 ივნისისა და მომდევნო საჩივრებში საქართველოს სსრ პროკურორის სახელზე დაწვრილებით ჩამოვაყალიბე მთელი ეს ტანჯვა, ნერვიულობა და ინსცენირებანი, გთხოვთ საჩივრები ნახოთ — ტომი 135, საქმის ფურცელი 64, 65, 66). ჩემს ზემოთ აღნიშნულ საჩივრებს საქართველოს პროკურატურიდან აბსოლუტურად არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ამ პერიოდისათვის გამომძიებლები ახდენდნენ ჩემი ოჯახის წევრების, დისა და მეუღლის პროვოცირებას და აიძულებენ მათ 1970 წლის 17, 19 და 22 ივნისს დაეწერათ ცილისმწამებლური განცხადებანი, თითქოსდა 1945-46 წლებში ფსიქიკური დაავადებანი მჭირდა (ჩემი ოჯახის წევრების განცხადება გთხოვთ ნახოთ — ტომი 135 საქმის ფურცელი 76-81 და 103). ჩემი ოჯახის წევრთა განცხადებანი გამომძიებელთა კარნახით იწერებოდა. ამ მიზნით გამომძიებლებმა სპეციალურად დააშინეს ჩემი ოჯახის წევრები იმით, რომ მე შეიძლება დამხვრიტონ, და იმისათვის, რომ სიკვდილით დასჯისაგან გადამარჩინონ, საჭიროა შეურაცხადად მცნონ.

გამომძიებლებს ეს ხელს აძლევდათ, ეს ხდებოდა იმისთვის, რომ დაემალათ ლატარიის ბილეთებთან დაკავშირებული პროვოკაცია, დაემალათ ჩემი უკანონო დაპატიმრება, დაემალათ გამოძიების გამოყენებული აკრძალული მეთოდები, უგულებელეყოთ ჩემი მართალი ჩვენებები, გამართლებინათ საზოგადოებრიობის წინაშე ჩემ მიმართ პრესაში გამოქვეყნებული ცილისმწამებლური ცნობები და ა. შ.

სინამდვილეში კი ფსიქიკური დაავადებანი არასოდეს არ მქონია, რაც დასტურდება 1970 წლის 6 ივლისის № 555 ცნობით, რომელიც გასცა თბილისის საქალაქო ფსიქონევროლოგიურმა დისპანსერმა, სადაც აღნიშნულია: „მაცაბერიძე გიორგი ერასტის ძე, 1916 წელს დაბადებული, ქალაქ თბილისის მკვიდრი, საქალაქო ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში აღრიცხვაზე არ არის“ (გთხოვთ ნახოთ ცნობა — ტომი 1, საქმის ფურცელი 203). ხოლო რაც შეეხება ცილისწამებას, თითქოს 1945-46 წლებში ფსიქიკური დაავადება მქონოდეს, ამას ზემოთ აღნიშნული ცნობის გარდა უარყოფს ის ფაქტიც, რომ 1945-46 წლებში ვმუშაობდი „თბილისწყალხელსაწყოს“ ქარხნის დირექტორად, ხოლო მომდევნო წლებში მაყენებდნენ სხვადასხვა თანამდებობაზე საქართველოს მრეწველობაში და ფსიქიკური დაავადება არასოდეს არ მქონია და არა მაქვს.

ამ თავხედური ცილისწამების შემდეგ რამდენიმე დღეს, ესე იგი 1970 წლის ივლისის პირველ რიცხვებში, ზედიზედ სამ დღეს სამჯერ მცემეს — გადამიტრიალეს ხელები, დამადეს ხელბორკილები, დამადეს იატაკზე და გამცხეს. ცემის პარალელურად მაწვალებდნენ, მემუქრებოდნენ, მეუბნებოდნენ: „ჭკუაზე შეგშლით და სამუდამოდ მოგათავსებთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში“. სამველ არ მაძლევდნენ არც დღე, არც ღამე, უშვერი სიტყვებით მლანძღავდნენ, ცდილობდნენ წამების, ცემის, ნერვიულობისა და დასხივების საშუალებით ჭკუაზე შევეშალე.

მთელ ამ ძალადობათა შემდეგ 1970 წლის 5 ივლისს გამომძიებლებმა შეთხზეს დადგენილება „სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ“ (გთხოვთ ნახოთ დადგენილება — ტომი 1, საქმის ფურცელი 212-215). ხოლო 1970 წლის 7 ივლისს მე ეტაპით (თვითმფრინავით) გამგზავნეს ქალაქ მოსკოვში და ჩამსვეს მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო იზოლატორში 48/2 (ყოფილი ბუტირკის ციხე).

1970 წლის 29 ივლისს ქალაქ მოსკოვში (ციხეში) საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლებმა ნაჭყებიამ და კუპრავამ დამკითხეს თბილისის სინთეზური ნაწარმის ფაბრიკიდან საქართველოს სსრ სხვა ორგანიზაციებისათვის გადაცემული მოწყობილობის საკითხზე (გთხოვთ ნახოთ დაკითხვის ოქმი — ტომი 1, საქმის ფურცელი 156-159). 1970 წლის 7 აგვისტოს წარმადგინეს სსრ კავშირის სერბსკის სახელობის სასამართლო ფსიქიატრიის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კომისიაზე. ფსიქიატრ ექიმებთან 5-წუთიანი საუბრის შემდეგ უკან წამიყვანეს მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამინისტროს 48/2 საგამოძიებო იზოლატორში.

იმ ჩანაფიქრის ჩაშლის შემდეგ, რომ ჭკუიდან შევეშალე და მოვეთავსებინე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში „სტაციონარული დაკვირვებისათვის“, გამომძიებლები იძულებული იყვნენ 1970 წლის 11 სექტემბერს ქალაქ მოსკოვიდან ეტაპით ჩავეყვანე ქალაქ თბილისში და ჩავესვი საქართველოს სსრ სუკის საგამოძიებო იზოლატორში.

1970 წლის 16 სექტემბერს საჩივრით მივმართე საქართველოს პროკურატურას (გთხოვთ ნახოთ საჩივარი — ტომი 135, საქმის ფურცელი 115). საქართველოს პროკურატურიდან კვლავ არავითარი რეაგირება. ჩანაფიქრი, რომ ჭკუაზე შემშალონ ან მიაღწიონ დასკვნის მიღებას, თითქოს ვეწევი ფსიქიკური დაავადების სიმულირებას, საჭირო იყო საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, აქაოდა, იგი გიჟია ან ფსიქიკური დაავადების სიმულაციას ეწევა, მისი ჩვენებები და საჩივრები თითქოსდა გამოძიების გამოყენებული მეთოდების შესახებ ბოდვაა, მისი დაჯერება არ შეიძლება და ა. შ. ამ ვერაგული პროვოკაციის გამართლებისა და ბრალდებათა შეთხზვისათვის გამომძიებლებმა ნაწილობრივ „მიაღწიეს“ სასურველს, საბრალდებო დასკვნაში აღნიშნეს: „ბრალეული მაცაბერიძე ეწეოდა ფსიქიკური დაავადების სიმულაციას და საკნიდან არ გამოდიოდა ჩვენებების მისაცემად“.

ზემოთ აღნიშნულ თავხედურ სიყალბეს უარყოფს ის ფაქტი, რომ 1970 წლის 30 მარტიდან 1971 წლის 10 ოქტომბრამდე მივეცი ჩვენებანი, რასაც ადასტურებს ჩემი დაკითხვის 30-ზე მეტი ოქმი.

ამას აგრეთვე უარყოფს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის სახელზე ჩემი 1971 წლის 10 ოქტომბრის საჩივარი და საქართველოს სსრ პროკურორის სახელზე არაერთგზისი საჩივრები. და ბოლოს, ყველა ჩემი თანასაკნელი დაადასტურებს, რომ ასეთი რამ არ ყოფილა.

გამომძიებლებმა, რომლებსაც უნდოდათ რაიმეში დავედანაშაულებინე, 1970 წლის 2 აპრილს, ესე იგი პირველი პირზე წაყენებიდან ერთი წლის შემდეგ, განმეორებით პირზე წამაყენეს თბილისის სინთეზური ნაწარმის ფაბრიკის № 1 საამქროს დაშინებული და შეგონებული უფროსი ტარონიშვილი და წამოაყენებინეს ხელის დადების შეცვლილი ვერსია.

ხოლო ჩემი დაპატიმრების მომენტიდან მეთორმეტე თვეზე, ესე იგი 1971 წლის 8 სექტემბერს, გამომძიებლებმა პირზე წამაყენეს ზემოთ დასახელებული ფაბრიკის სამეურნეო ნაწილის გამგე დაშინებული და შეგონებული დამნაშავე ნასხლეტაშვილი ა. გ. (დაწვრილებით გთხოვთ ნახოთ ამ საჩივრის მესამე თავში). ნასხლეტაშვილთან პირზე წაყენების შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ პროვოკაციებსა და ხელის დადებას საზღვარი არა აქვს. თვითნებობით იძულებულმა 1971 წლის 10 აგვისტოს მივმართე საჩივრით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს მჟავანაძეს, 1971 წლის 9 სექტემბერს და განმეორებით 4 ოქტომბერს საჩივრებით მივმართე საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს.

ჩემი საჩივრები სხვა საჩივრების ანალოგიით ურეაგიროდ დარჩა და ისინი არ არის სისხლის სამართლის საქმეში — დამალეს. როცა დავრწმუნდი, რომ საქართველოში უშედეგოა ჩემი უდანაშაულობის დამტკიცება, 1971 წლის 10 ოქტომბერს საჩივრით მივმართე სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს და ვთხოვე ჩარეულიყო და უარს ვამბობ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის თანამშრომლებისათვის ჩვენებათა მიცემაზე (გთხოვთ ნახოთ საჩივარი — ტომი 135, საქმის ფურცელი 128, და 131). ჩემი საჩივარი კვლავ ურეაგიროდ დარჩა. ხელმეორედ 1971 წლის 25 ოქტომბერს და მესამედ 9 ნოემბერს საჩივრებით მივმართე სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს.

ჩემი საჩივრები კვლავ ურეაგიროდ დარჩა, და ისინი ჩაკერებული არ არის სისხლის სამართლის საქმეში — დამალეს.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის სახელზე ჩემი საჩივრების შემდეგ გამომძიებლები კვლავ გაძლიერებით აკოწიწებენ სისხლის სამართლის საქმეს:

1. 1971 წლის 20 ნოემბერს ზედამხედველობის პროკურორმა კაბიძემ და გამომძიებლებმა ნაჭყებიამ და გვარამიამ გამომიძახეს საქართველოს სსრ სუკის საგამოძიებო იზოლატორის უფროსის კაბინეტში და გამაცნეს ადვოკატი ეროტაძე.

გაცნობის შემდეგ ადვოკატმა შემომთავაზა მიმეცა ჩვენებანი გამომძიებლებისათვის, აგრეთვე შემომთავაზა თავისი სამსახური. მე უარი ვთქვი და მოკლედ გავაცანი ადვოკატს უარის მიზეზები.

ამით დამთავრდა ჩემი საუბარი ადვოკატთან. სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის დროს აღმოვაჩინე, რომ ადვოკატ ეროტაძესთან საუბრიდან ცხრა დღის შემდეგ, პროკურორმა კაბიძემ და გამომძიებლებმა ნაჭყებიამ და გვარამიამ შეაკოწიწეს ფიქტიური ოქმი ზემოთ დასახელებულ პირთა ხელმოწერით, თითქოს 1971 წლის 29 ნოემბერს მე უარი მეთქვას გავცნობოდი სისხლის სამართლის საქმის მასალებს (გთხოვთ ნახოთ ფიქტიური ოქმი — ტომი 136, საქმის ფურცელი 4-6). 1971 წლის 20 ნოემბრისათვის წინასწარი გამოძიება არ იყო დამთავრებული და ისინი ვერაფრით ვერ შემომთავაზებდნენ გავცნობოდი სისხლის სამართლის საქმის მასალებს, მით უმეტეს, რომ 1971 წლის 29 ნოემბერს ადვოკატი, პროკურორი და გამომძიებლები საერთოდ არ მინახავს.

2. 1971 წლის 26 დეკემბერს საქართველოს სსრ სუკის საგამოძიებო იზოლატორში გამოცხადდა ადვოკატი ეთერ გიგიბერია გამომძიებელ სისაურთან ერთად და შემომთავაზა მიმეცა ჩვენებანი გამომძიებლებისათვის. მე უარი ვთქვი და მოკლედ ავუხსენი ადვოკატს უარის მიზეზები. ამით დამთავრდა ჩემი საუბარი ადვოკატთან. სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ადვოკატმა გიგიბერიამ და გამომძიებელმა სისაურმა შეაკოწიწეს ფიქტიური — იმთავითვე ყალბი ოქმი, თითქოს 1971 წლის 11 დეკემბერს უარი მეთქვას სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობაზე (გთხოვთ ნახოთ ფიქტიური ოქმი — ტომი 136, საქმის ფურცელი 98). 1971 წლის 26 დეკემბრამდე საერთოდ არ ვიცოდი ადვოკატ გიგიბერიას არსებობა და როგორ შემეძლო უარი მეთქვა 1971 წლის 11 დეკემბერს სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობაზე ადვოკატ გიგიბერიას თანდასწრებით? ადვოკატმა გიგიბერიამ ხელი მოაწერა 1971 წლის 26 დეკემბრის მეორე ოქმს, თითქოს უარი მეთქვას დაცვასა და სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობაზე (გთხოვთ ნახოთ მეორე ფიქტიური ოქმი — ტომი 136, საქმის ფურცელი 99-100). სინამდვილეში, 1971 წლის 26 დეკემბერს ადვოკატ გიგიბერიასთან საუბარში მე უარი ვთქვი დაცვაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობაზე უარი არ მითქვამს.

ამავე ოქმში ადვოკატმა გიგიბერიამ მომაწერა შემდეგი თხოვნა-შუამდგომლობანი:

ა. „მიეცეს განსასჯელ მაცაბერიძეს სსრ კავშირის პროკურატურის წარმომადგენელთან საუბრის შესაძლებლობა“.

ბ. „განსასჯელი მაცაბერიძე გაიგზავნოს შესაბამის ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე სტაციონარული დაკვირვებისათვის“.

როგორც ამ შეკოწიწებული ოქმებიდან და შუამდგომლობებიდან ჩანს, გამომძიებლები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა დაემალათ სისხლის სამართლის საქმის შეთხზული მასალები და შეექმნათ საზოგადოებრივი აზრი: მაცაბერიძე გიჟია ან ფსიქიკური დაავადების სიმულაციას ეწევა. ყოველივე ამას ამ სისხლის სამართლის საქმის შემქმნელები იმისთვის შვრებოდნენ, რომ დაემტკიცებინათ გამოგონილი ბრალდებები, დაემალათ სისხლის სამართლის საქმის ფაბრიკაციები და არ მიეღოთ ჩემი მართალი ჩვენებები შეკოწიწებული ბრალდებების უარყოფისა და გამოძიების გამოყენებული ბარბაროსული მეთოდების შესახებ.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 202, 203, 206.

საზღვარგარეთ

მარიო კუომო — ბუშის სერიოზული კონკურენტი

ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი მარიო კუომო შეიძლება გახდეს აშშ-ს ადმინისტრაციის ახლანდელი მეთაურის ჯორჯ ბუშის ძალზე სერიოზული კონკურენტი 1992 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მომავალ პრეზიდენტის არჩევნებში. ეს აზრი გამოთქვა კვირას სი-ბი-ეს-ის ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში თეთრი სახლის თანამშრომელთა აპარატის ხელმძღვანელმა ჯონ სუნუნუმ. „მარიო ძალზე სერიოზული მეტოქეა, და თუ იგი ჩაებმება წინასაარჩევნო კამპანიაში, გაგვიჭირდება“, — აღნიშნა მან.

ძნელია იმის თქმა, სინამდვილეში რესპუბლიკელებს რამდენად „აშინებთ“ მ. კუომო. მაგრამ, ვაშინგტონის პოლიტიკურ ექსპერტთა აზრით, აღიარება, რომელიც გაისმა ჯ. ბუშის ერთ-ერთი უახლოესი თანაშემწის ბაგეთაგან, შემთხვევითი არ არის, ისევე როგორც შემთხვევითი არ არის ამ ბოლო დღეებში სულ უფრო მზარდი ყურადღება ნიუ-იორკის გუბერნატორის პიროვნებისადმი. მას შემდეგ, რაც ცნობილმა ზანგმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ ჯესი ჯექსონმა შაბათს ოფიციალურად განაცხადა, რომ არ დაასახელებს თავის კანდიდატურას პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში, მ. კუომო, ალბათ, დარჩა დემოკრატთა ერთადერთი სერიოზული პოტენციური კანდიდატი, ვისაც ჯერ კიდევ შეუძლია დაიწყოს წინასაარჩევნო კამპანია. საერთო აზრით, სწორედ ის შეძლებდა ყველაზე ღირსეულად წარმოედგინა დემოკრატიული პარტია და გამხდარიყო თეთრი სახლის ახლანდელი პატრონის ძლიერი მეტოქე. ამ 47 წლის პოლიტიკოსს, რომელიც ფართოდ ცნობილი და ავტორიტეტული პიროვნებაა, მშვენიერ ორატორად მიიჩნევენ და, გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ თქმით, „შეუძლია როგორც თანასწორი გაეჯიბროს ბუშს სიტყვიერ დუელებში“. როგორც მოელიან, მ. კუომო უახლოეს ხანს ოფიციალურად განაცხადებს, იბრძოლებს თუ არა 1992 წელს ადმინისტრაციის მეთაურის პოსტისათვის.

ამასობაში დემოკრატიული პარტიის უკვე ექვსმა წარმომადგენელმა დაიწყო თავისი წინასაარჩევნო კამპანიები. ესენი არიან სენატორები ტომ ჰარკინი და რობერტ კერი, არკანზასისა და ვირჯინიის შტატების გუბერნატორები ბილ კლინტონი და დუგლას უაილდერი, ყოფილი სენატორი პოლ ტსონგასი და კალიფორნიის ყოფილი გუბერნატორი ჯერი ბრაუნი. მათ უახლოესი დროისათვის დაგეგმეს მთელ ქვეყანაში საჯარო გამოსვლების სერია, ხოლო 12 ნოემბერს ექვსივე აპირებს სიტყვა წარმოთქვას მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე უდიდესი პროფკავშირული გაერთიანების (ამერიკის შრომის კონფედერაცია-საწარმოო პროფკავშირის) კონგრესის ყოველწლიურ ყრილობაზე.

ადვოკატები და „ზომბის“ ვერსია

როგორია წარუმატებელი პუტჩის დაპატიმრებულ ხელმძღვანელთა შემდგომი ხვედრი? რატომ მოიკლა თავი ზოგიერთმა მაღალი თანამდებობის საბჭოთა მოხელემ? ვინ და რა მიზნით გადასცა საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელთა დაკითხვის ჩანაწერებიანი ვიდეოკასეტა ჟურნალ „შპიგელს“?

ეს კითხვები გახდა გაზეთ „არგუმენტი და ფაქტის“ მთავარი რედაქტორის სტარკოვის და რუსეთის გენერალური პროკურორის სტეპანკოვის შეხვედრის თემა. საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტის საქმის გამო გამოძიებაში მყოფთა ადვოკატებთან შეხვედრის მონაწილეთა აზრით, საფიქრებელია, რომ პუტჩისტებმა და სამმა პარტიულმა ფუნქციონერმა, რომლებმაც თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე, ვერ გადაიტანეს სირცხვილი და მაღალი თანამდებობებიდან ჩვეულებრივი პატიმრების მდგომარეობაზე „გადასვლის“ პერსპექტივები.

თუმცა, გამოითქვა სხვა ვერსიაც სავარაუდოა — ისინი იყვნენ.. თვითმოსპობისათვის დაპროგრამებულნი ე. წ. „ზომბები“, რათა არ გამოქვეყნებულიყო არასასურველი ფაქტები. ყოველ შემთხვევაში, შეხვედრის მონაწილეთა აზრით, მათზე „გარკვეული ზეგავლენა მოახდინეს“. ამის დასადასტურებლად მოიყვანეს ანატოლი ლუკიანოვის აზრი, რომელსაც მიაჩნია, რომ ჩხრეკასა და დაპატიმრებას შორის ხუთი საათის ინტერვალი შეგნებულად გააკეთეს, რათა მიეცათ მისთვის თავის მოკვლის დრო.

ბორის პუგოს თვითმკვლელობა, რუსეთის გენერალური პროკურორის სტეპანკოვის აღიარებით, ამ ჯაჭვში ცალკე დგას, რადგან მისი სიკვდილი იყო მის დასაპატიმრებლად ჩამოსული რუსეთის პროკურატურის მხრივ „პროფესიონალიზმის ნაკლებობის შედეგი“.

გახმოვანებული დისკუსია გაჩაღდა გამოძიების მასალების გადინებისა და ჟურნალ „შპიგელისათვის“ საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელთა დაკითხვების ვიდეოჩანაწერების პირების გადაცემის გამო. ერთი ვერსიის თანახმად, ისინი შეიძლებოდა გერმანელი ჟურნალისტებისათვის გადაეცათ რუსეთის პროკურატურის სახელის გატეხის მიზნით. ამ აზრს ადგანან პატიმართა ადვოკატები და რუსეთის სფსრ გენერალური პროკურორი.

მეორე ვერსიის ავტორია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი ოლეგ კალუგინი. მან „გაამჟღავნა სახელმწიფო საიდუმლო“ იმის შესახებ, რომ ჟურნალ „შპიგელს“ სუკი დიდხანს იყენებდა დეზინფორმაციული მიზნებისათვის. მისი თქმით, ჟურნალისათვის ვიდეოჩანაწერების ასლის გადაცემის მიზანია გამოძიებისა და საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშოროს მომხდარი ამბის ჭეშმარიტ დეტალებს და დაწვრილებით ამბებს.

ალბათ, მალე შევიტყობთ, სინამდვილეში როგორ იყო საქმე, რადგან გამოძიებას, როგორც რუსეთის პროკურატურის ხელმძღვანელმა განაცხადა, გულმოდგინედ ეწევიან და უკვე რაღაც ძვრებიც დაისახა.

აგვისტოს პუტჩის დაპატიმრებულ ხელმძღვანელთა შემდგომი ბედი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, რომელზეც თითოეული ბრალდებული პასუხისმგებლობას მხოლოდ თავისი ნამოქმედარისათვის იკისრებს, მაგრამ ტელესტუდიაში შეკრებილთა საერთო აზრით, პუტჩისტები პასუხს აგებენ სასამართლოს წინაშე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ თავიანთი რწმენის რეალიზაციისას კანონი დაარღვიეს.

ესპანეთი

მადრიდში მიმდინარეობდა ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიანად მოწესრიგების საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია. ახლახან დაიწყო მისი მუშაობის მე-2 ეტაპი, რომელიც კვლავ მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრშია.
სურათზე: მადრიდის სამეფო სასახლის სვეტებიანი დარბაზი კონფერენციის დაწყების წინ.

კაიფუს კაბინეტი გადადგა

იაპონიის მთავრობა ტოსიკი კაიფუს მეთაურობით, რომელმაც უკანასკნელი სხდომა გამართა, მთელი შემადგენლობით გადადგა. ეს გამოიწვია მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის შეცვლამ, რომლის თავმჯდომარედ კაიფუს უფლებამოსილების ვადის დამთავრების შემდეგ არჩეულია 72 წლის კიიტი მიიაძავა.

პარლამენტის დაწყებული რიგგარეშე სესიის დეპუტატებმა უნდა აირჩიონ ახალი პრემიერ-მინისტრი. პარლამენტის ყველაზე გავლენიან ქვედა პალატაში ლიბერალ-დემოკრატთა სტაბილური უმრავლესობა და ოპოზიციის ბანაკში ერთიანობის უქონლობა წინასწარ განსაზღვრავს, რომ მიიაძავას აირჩევენ განსაკუთრებული პრობლემების გარეშე. ახალი პრემიერ-მინისტრი გამოაცხადებს თავისი კაბინეტის შემადგენლობას, რომელშიც პორტფელები უკვე წინასწარ არის განაწილებული უდიდეს შინაპარტიულ დაჯგუფებებს შორის.

ნატოს მომავალ სესიაზე

„ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მომავალი როლი და უშიშროების დარგში მისი მთავარი ამოცანები 90-იან წლებში“ — ასეთია ძირითადი საკითხები, რომლებიც უნდა განიხილონ ნატოს საბჭოს სესიის მონაწილეებმა, ამ კვირაში რომ იხსნება რომში. ეს გამოაცხადა კვირას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ჟურნალისტებთან ხანმოკლე შეხვედრის დროს.

მაგრამ, — გამოთქვა გაფრთხილება ადმინისტრაციის მეთაურმა, — არ უნდა მოველოდეთ, რომ იტალიის დედაქალაქში თათბირზე მოხდება „რაიმე დიდი, გასაშტერებელი მოულოდნელობანი“. ამასთან მან დასძინა, რომ ნატო კვლავინდებურად, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაშლის შემდეგაც კი, „განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიოში“.

ამავე დროს, როგორც ცნობილი გახდა ვაშინგტონის პოლიტიკურ და ჟურნალისტურ წრეებში, ნატოს საბჭოს მომავალ სესიაზე უნდა მოიწონონ ახალი სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც შეცვლის ამჟამად ბლოკის შეიარაღებაში არსებულ „მოქნილი რეაგირების“ სტრატეგიას. კერძოდ, გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ აზრით, ახალი დოქტრინა „უარყოფს საბჭოთა სამხედრო საფრთხის არსებობას და აცხადებს, რომ დასავლეთის ალიანსისათვის, უწინარესად, საფრთხეს წარმოადგენს ისეთი გლობალური და რეგიონალური პრობლემები, როგორიც არის ბირთვული იარაღის გავრცელება, არასტაბილურობა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში და ეროვნული კონფლიქტები აღმოსავლეთ ევროპაში“. ამასთან დაკავშირებით, როგორც უთხრა გაზეთს ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა, რომელმაც არ მოისურვა პრესაში მისი სახელის მოხსენიება, ნატო კვლავაც უფრო ფართოდ მიუდგება უშიშროების საკითხებს და მთავარ ყურადღებას დაუთმობს კონფლიქტების მოწესრიგებას და კრიზისების თავიდან აცილებას სხვადასხვა სახელმწიფოს ურთიერთობაში.

დაიწყო მოლაპარაკება

ჩინეთის მატერიკსა და ტაივანს შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება, ღია ზღვაში ინციდენტების თავიდან აცილება, სამართლებრივი ორგანოების საქმიანობის შეთანხმება — ასეთია ტაივანის ხელისუფალთა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებს შორის დაწყებული მოლაპარაკების დღის წესრიგის ძირითადი საკითხები.

ჟურნალისტებთან საუბრისას ტაივანის დელეგაციის მეთაურმა, ტაივანის სრუტის ორ მხარეს შორის გაცვლის ფონდის გენერალურმა მდივანმა ჩენ ჩანვენმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა სფეროში კუნძულისა და მატერიკის თანამშრომლობის გაღრმავება ხელს უწყობს ჩინეთის გაერთიანების საქმეს.

ბოლო ხანს პეკინმა არაერთგზის მიმართა პოლიტიკურ მანევრებს, რითაც პროტესტი გამოთქვა კუნძულზე ტაივანის დამოუკიდებლობის მომხრეთა გააქტიურების წინააღმდეგ. ტაიბეისაც არ შეუცვლია თავისი ოფიციალური პოზიცია — „არავითარი ოფიციალური კონტაქტები პეკინთან“. და მაინც დაძაბულობა მატერიკისა და კუნძულის ურთიერთობაში მნიშვნელოვნად შემცირდა, რასაც დიდად შეუწყო ხელი მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის აქტიურმა განვითარებამ. ჰონკონგისა და იაპონიის შემდეგ ტაივანი გახდა ჩინეთის ეკონომიკაში უცხო ინვესტიციათა მნიშვნელობით მესამე წყარო. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მოქმედებს უკვე სამი ათასზე მეტი საწარმო 2 მილიარდამდე დოლარი ტაივანური კაპიტალის მონაწილეობით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს
ბატონ ზვიად გამსახურდიას

თბილისი — საქართველო
25 სექტემბერი, 1991 წ.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციების თანახმად გასულ დღეებში ადგილი ჰქონდა ძალაუფლების უხეშ გადამეტებას საქართველოს ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის წამყვანი წევრების მიმართ. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მილიციელთა ქმედება მთავრობის სასახლესთან ა. წ. 2 და 6 სექტემბერს გამართული საპროტესტო დემონსტრაციების მონაწილეთა წინააღმდეგ, აგრეთვე ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის გიორგი ჭანტურიასა და პარტიის სხვა წევრების დაპატიმრება 17 სექტემბერს.

გერმანიის ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის სახელით გამოვთქვამ მტკიცე პროტესტს თქვენს ქვეყანაში სხვაგვარად მოაზროვნეთა შევიწროების ზემოხსენებული ფაქტების გამო. ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება დემოკრატიის ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა შეხედულებათა გამოხატვისა და შეკრებების გამართვის თავისუფლებანი.

აქვე მოვითხოვ, დაუყოვნებლივ გამოინახოს გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან! ძალაუფლების ამგვარი გადამეტება საქართველოს ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის და სხვა ორგანიზაციების მიმართ, რომელთაც როგორც ოპოზიციურ ძალებს დიდი როლი ეკისრებათ თქვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, არ შეშვენის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ველით თქვენს პასუხს
მეგობრული სალმით
ულრიხ ბაუსი,
პარტიის ექსპერტი უცხოეთთან ურთიერთობის საკითხებში.

ბატონო მრჩეველო!

დიდი მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ ისტორიულმა გამოცდილებამ ვერაფერი შეასწავლა იმ პარტიას, რომლის მიმდევარი და მემკვიდრეა თქვენი პარტია. ამას ამტკიცებს მისი მთავარი ლოზუნგი სატიტულო ფურცელზე და დაუშვებელი ტონი, რომლითაც მიმართეთ სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბ-ნ ზვიად გამსახურდიას.

მიიღეთ ჩვენი მეგობრული რჩევა: თავიდან ამოიგდეთ იდეაფიქსი (?) რაიხის შესახებ, რამეთუ იმპერიალისტურ ამბიციებს არასოდეს არავისთვის კარგი არა მოუტანია რა. მიმართვის ფიურერისებრი ტონი საუბრის იმ მაღალკულტურული ტონით შეცვალეთ, რომლითაც ყოველთვის განირჩეოდა ჩვენგან ესოდენ მხურვალედ პატივცემული დიდი გერმანელი ხალხი.

რაც შეეხება ჩვენს საშინაო პრობლემებს და ჩვენს „ყავისფერხალათიანებს“, გარწმუნებთ ყველას, რომ ამ ამოცანათა გადაწყვეტისას საფუძვლად ავიღებთ ქართველი ხალხის მთავარ პრინციპებს — ჰუმანურობას, ცივილიზებულობას და კანონის პატივისცემას, თუმცაღა მიგვაჩნია, რომ პროვოკატორებს, ვანდალებს და ქუჩის ხულიგნებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ვერც ერთი პარტიის წევრობა ვერ დაიხსნის, თუნდაც ეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იყოს.

გულითადი სალმით
საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახური.

ქართველი „ეროვნულ-დემოკრატები“ და მათი არამკითხე უცხოელი ქომაგები

მაშ ასე, საქართველოში ადამიანის უფლებების საზღვარგარეთელ „დამცველთა“ რიგებს ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია „შეემატა“, მას თავის სამშობლოში გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიად იცნობენ. სახელი სახელად, თორემ ნებისმიერმა გერმანელმა მოქალაქემ მშვენივრად უწყის ამ სახელწოდებას ამოფარებული დაჯგუფების პოლიტიკური „მრწამსისა“ და იდეოლოგიური სულისკვეთების შესახებ.

ქართველი მკითხველისათვის რომ გასაგები იყოს ჩვენებურ „ეროვნულ-დემოკრატთა“ ახლად მოვლენილი უცხოელი „ადვოკატების“ ვინაობა, მოგახსენებთ, რომ ზემოხსენებული პარტია ნეოფაშისტური ულტრარადიკალური ორგანიზაციაა, რომლის პროგრამულ დოკუმენტებს გებელსისა და როზენბერგის „ნაშრომები“, და რა თქმა უნდა, ფიურერის „მაინ კამპფი“ უდევს საფუძვლად. დაარსებულია 1964 წელს. მის რიგებში დაახლოებით 15 ათასი წევრია და ისეთივე „რეპუტაციით“ სარგებლობს, როგორც საზოგადოება „პამიატი“ რუსეთში. მასში იმთავითვე გაერთიანდნენ „დიდი გერმანიის“ ნოსტალგიით შეპყრობილი ექსტრემისტები, წვრილფეხა ბიურგერობა და ქალაქის ლუმპენპროლეტარები. ამ უკანასკნელთაგან არჩევდნენ და დღესაც არჩევენ პარტიის მესვეურები ინტელექტზე მწყრალად მყოფ, მაგრამ კუნთმაგარ ჯეელებს მოიერიშე დამკვრელური ბრიგადების დასაკომპლექტებლად პოლიტიკური აქციების განხორციელებისათვის.

გერმანელ „ეროვნულ-დემოკრატებს“ საკუთარი ემბლემაც აქვთ, რომელზეც გამოსახულია გერმანული „რაიხი“ თავის ოდინდელ გეოგრაფიულ საზღვრებში (რომელშიც ლამის ნახევარი პოლონეთია მოქცეული). ოდნავ ქვემოთ მუქარანარევი წარწერაა: „გერმანია უფრო მეტია, ვიდრე ფედერაციული რესპუბლიკა“ (მათ სათაყვანებელ ფიურერსაც ხომ ნიადაგ ეცოტავებოდა ტერიტორიები). პარტიის ოფიციალური დევიზი ასეთია: „ნაციონალური სოლიდარობა და სოციალური სამართლიანობა“. ტერმინთა ნაცნობი შესიტყვებაა. საზოგადოებას კარგად მოეხსენება, როგორი „სოლიდარობა“ იცოდნენ და რანაირი „სამართლიანობა“ დაამყარეს უმოკლეს დროში „საერთაშორისო“ მასშტაბით ფიურერმა და მისმა მიმდევრებმა. სამწუხარო ის არის, რომ ისტორიის გაკვეთილებს ასე ნაჩქარევად ივიწყებენ „ცისფერი სისხლის“ აპოლოგეტთა პირდაპირი შთამომავლები და იდეური მემკვიდრეები.

„სამართლიანობა“ მოითხოვს ითქვას, რომ ათობით დიდ თუ მცირე ულტრარადიკალურ შოვინისტურ დაჯგუფებაში სწორედ გერმანიის ნაციონალ-დემოკრატიული პარტია ითვლება ყველაზე „თანამიმდევრულ“ ნეონაცისტურ ორგანიზაციად, რომლის მოღვაწეობა სხვა უკიდურესად მემარჯვენე-რესპუბლიკურ პარტიასთან ერთად მიჩნეულია გფრ-ს კონსტიტუციის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობად.

გერმანიაში (ისევე როგორც იტალიაში) ფაშიზმის პროპაგანდა კანონით არის აკრძალული, რაც აიძულებს საეჭვო ორიენტაციის პოლიტიკურ ძალებს ლამაზ-ლამაზი ჟღერადი სახელწოდებები დაინათლონ, თუმცა, ეს გარემოება მაინც ვერ ცვლის მათი საქმიანობისა და მიზანდასახულობის ჭეშმარიტ არსს. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად გფრ-ის ხელისუფლება ეფექტიანად ახერხებდა პოლიტიკური მიზნებისათვის გამოეყენებინა სხვადასხვა ჯურის ულტრარადიკალური ორგანიზაციები, აქეზებდა მათ ერთმანეთის წინააღმდეგ და ამით სურდა, დაენახვებინა რიგითი გერმანელისთვის პოლიტიკური ექსტრემიზმის, უკიდურესი რადიკალიზმის მთელი მავნეობა, რათა მას თავისი არჩევანი გაეკეთებინა ზომიერ, „ცენტრისტულ“ პარტიებზე, როგორც სტაბილურობის გარანტზე.

სახელწოდება რომ ვერ გამოდგება ამა თუ იმ პარტიის მოღვაწეობის არსის გამომხატველად, იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ იმავე გერმანიაში (ყოფილი გდრ-ის ფარგლებში), წლების მანძილზე არსებობდა კიდევ ერთი, ამჯერად უკვე კომუნისტური ხელისუფლების მიერ ნებადართული „ნაციონალ-დემოკრატიული“ პარტია, რომელიც ცნობდა გერმანიის სოციალური ერთიანობის პარტიის „ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს“, პოლიტიკურ ცხოვრებაში, იღვწოდა სოციალისტური სამშობლოს ძლიერების ყოველმხრივი „განმტკიცებისათვის“. ერთი სიტყვით, თავისი ამაგი დასდო გდრ-ში „განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს“.

რას ვიზამთ, მარქსისტ „ნაციონალ-დემოკრატებს“ ამგვარად ესახებოდათ ეროვნული და დემოკრატიული იდეალების ერთგულება.

ასე რომ, სავსებით შესაძლებელია კომუნიზმის ნათელი მომავლის აშენებისთვის ღვარო ოფლი და „ეროვნულ-დემოკრატად“ იწოდებოდე. შესაძლოა, „დიდი გერმანიის“ შოვინისტური ლოზუნგებით გამოდიოდე და „ეროვნულ-დემოკრატობაზე“ აცხადებდე პრეტენზიას, უფრო მეტიც, შესაძლებელია საერთოდ არანაირი პოლიტიკური კონცეფცია, თეორიული ბაზისი არ გაგაჩნდეს და ისევდაისევ „ეროვნულ-დემოკრატად“ მოგქონდეს თავი.

დავუბრუნდეთ გერმანულ „ნაციონალ-დემოკრატებს“, რომელთაც სერიოზულად განიზრახეს იზრუნონ სხვა სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა „დაცვისთვის“, თორემ საკუთარ ქვეყანაში, აბა, ვინ რას დაუჯერებს სტაჟიან დებოშირებს და არაერთი ნეონაცისტური სკანდალის „ავტორებს“.

ამიტომაც, მიაპყრეს საქართველოს თავიანთი „განათლებული“ ყურადღება. საბაბიც აქვთ — საფრთხე შექმნიათ ქართველ „ეროვნულ დემოკრატებს“, რომელთაც ისინი სავსებით სერიოზულად მიიჩნევენ თანამოძმეებად და უცხადებენ პარტიულ სოლიდარობას. შესაძლოა, ქართველ „ეროვნულ დემოკრატებს“ ნაკლებად აღელვებთ გერმანიის მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობის სხვადასხვა ასპექტები. სამაგიეროდ, ზოგადი მოსაზრებები „სტრატეგიისა“ და განსაკუთრებით „ტაქტიკის“ საკითხებში, „მოქალაქეობრივი“ პათოსი, „შეურიგებლობა“ არსებული „სინამდვილისადმი“ საცნაურად ხდის ამ ორი მოსახელე პარტიის „სულიერ“ სიახლოვეს.

ამასვე ადასტურებს საქართველოს პრეზიდენტისადმი გამოგზავნილი მიმართვის ტონი და საერთო განწყობა.

„გერმანელი ეროვნულ-დემოკრატები“ ძლიერ აღშფოთებია „ძალაუფლების“ უხეშ გადამეტებას“ ქართველი „ეროვნული დემოკრატების“ მიმართ. მათ ავიწყდებათ, რომ ამგვარი „გადამეტება“ ყოველ მეორე დღეს ხდება თავად გერმანიაში ქუჩის პოლიტიკოსთა მიმართ, თუ ეს უკანასკნელნი „მშვიდობიანი პოლიტიკური ხერხებით“ განახორციელებენ ბარიკადების აღმართვას, ქუჩების გადაკეტვას, შეიარაღებული დემონსტრაციების მოწყობას და ა. შ.

იმ პარტიის წარმომადგენელი, რომელსაც ნახევარი ევროპის ხარჯზე ესახება „დიდი გერმანიის“ აღორძინება, თავს ნებას აძლევს „დამოძღვროს“ პრეზიდენტი, „ასწავლოს“ მას, თუ რა ეწინააღმდეგება და რა არა „ძირითად დემოკრატიულ პრინციპებს“. საინტერესოა, თავად როგორ აპირებენ „მესამე რაიხის“ ძლიერების აღდგენას „ძირითადი დემოკრატიული პრინციპების“ დაცვის გზით. ეტყობა, მართლაც რაღაც დიდი უბედურებაა საქართველოს თავს, რომ პირწავარდნილი ნეოფაშისტებიც კი გვიწუნებენ დემოკრატიას.

და ბოლოს, მკითხველს ვთხოვთ გაიხსენოს, ვის უწოდებენ საქართველოში მალიმალ „ფაშისტს“, „ნაცისტს“, „დიქტატორს?“ რომელი ქართული „პარტია“ ირჯებოდა და ირჯება სხვაზე მეტად მსგავსი „ეპითეტების“ შეთხზვისათვის?

ახლა იმასაც დავუკვირდეთ, ვის იცავენ, ვის უჭერენ მხარს და ვის უცხადებენ სოლიდარობას რეალური და არა მითიური გერმანელი ნეონაცისტები.

ი. ბერიშვილი,
საგარეო საქმეთა სამინისტროს უცხოეთის პრესის განყოფილება.

მემკვიდრეობა

უნიკალური გამოცემა

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს ვახუშტი ბაგრატიონს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართველი ხალხის წინაშე. ის არა მარტო ბრწყინვალე ისტორიკოსი, არამედ დიდი კარტოგრაფიც იყო. მას ეკუთვნის საქართველოს და მისი მომიჯნავე მხარეების ორი ქართულ და ერთიც რუსულ ენაზე შედგენილი რუკათა ატლასი. ეს ატლასები ფაქტობრივად საფუძვლად დაედო კავკასიის მეცნიერულ კარტოგრაფიას, მათ მოკლე ხანში კარგად გაეცნენ, როგორც კავკასიის შესწავლის პირველწყაროს დასავლეთ ევროპისა და რუსეთის წამყვანი მეცნიერები.

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წელს შედგენილი რუკა
THE MAP MADE BY VAHUSHTI BAGRATIONI IN 1735 A.D.

სამწუხაროდ, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შექმნილ კარტოგრაფიულ ატლასებს თავისებურად არ გაუმართლდათ. დღემდე არ გამოცემულა ამ ატლასებში შესული არც ერთი რუკის ფოტოპირი და მხოლოდ მეცნიერთა შეზღუდულ წრეს ჰქონდა საშუალება ხელნაწერთა საცავებში მათი გაცნობისა.

სასიამოვნოა, რომ ყინული დაიძრა: სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგმა“ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა ვახუშტის რუკათა პირველი ატლასის ძირითადი რუკის ფოტოპირი, რომელზეც სახელოვან ქართველ მეცნიერს სრულიად საქართველო და მისი მეზობელი ქვეყნები აქვს გამოხაზული. აქვე რუკის ზემოთ გადაღებულია ვახუშტის მიერვე დართული სრულიად საქართველოს და გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს სამეფო-სამთავროების სახელმწიფო დროშები. ძალზე მოსახერხებელია, რომ რუკის ფაქსიმილეს წაკითხვის გასაადვილებლად, გამომცემლებმა დაურთეს ქართულ და ინგლისურ ენებზე შედგენილი რუკები, რომლებზეც ვახუშტის რუკის მონაცემები თანამედროვე კარტოგრაფიულ საფუძველზეა გადმოცემული.

ვახუშტის რუკის ფაქსიმილეს გამოცემით გამომცემლობა „სარანგმა“ ქართველ ხალხს დაუბრუნა თავისი დიდებული წინაპრის მეცნიერული მემკვიდრეობის ერთი ნაწილი, რომელიც 250 წლის განმავლობაში მისთვის ფაქტობრივად უცნობი იყო. ეჭვგარეშეა, რომ 1735 წელს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ გამოხაზული სრულიად საქართველოს რუკა დაამშვენებს თითოეული ქართველის ოჯახს.

თამაზ ბერაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;

ილია ანთელავა,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ქრიმინალური ქრონიკა

დაკავებულნი არიან...

იმ საბედისწერო ღამეს ოზურგეთის რაიონის სოფელ ნატანებში მცხოვრები ერთ-ერთი ოჯახიდან დიდხანს ისმოდა ავტომატების სროლა: აქ იმ დროს მყოფმა სტუმრებმაც ვერ დაიცვეს მასპინძელი გაძარცვისაგან. ყაჩაღთა ოთხკაციანმა ჯგუფმა ირგვლივ ყველაფერი დაცხრილა და ფული, ოქრო, ძვირფასი ნივთები ავტომანქანებით გაიტაცა. მეორე დღეს მთელი რაიონი ლაპარაკობდა ამ ყაჩაღურ თავდასხმაზე.

დიდი თავსატეხი გაუჩნდა ოზურგეთის მილიციას, მაგრამ შედეგი არ ჩანდა, გარკვეული ხნის შემდეგ რუსთავის მილიციაში მივიდა ცნობა: მავანმა პირმა ძვირფასი ოქროული გაყიდაო, მყიდველიც დაასახელეს. მისი დაკითხვისას ბევრი რამ გაირკვა, ყაჩაღთა ბანდის მეთაური ვინმე ტურძელაძე ყოფილა. ეს ის ტურძელაძეა, რომელიც ინჟინერ-მეტალურგის დიპლომით მოევლინა რუსთავს. კოლექტივი და ახლობლები მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ამაოდ, მან ოჯახიც დაანგრია, ნარკომანებს, დამნაშავეთა სამყაროს შეეკედლა. ოპერაცია საზრიანად განახორციელეს რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა ოზურგეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ოპერატიულ ჯგუფთან ერთად. ტურძელაძეს მალე თავისი თანამეინახენი „ამოუდგებიან მხარში“.

რუსთავის შს განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა თავიანთ გორელ კოლეგებთან — გორის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებთან ერთად გორისაკენ მიმავალ ავტობუსში დააკავეს ადრე ნასამართლევი დროებით უმუშევარი თეიმურაზ ქუსიკაშვილი, ჩამოართვეს რუსთაველი მოქალაქის კრივენკოს ბინაში მოპარული ოქროულობა და სამკაულები, ხალიჩები, ქურქები და სხვა ნაძარცვი ნივთები.

რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა ოპერატიული მოქმედებით გააუვნებელყვეს ყაჩაღთა კიდევ ერთი ბანდა, რომელშიც შედიოდნენ გიორგი ყეინიშვილი, ჯემალ სუხიაშვილი, ფერუზ ლუხუტაშვილი, ამირან შეყრილაძე. ისინი თავს დაესხნენ მოქალაქე ნანა ჯანიაშვილის ბინას, შეკრეს მისი მოხუცი დედა, ხოლო მეუღლე და ბავშვი ტუალეტში ჩაკეტეს, ცეცხლსასროლი იარაღიც გამოიყენეს, მაგრამ ბანდიტები მილიციის თანამშრომლებმა დაკავეს. აღსანიშნავია, რომ ყეინიშვილი გვარდიელია, რაც განსაკუთრებითაა დამაფიქრებელი.

თბილისში საქსოფლმშენის დასახლების პირველი კვარტალის 21-ე კორპუსში მცხოვრები მარინე ლონდარიძე ქმარშვილიანია, სრულიად ახალგაზრდას უმაღლესი განათლებაც მიუღია... მასზე ეჭვის მიტანა ძნელი იყო, არადა, ბინაში 700 გრამი სარეალიზაციოდ გამზადებული კოკნარი აღმოაჩნდა.

საქმის მსვლელობით გაირკვა, რომ მარინე ლონდარიძე ნარკოტიკებით მოვაჭრე ჯგუფის წევრია, რომელშიც შედიოდნენ თბილისში, საქარხნო რაიონში მცხოვრები ძმები კახო და კარლო ბერიშვილები. პირველი — დროებით უმუშევარი, მეორე — კომერციული მაღაზიის „საირმის“ გამყიდველი. მათი თანამეინახე იყო საგარეჯოს რ-ის კოოპერატივ „გარეჯის“ მუშა თემურ შოშიაშვილი, ეს ჯგუფი საქმეში საკმაოდ გაწაფული იყო, ისინი სისტემატურად დადიოდნენ ქ. კიევში, ჭიქა კოკნარს 50 მანეთად ყიდულობდნენ, აქ კი მას 500-600 მანეთად ჰყიდდნენ.

დ. ივანიძე,
საქინფორმის კორესპონდენტი.

იუბილე

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია

ჩვენი საუკუნის უდიდესი პოეტის — გალაკტიონ ტაბიძის სახელი განუყრელია საქართველოსაგან, რომელიც სამართლიანად ამაყობს თავისი უნიჭიერესი შვილით, მისი სწორუპოვარი შემოქმედებით.

წლევანდელი წელი — პოეტის ასი წლისთავის იუბილეს წელია. ეს ღირსშესანიშნავი თარიღი აღინიშნება როგორც ქართული ლიტერატურის უდიდესი დღესასწაული.

ენერგიულად ემზადებიან პოეტის საიუბილეოდ ქუთაისის მცხოვრებლებიც. სკოლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში ტარდება ლიტერატურული საღამოები, ასცენირებენ მის ნაწარმოებებს.

საინტერესო ლიტერატურული კომპოზიცია — „გალაკტიონი და მისი შემოქმედება“ მოამზადეს ქუთაისის 29-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. თემატიკური ინსცენირებული წარმოდგენა მოაწყეს მათ გალაკტიონ ტაბიძის ძეგლთან, რომელიც ქალაქის ცენტრში არის აღმართული.

სურათზე: ლიტერატურული კომპოზიციის — „გალაკტიონი და მისი შემოქმედება“ მონაწილენი პოეტის ძეგლთან ქუთაისში.

გურამ გერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვითხოვთ თანადგომას

ერთი — ორი წუთით მაინც...

დასავლეთ საქართველოს მიმართულებით მიმავალ მგზავრთათვის კარგი რამ გაკეთდა: ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ დანიშნა მატარებელი — „იმერეთი“, რომელიც თბილისს აკავშირებს სამტრედიასთან. მისი გრაფიკი აკმაყოფილებს მგზავრთა მოთხოვნებს და სამღურავი არავის ეთქმის, გვაქვს ერთი თხოვნა, თუ ამას გაითვალისწინებს რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელობა. კერძოდ, ეს ეხება ხარაგაულის რაიონის სადგურ მოლითში თბილისისაკენ მიმავალი მატარებლის ერთი-ორი წუთით შეჩერებას. საქმე ისაა, რომ მოლითში თავს იყრიან რვა-ათი სოფლის მცხოვრებნი და მათთვის ერთობ მოსახერხებელია ამ მატარებლით სარგებლობა. მით უმეტეს, რომ გარდა კვირადღისა, საღამოს საათებში აქ არ ჩერდება დედაქალაქისაკენ მომავალი არც ერთი მატარებელი.

თუ სამმართველოს ხელმძღვანელობა თანადგომას გაგვიწევს და ყურად იღებს ჩვენს თხოვნას, წინასწარ მადლობას მოვახსენებთ.

სოფლების მცხოვრებთა სახელით —

თენგიზ თომაძე,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

რეკლამა

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ჩვენი გაზეთის 2 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სარეკლამო განცხადებაში „ხელმომწერთა საყურადღებოდ!“ გაიპარა უზუსტობა. ხელმომწერთა თხოვნით ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის მიღების ვადა გაგრძელებულია ცენტრალურ გამოცემებზე 10 ნოემბრამდე, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის გამოცემებზე 1 დეკემბრამდე.

ხელმოწერა მიიღება პრესის გავრცელების სააგენტოებსა და განყოფილებებში, ხელმოწერის მიმღებ პუნქტებში, საფოსტო განყოფილებებსა და თბილისის ფოსტამტში პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან სამუშაო და სწავლის ადგილზე.

იჩქარეთ, რათა არ დარჩეთ თქვენთვის სასურველი გამოცემების გარეშე.

მომდევნო ვადებიდან ხელმოწერა მიიღება მხოლოდ თებერვლიდან ჩაბარებით.

პრესის გავრცელების რესპუბლიკური გაერთიანება.

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო აცხადებს რესპუბლიკურ კონკურსს თემაზე:

„საქართველოს რესპუბლიკაში მიწის პრივატიზების მეცნიერული საფუძვლების შემუშავება (ზონალურ თავისებურებათა, სოციალური სამართლიანობის და ეკონომიკური ეფექტიანობის მოთხოვნათა გათვალისწინებით)“.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებს, დროებით შემოქმედებით კოლექტივებს, ცალკეულ მეცნიერებსა და წარმოების მუშაკებს.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია:
პირველი პრემია — 10.000 მან.
მეორე პრემია — 5000 მან.

საკონკურსო მასალები 1992 წლის 1 მარტამდე უნდა წარედგინოს საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს.

მისამართი: თბილისი 380004,
ჭორჭაძის ქ. 12
ტელ.: 98-84-86; 98-84-85.

ავტომეურნეობის ხელმძღვანელთა და კერძო ავტომობილების მფლობელთა საყურადღებოდ

ავტომობილებზე გაზოაპარატურის კვლავმოწყობის ან გაზოაპარატურის ნებისმიერი კვანძის ან მილის მოხსნის (სარემონტოდ) და ახლის დაყენების შემდეგ ავტომობილის გაზოაპარატურის კომპლექტი აუცილებლად უნდა გაისინჯოს დაჭირხნული ჰაერით.

გახსოვდეთ: შეუმოწმებელი გაზოაპარატურა ფეთქებადსაშიშია. გაზოაპარატურის დაჭირხნული ჰაერით შემოწმება ხდება საავტომობილო გაზობალონების კვლავშემმოწმებელ პუნქტში.

მისამართი: ავჭალა-რუსთავის გზატკეცილის მე-17 კმ.
ტელ.: 68-56-81; 68-59-65.

საინფორმაციო სარეკლამო სააგენტო „ამარტი“

„ლიკვიდირებულია „საქკომუნრემმშენი“

საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს ბრძანებით ლიკვიდირებულია კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო გაერთიანების № 1 ტრესტის „საქკომუნრემმშენის“ აპარატი. დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს შეუძლიათ მოგვმართონ პრეტენზიით სალიკვიდაციო კომისიაში, ლეონიძის ქ. № 7/2, ერთი თვის მანძილზე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

„საქკომუნრემმშენის“ № 1 ტრესტის აპარატის სალიკვიდაციო კომისია

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

საქართველოს ექიმთა ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ.

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „საქართველოს ექიმთა ასოციაციის მოამბე“-ზე. შეგახსენებთ, რომ გაზეთის ინდექსია 66425, ხელმოწერის ფასი ერთი წლით 19 მან. და 20 კაპ.

საქართველოს ექიმთა ასოციაციის გამგეობა

დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

მთავარი რედაქტორი მარიკა ახაიშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, [illegible] ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-86;
[illegible] 99-73-24.
იბეჭდება [illegible]
კომბინატში, [illegible] ქ. № 29.
[illegible] 80486

X1

საქართველოს რესპუბლიკა